

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ
და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კონფლიქტების ანალიზისა და მართვა

სოფიო გუგუნავა

კონფლიქტი იაპონიის ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო
(პრობლემები და გადაჭრის გზები)

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
„შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის“ ხელმძღვანელი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
ნანა გელაშვილი

თბილისი

2016

სარჩევი

შესავალი.....	3
I-თავი. ტერიტორიული დავის წარმოშობა	8
1) მეგობრები თუ სასტიკი მტრები.....	17
2) რატომ „ჩრდილოეთ ტერიტორიები“	21
3) "ჩრდილოეთ ტერიტორიების" ღირებულება	30
სტრატეგიული ღირებულება.....	31
სხვა ღირებულება	41
II თავი. შიდა შეზღუდვები რუსეთსა და იაპონიაში.....	44
1) მედია და საზოგადოებრივი აზრი.....	44
2) ეროვნული მითები	51
3) პოლიტიკოსები და პოლიტიკა.....	56
4) პირადი ჩარევა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში	60
III თავი. მიმდინარე ურთიერთობების ანალიზი.....	66
რა შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს პარადიგმა?.....	91
1) ჩინეთი როგორც მტერი	94
2) ნავთობის შეწყვეტა.....	99
3) რუსეთი ნატო-ში	101
4) კონფლიქტის გადაჭრის სავარაუდო გზა.....	105
კონფლიქტი გადაჭრიზის გზის არ ქონა.....	107
6) „როგორც ჰალეის კომეტის ორბიტული გზა“	108
დასკვნა.....	113
გამოყენებული ლიტერატურა	121
დანართი	135

შესავალი

ოფიციალურად მეორე მსოფლიო ომი იაპონიასა და რუსეთს შორის არ დამთავრებულა. იმის მიუხედავად, რომ იარაღი დიდი ხნის წინ დადუმდა და 70 წლის წინ იაპონიამ უპირობო კაპიტულაცია გამოუცხადა მოკავშირეებს, ჯერ კიდევ არ არსებობს არანაირი სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა და იაპონიას შორის. ასეთი სახელმწიფო ურთიერთობების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო კონფლიქტი ოთხი მცირე კუნძულის - ეტოროფუს, კუნაშირის, შიკოტანისა და ჰაბომაის გამო, რომლებიც საბჭოთა კავშირის ჯარებმა მას შემდეგ მიიტაცა, რაც აშშ-ის გემ მისურინზე იაპონიამ ოფიციალურად ხელი მოაწერა კაპიტულაციას (1945 წლის 2 სექტემბერი). აღნიშნული დავის წარმოშობა 1867 წელს მეიჯის რესტავრაციის დაწყებით თარიღდება. მიმდინარე დავის ხელისშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს კონფლიქტის ისტორიის ინტერპრეტაცია, ტერიტორიების საპირისპირო კულტურული შეხედულებები, ცივი ომი, რამაც დავის მოგვარების მცდელობა შეაფერხა და ასევე, ეკონომიკური განსხვავებები და საშინაო პოლიტიკა რუსეთსა და იაპონიაში.

უკვე ერთ-ერთ ყველაზე სადაო საკითხს იაპონელებსა და რუსებს შორის წარმოადგენს განსაზღვრება - „კურილის კუნძულები“. ამის მიზეზი ისაა, რომ იაპონიამ ოფიციალურად უარი განაცხადა „კურილის კუნძულების“ სუვერენიტეტის აღიარებაზე 1951 წლის სან-ფანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით. ზოგადად კურილის კუნძულების ჯაჭვი იაპონელებთან ცნობილია, როგორც „ჩიშიმა რეტო“-ს ან „ათასი კუნძულის“ სახელით, რომელიც იწყება ჩრდილოეთიდან ეტოროფუს კუნძულით და გრძელდება ლოპატკას კონცხით კამჩატკის ნახევარკუნძულამდე. რუსები კი „კურილის კუნძულებს“ განსაზღვრავენ, როგორც მძივივით ასხმულ კუნძულებს ლოპატკას კონცხიდან კუნაშირის წვერამდე, ზუსტად შიბეცუს, ჰოკაიდოს სანაპიროსთან. რაც შეეხება ჰაბომაის კუნძულებს, რომლებიც ცნობილია, როგორც „მცირე კურილები“, იაპონია ამ კუნძულებს განიხილავს, როგორც ჰოკაიდოზე ნოსაპპუს კონცხის გაგრძელებას.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ „ჩრდილოეთ ტერიტორიები“ და მათი მნიშვნელობა. „ჩრდილოეთ ტერიტორიები“ ან იაპონურად „ჰოპპო რიოდო“ მოიცავს ოთხ „კუნძულს“, რომლებიც იაპონიასთან ყველაზე ახლოსაა. ესენია: ეტოროფუ,

კუნაშირი, შიკოტანი და ჰაბომის კუნძულები.¹ ამ კუნძულებიდან ეტოროფუ ფართობით ყველაზე დიდია და მოიცავს 3 184 კმ² ფართობს, ასევე ჰყავს ყველაზე დიდი მოსახლეობაც - 8 190 ადამიანი. ზომის მიხედვით შემდეგია კუნაშირი, რომელიც მოიცავს 1 499 კმ² ფართობს და მისი მოსახლეობა შეადგენს 5 500 ადამიანს. შიკოტანი ფართობით ყველაზე პატარა კუნძულია, რომელიც მოიცავს 253 კმ²-ს და მოსახლეობა 2 450 ადამიანს შეადგენს. ჰაბომის საერთო ფართობია 100 კმ² და დაუსახლებელია, თუ არ ჩავთვლით საზღვრის დამცველთა მცირე გარნიზონს. ყველა კუნძულის საერთო მოსახლეობა, 2001 წლის მონაცემებით, დაახლოებით 16 140 ეთნიკურ რუსს შეადგენდა. 1994 წელს რეგიონს თავს ძლიერი მიწისძვრები დაატყდა, რომელმაც გაანადგურა ყველა საკონსერვო საწარმო კუნძულებზე, რამაც მოსახლეობის მასშტაბური გადინება გამოიწვია იქიდან. მიწისძვრამდე და მის თანმხლებ ცუნამიმდე მოსახლეობა დაახლოებით 25 400 რუსს შეადგენდა.² თუ კუნძულებს პერსპექტივაში განვიხილავთ, ეტოროფუ თავისთავად ბევრად აღემატება ფართობით ოკინავას.³ მიუხედავად იმისა, რომ კუნძულების რაოდენობა რუსეთის ფედერაციის ფართობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა, ერთად აღებული 19 კუნძული ტერიტორიით დიდი იყო 47 იაპონურ პრეფექტურაზე.

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, გაანალიზოს იაპონიასა და რუსეთს შორის კონფლიქტის დასკვნითი გარემოებები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდით თარიღდება. რუსეთი და იაპონია ახლა მხოლოდ ორ ძირითად ძალას წარმოადგენს, რომელსაც მსოფლიოში გლობალური გავლენა აქვთ, თუმცა ერთმანეთთან ურთიერთობები არ აქვთ ნორმალიზებული.

მსოფლიოში იაპონიის მნიშვნელობა სწრაფად იზრდება, რასაც რუსეთზე ვერ ვიტყვით. ფორმალურად, სამხედრო ძალის გამოყენებას იაპონია თავს არიდებს,

¹For simplicity, the Japanese names of the islands will be used throughout as these are the more commonly accepted names used by scholars and cartographers. The Habomais, although consisting of six tiny islands, will be referred to as one island, as this is the collective name for all six islands, none of which have name “Habomai,” and this corresponds to common usage.

²“Do you know about Japan’s Northern Territories? The Northern Territories Issue.” Pamphlet published by the Hokkaido Government Northern Territories Countermeasures Headquarters, Sapporo, Japan.: Hiroshi Kimura. “Islands Apart.” Look Japan, February 2001 [cited April 22, 2002], available at www.lookjapan.com/Lbcoverstory/01FebCS.htm; INTERNET.

³Our half century long appeal for Justice,” pamphlet published in Japanese, Russian and English.

თუმცა ძალიან წარმატებული ფორმით მოქმედებს, რომელსაც „დოლარის დიპლომატიას“ უწოდებენ, რაც უცხოურ დახმარებას გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ ათი წლის განმავლობაში ეკონომიკური კრიზისი იყო, იაპონია მსოფლიოში მაინც ერთ-ერთი უდიდესია ეკონომიკის თვალსაზრისით და მშვიდად აღიდგენს თავის სამხედრო ძალას.⁴ იაპონიის თავდაცვის ძალები სამხედრო თვალსაზრისით აზიაში სიძლიერით მესამეა აშშ-ისა და ჩინეთის შემდეგ, რაშიც არმიის თანამედროვეობაც იგულისხმება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული თავდაცვა შეზღუდულია ოპერაციების განხორციელების თვალსაზრისით, ზოგიერთი მაინც ითხოვს კონსტიტუციის გადასინჯვას, რომელიც უკრძალავს იაპონიას, რომ მისმა ძალებმა ჩაატარონ სამხედრო ოპერაცია რეგიონის, ანუ მთავარი კუნძულების გარეთ ან მიმდებარედ.

იაპონიასა და რუსეთს შორის ურთიერთობები შემფოთებას იწვევდა არა მხოლოდ წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. თუ როგორ განვითარდება (ან ვერ განვითარდება) მომავალში რუსეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობები, ამას შესაძლოა ღრმა გავლენა ჰქონდეს აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოებაზე. იაპონია არის აშშ-ის ყველაზე ძლიერი მოკავშირე რეგიონში, სადაც განლაგებულია დამრტყმელი სამხედრო საზღვაო ძალები, რომელიც მოიცავს აშშ-ის ავიამზიდ კიტტი ჰოუკს (CV-63) ისევე, როგორც მრავალ საარმიო პოსტს, საჰაერო ძალების ბაზებსა და საზღვაო ქვეითების დიდ კონტინგენტს, რომელიც კუნძულ ოკინავაზეა განლაგებული. რუსეთის დასუსტება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია აშშ-თვის, რომლის ინტერესებიც დაფუძნებულია ფართო სპექტრზე და მისი არსენალი სტრატეგიული და ტაქტიკური ბირთვული იარაღისა მართავს კონფლიქტს, ასევე მისი შესაძლებლობა, რომ გააჩნდეს დიდი სამხედრო ძალა, რომელიც მომავალში გარანტი იქნება სტაბილურობის ან არასტაბილურობისა. აშშ-ის ინტერესს

⁴Officially the Japan Self Defense Forces (JSDF) are not a “military” as defined by the west, because the possession of a regular army, navy or air force is expressly forbidden by Article 9 of Japan’s 1946 Constitution. The term “military” is used here for the benefit of American and Western readers for simplicity. The author recognizes that most Japanese do not consider the JSDF as a military in the conventional sense, but those forces that are required as a bare minimum for the defense of the Japanese home islands.

წარმოადგენს ის, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი სტაბილურობა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში.

ნაშრომის მიზანია ახალი ცოდნის შექმნა და ახალი პერსპექტივების გაცნობა აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით. აუცილებელია, რომ რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებზე ტერიტორიული დავის ეფექტი დადგინდეს და შეფასდეს რეზოლუციის პერსპექტივები. აღნიშნული ნაშრომის ძირითადი თეზისი არის ის ჰიპოთეზა, რომელზეც დაფუძნებულია რიტორიკა და რომელსაც არც რუს და არც იაპონელ პოლიტიკოსებს შორის დავის საბოლოო გადაწყვეტამდე არ გააჩნია მაღალი პრიორიტეტი. სწორედ მიმდინარე დავა კურილების შესახებ ზღუდავს სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყნას შორის შესაძლო თანამშრომლობის რაოდენობას და გამორიცხავს საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შანსსაც.

I თავში შემოთავაზებულია მოკლე ისტორიული ექსკურსი ტერიტორიული დავის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს კუნძულებზე თითოეული მხარის ბრალდებების ხასიათს. იმის მიუხედავად, რომ ამ რთული ხასიათის არგუმენტებიდან გამომდინარე შეუძლებელია მართლმსაჯულების დადგენა, ამ თავში შევეცდებით, მოვიცვათ დავის გამომწვევი ყველა ძირითადი მოვლენა. აქცენტი გაკეთებული იქნება ორ ქვეყნას შორის ადრეული თბილი ურთიერთობებიდან თითქმის ხანგრძლივ დაძაბულ ურთიერთობებზე გადასვლაზე. აშშ-მა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონფლიქტის ხელშეწყობასა და შენარჩუნებაში, ამიტომ მისი როლიც გასათვალისწინებელია.

ამ თავში აგრეთვე განხილულია იაპონიისა და რუსეთისათვის კუნძულების მატერიალური და პოლიტიკური მნიშვნელობა. სტრატეგიული და ეკონომიკური მოსაზრებები, როგორც რეალური მიზეზები კუნძულების შენარჩუნებისა ან დაბრუნებისა, ზოგჯერ გადმოცემულია აღნიშნული საკითხის კომენტატორების მიერ. ამ თავში შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ სამართლიანია მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთება და ნათლად დავინახოთ ის, რომ კურილებს არ აქვთ მხოლოდ სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა. პოლიტიკა წარმოადგენს შიდა პოლიტიკური მოსაზრებების მამოძრავებელ ძალას ისევე, როგორც კურილების საკითხი რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში.

II თავში აქცენტი გაკეთებულია მედიაზე, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც გავლენას ახდენს აღნიშნულ დავაზე და აფერხებს დიპლომატიური რეზოლუციის მიღებას. ამ ნაშრომის ერთ-ერთი არგუმენტი ისიცაა, რომ ეს კონფლიქტი ძირითადად სიმბოლური გახდა. იმისათვის, რომ გადაწყდეს ტერიტორიული დავა, ემოციებისაგან უნდა გათავისფულდეს კურილების საკითხი. განხილული იქნება იმ ემოციური საკითხების ბუნება, როგორც შეგნებულად შექმნილი ეროვნული მითებისა და ორ პოპულაციას შორის ძლიერი გრძნობების მასაზრდოებელი საშუალებისა. ეროვნული მითები გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან ისინი მოსახლეობას რაციონალური არგუმენტებითა და ეროვნული ინტერესების ობიექტური შეფასებით აბრმავებს.

III თავში გაანალიზებულია იაპონიასა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ-იაპონურმა ურთიერთობებმა გრძელი გზა განვლო ცივი ომის დასრულებამდე, ისინი მაინც შორს არიან ნორმალური ურთიერთობებისაგან. გარდა იმისა, რომ ბევრ საკითხზე თანამშრომლობა უკვე შესაძლებელია, კონტაქტები ორ ქვეყანას შორის იზრდება, ისინი მაინც დაოხენ კურილების გამო.

შემაჯამებელ თავში განხილულია ორ ქვეყანას შორის სამომავლო ურთიერთობები და კურილების საკითხის მოგვარების პერსპექტივა. ის შეისწავლის, თუ რა პირობებში შეიძლება მოხდეს იაპონელი და რუსი პოლიტიკოსების მხრიდან პრიორიტეტების წესრიგში მოყვანა და შეეცდებიან თუ არა ისინი, საბოლოოდ მოაგვარონ ტერიტორიული დავა? დასკვნების შესაბამისად შეიძლება ვიფიქროთ, თუ რა პირობები უნდა შეიცვალოს რუსეთში, იაპონიასა და მსოფლიოში, რომ შესაძლებელი გახდეს ამ პრობლემის მოგვარება.

აღნიშნული ნაშრომის კვლევა დაფუძნებულია სხვადასხვა სახის პირველად და მეორად წყაროებზე. იგი მოიცავს დოკუმენტრ ანალიზს, პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს, ოფიციალურ წყაროებს, რუსეთისა და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროების ოფიციალურ რელიზებს, რომელთა მოპოვებაც ინტერნეტითაა შესაძლებელი. ასევე ონლაინ ინტერვიუებს, როგორც იაპონელ ასევე რუს მეცნიერებთან. (იხ. დანართი 4).

I-თავი. ტერიტორიული დავის წარმოშობა

„ჩრდილოეთ ტერიტორიების“ შესახებ იაპონიასა და რუსეთს შორის არსებული კონკურენცია და პრეტენზიები თითქმის ყოველთვის სუბიექტივიზმის გამოძვლავნებას წარმოადგენდა. ეს იმიტომ, რომ ყველა მოვლენა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში დაკავშირებული იყო კურილების საკითხთან, რომლის ინტერპრეტირებაც რამდენიმეგვარად შეიძლებოდა. ორივე მხარის წინამდებარე პრეტენზიების უკეთ გასაგებად, პირველ რიგში, უნდა შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი განვლილი 364 წლის კონტექსტის გათვალისწინებით.

1638 წელს შოგუნმა იემიცუ ტოკუგავამ⁵ გამოსცა ბრზანებულება იაპონიის სანაპიროებზე ყველა უცხოელის შემოსვლის აკრძალვის შესახებ, გარდა მცირე ჰოლანდიური მისიისა, რომელიც მდებარეობდა იზოლირებულ ტექნოგენურ კუნძულზე ნაგასაკის ნავსადგურში. მომდევნო 150 წლის განმავლობაში იაპონელებს უცხოელებთან კონტაქტი ჰქონდათ მხოლოდ ჩინელ ვაჭრებთან და რამდენიმე ჰოლანდიელ ვაჭართან, რომლებიც იყვნენ როგორც ვირტუალური პატიმრები თავიანთ გაერთიანებაში ნაგასაკიში.⁶ ხოლო იაპონიის „გახსნა“ უკავშირდება კომოდორ (პირველი რანგის კაპიტნისა და კონტრ-ადმირალს შუა წოდება) მეთიუ პერის 1854 წელს, თუმცა იაპონელებს კონტაქტი ჰქონდათ რუს მკვლევარებთან და დესპანებთან 100 წლით ადრე, სანამ პერი ედოს ყურეში ჩავიდოდა.⁷

პირველი ასეთი მაძიებელი იყო მარტინ სპანბერგი, რუსებთან მომუშავე დანიელი. 1739 წელს სპანბერგმა გამოიკვლია ჰონშიუსა და ჰოკაიდოს სანაპიროები, როგორც კაპიტან ვიტუს ბერინგის ალექსანდრის კუნძულებისა და ალიასკის შემსწავლელი უდიდესი ექსპედიციის ნაწილი. მე-18 საუკუნეში კიდევ ორი ექსპედიცია გაიგზავნა იაპონიაში. მეორე, რომელმაც თითქმის „გახსნა“ რუსეთის

⁵ The „shogun” was a military dictator who ruled Japan in the name of Emperor, who held no real authority. While the official capital of Japan was in Kyoto, where the emperor resided, the real capital was in Edo (present-day Tokyo), where the Tokugawa-dynasty shoguns made their residence. The Tokugawa dynasty, alternately called the Edo period or the Tokugawa Era, lasted from 1603 until the “Meiji Restoration” in 1868. Tokugawa rule is associated with the “closing” of Japan, and collapsed when the shogun officials were forced to “open” the country to the Americans, British and Russians in 1854-1855.

⁶ John Fairbank, Edwin Reischauer, and Albert Craig. East Asia: Tradition and Transformation, rev.ed. (Princeton, NJ: Houghton Mifflin Co., 1989), 409.

⁷ Now Tokyo Bay. Edo was renamed Tokyo after the “Meiji Restoration” in 1868.

ვაჭრობისთვის იაპონია იმ გაგებით, რომ რუსებმა თითქმის ისეთივე სავაჭრო უფლებები მოიპოვეს, როგორც ჰოლანდიელებს ნაგასაკიში ჰქონდათ. ადამ ლაქსმენი, სანკტ-პეტერბურგელი აკადემიკოსის ვაჟი, ხელმძღვანელობდა 1792-93 წლებში ექსპედიციას და იაპონიის ოფიციალური პირებისგან ჰოკაიდოდან მიიღო წერილი, რომ მას დაერთო ნება ნაგასაკიში სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში მონაწილეობისა.⁸ რუსეთის ამ პირველმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა (დესპანებმა) საკუთარი თავი სამაგალითოდ წარმოაჩინეს, რამაც იაპონელებს, თავის მხრივ, ხელსაყრელი შთაბეჭდილება დაუტოვა.⁹

საფრანგეთის რევოლუციის ომებმა მიიქცია რუსეთის სამეფო კარის, თუმცა ლაქსმენის წერილს 1804 წლამდე არ მოჰყოლია სხვა ექსპედიცია. ამ ექსპედიციას რუსულ-ამერიკული კომპანიის დირექტორი - ნიკოლაი რეზანოვი ხელმძღვანელობდა, რომელმაც კატეგორიული უარი მიიღო იაპონელებისგან ნაგასაკისთან. 1804 წლის ოქტომბერში რეზანოვი ნაგასაკიში ჩავიდა და სურვილი ჰქონდა დაეწყო იაპონელებთან სავაჭრო ურთიერთობები. თითქმის ექვსი თვე გაატარა ნაგასაკიში, სადაც ედოს მთავრობის გადაწყვეტილებას ელოდა აღნიშნული ექსპედიცია რეზანოვის ხელმძღვანელობით, რომლებსაც სჯეროდათ, რომ თავად იაპონელებიც დაინტერესებულნი იყვნენ გახსნილიყვნენ სავაჭრო ურთიერთობებისათვის. თავდაპირველი გულთბილი მიღების შემდეგ უფრო და უფრო ნებადართული გახდა კონტაქტი რუსებსა და იაპონელებს შორის, თუმცა რეზანოვმა მოულოდნელად დატოვა იაპონია და თქვა, რომ აღარასდროს დაბრუნდებოდა იქ.¹⁰ უკმეხი პასუხი რეზანოვმა პირად შეურაცხყოფად მიიღო და ორი ლეიტენანტი გაგზავნა ჩრდილოეთ იაპონიის სანაპიროებზე სადამსჯელო რეიდების მოსაწყობად.¹¹

⁸ George Lensen, *The Russian Push Toward Japan: Russo-Japanese Relations, 1697-1875* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1959), 97-116.

⁹ George Lensen, *The Russian Push Toward Japan*, 50-54, 118-120.

¹⁰ Lensen, *The Russian Push Toward Japan*, 150-157.

¹¹ The raids were conducted by Nikolai Khvostov and Gavril Davidov in 1806-07 in Sakhalin and Etorofu, devastating several Japanese settlements. Although conducted in a private capacity, they were taken by the Japanese to have been official policy. Following the raids, the Japanese began calling the Russians “aki-oni,” or “red devils” instead of the former, innocuous name of “aki-hito,” or “red-men.” The Russians repaired some of

მე-19 საუკუნის შუა ხანებში რუსების გარდა ამერიკელები და ბრიტანელებიც აქტიურად დაინტერესდნენ იაპონელებთან ისეთივე სავაჭრო ურთიერთობების გახსნით (დამყარებით), როგორც მათ ჩინელებთან ჰქონდათ. ყოველწლიურად იზრდებოდა ამერიკული და ბრიტანული გემების რაოდენობა, რომლებიც უკვე რეგულარულად ჩნდებოდნენ ხოლმე იაპონურ წყლებში. როგორცვე იაპონიამ შეიტყო ბრიტანეთის ქმედებების შესახებ 1839-42 წლების ოპიუმის ომებში და იმპერიული ჩინეთის ნახევრად კოლონიურ სახელმწიფოდ ტრანსფორმაციის შესახებ, რომელიც დასავლური სახელმწიფოების ხელში აღმოჩნდა, შოგუნის ოფიციალური პირების პოზიცია ორად გაიყო იმის გამო, თუ როგორ უნდა გამკლავებოდნენ რუსებს, ამერიკელებსა და ბრიტანელებს, რომლებიც სულ უფრო ხშირად იჭრებოდნენ იაპონიის ტერიტორიულ წყლებში.¹² იაპონელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ რაც ჩინეთში მოხდა არ უნდა განმეორებულიყო მათთანაც.

1854-55 წლები იყო შოგუნატის მმართველობის მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც თითქმის თანაბრად იყო გაყოფილი გაძევებული უცხოელების სურვილი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იაპონელებს ბევრი სასარგებლო გაკვეთილის სწავლა შეეძლოთ მათგან და სათანადოდ გამოყენება, რათა იაპონიის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. საბოლოოდ ამერიკელმა კომოდორმა მეთიუ ს. პერიმ დაამსხვრია ეს გამოუვალი მდგომარეობა 1852 წელს დახვეწილი მუქარის საშუალებით, როდესაც იგი წავიდა დიდი სამხედრო ფლოტის მოსაყვანად. ფაქტობრივად, ის 1854 წელს, ერთ კვარტალში დაბრუნდა აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტით.¹³ ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ამას დასჭირდებოდა მცირე ძალისხმევა ბრინჯის საზღვაო გადაზიდვების შეჩერების კუთხით, რომელზეც ედოს მოსახლეობა იყო დამოკიდებული და ამიტომ აირჩიეს მოლაპარაკების გზა.

ამერიკელებისა და ბრიტანელებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ იაპონიამ დაესრულებინა შერჩევითი სავაჭრო პოლიტიკა, ხოლო რუსები განსაზღვრავენ თავიანთ საზღვარს და უპირისპირდებიან ბრიტანელთა და

the damage with an official apology given seven years later. The story is related in both Lensen, *The Russian Push Toward Japan*, 167-180 and John Stephen, *The Kuril Islands: Russo-Japanese Frontier in the Pacific*, (Oxford, England: Clarendon Press, 1974), 73-77.

¹² Fairbank et al., *East Asia*, 486-87; Stephen, *The Kuril Islands*, 86-87.

¹³ Lensen, *The Russian Push Toward Japan*, 315-318.

ამერიკელთა მზარდ გავლენას ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში. რუსი ადმირალი ევფემი პუტაიტინი 1853 წელს წავიდა იაპონიაში პერის ექსპედიციის კვალდაკვალ და ცდილობდა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების გახსნას, რუსეთ-იაპონიას შორის საზღვრის საკითხის მოგვარებას. პუტაიტინის პირველი ექსპედიციისა და 1855 წლის მეორე ექსპედიციის შედეგად საერთაშორისო გარემო რუსეთისთვის არსებითად შეიცვალა. ყირიმის ომის დაწყებისას რუსეთისათვის უკიდურესად საჭირო იყო კურილებისა და სახალინის სასაზღვრო საკითხების მოგვარება.¹⁴ როდესაც პუტაიტინი დაბრუნდა იაპონიაში ერთი ფრეგატით, იგი არ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს ედოსათვის. ბრიტანეთსა და რუსეთს შორის მიმდინარე ომის გამო სანკტ-პეტერბურგმა მხოლოდ ერთი გემი გაიმეტა ამ მისიის შესასრულებლად. შესაბამისად, მოლაპარაკებები რუსეთსა და იაპონიას შორის ტოვებდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების განცდას ორ ძირითად, თანასწორ სუბიექტს შორის, განსხვავებით კონკრეტული მოლაპარაკებებისა ბრიტანეთსა და ამერიკას შორის, რომელიც მათი ძალისმიერი მუქარის პოლიტიკას ეხებოდა.¹⁵

რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებების განმავლობაში ტერიტორიული საკითხების ძირითად სადავო პუნქტებზე ორივე მხარე საბოლოოდ შეთანხმდა და დაადგინა დე ფაქტო საზღვარი, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოდან არსებობდა და გადიოდა ეტოროფუსა და ურუპუს (რუსულ ენაზე ურუპ) კუნძულებს შორის. გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული სახალინთან დაკავშირებით. ამ საზღვრის დეფინიცია ცალმხრივად შეესაბამებოდა ალექსანდრე I-ის 1821 წლის სექტემბრის ბრძანებას, რომელშიც განსაზღვრული იყო რუსეთის ტერიტორიული წყლები როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით - ურუპის უკიდურეს წვერამდე. დამატებითი ინსტრუქციები რუსეთის საზღვრების შესახებ შემდგომში განისაზღვრა ნიკოლოზ I-ის მიერ პუტაიტინისთვის მიცემული ნებართვით. ეს გულისხმობდა, რომ სამხრეთ რუსეთის საზღვარი უნდა ყოფილიყო ურუპი.¹⁶ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებები იყო რთული და ხანგრძლივი, როგორც შემდეგში ამტკიცებდნენ - მთლიანად

¹⁴ Stephen, *The Kuril Islands*, 86; Lensen, *The Russian Push Toward Japan*.

¹⁵ For a full description of the negotiations, please see Lensen, *The Russian Push Toward Japan*, 330-337.

¹⁶ Tsuyoshi Hasegawa, *Neither War nor Peace, 1985-1998*, vol. 2 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 515.

შეზღუდული. ბოლოს მართალია მიღწეული იქნა „კომპრომისული“ შეთანხმება, რომელიც აღიარებდა იაპონიის მიერ ოკუპირებულ ეტოროფუს და რუსების ოკუპირებულ ურუპპუს ოფიციალურ საზღვარს უნდა გაეგლო ამ ორ კუნძულს შორის. სახალინი დარჩა დავის წერტილად და გადაწყდა, რომ დაეტოვებინათ კუნძული ბუნდოვნად გავლებული სადემარკაციო ხაზით იაპონურ და რუსულ თემებს შორის. ეს ხელშეკრულება ასევე მიუთითებდა რუსეთსა და იაპონიას შორის მშვიდობის დამყარებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ეს ფაქტი განვიხილოთ, როგორც ერთჯერადი ტერიტორიული მოწყობის შედეგად მოპოვებული იძულებითი მშვიდობა ორ თანასწორუფლებიან სახელმწიფოს შორის. სამწუხაროდ, ორ ქვეყანას შორის ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლობის ატმოსფერომ ვერ გაუძლო დროს. სხვათა შორის, საზღვრის დემარკაცია იაპონიასა და რუსეთს შორის აღინიშნა იაპონიის მიერ დასავლური სისტემის ფორმალური მიღებით, რომელიც გულისხმობდა ერ-სახელმწიფოებს თავიანთ პოლიტიკურ საზღვრებში. კუნძულზე მყოფი ხალხისთვის იაპონია ვერ ხედავდა საზღვრების დადგენის საჭიროებას მანამდე, სანამ ამას რუსები არ აიძულებდნენ.

1868 წლის „მეიჯის რესტავრაციის“ შემდეგ ახალი მთავრობა ყველაზე მწვავე პრობლემის წინაშე დადგა, რომელიც ეხებოდა რუსეთთან ურთიერთობების ნაკლებობას სახალინის საზღვრის განსაზღვრის კუთხით, რაც შიმოდას ხელშეკრულების დამსახურება იყო. რუსეთმა და იაპონიამ რამდენიმე წლის განმავლობაში სცადა, რომ რაც შეიძლება მეტი პრეტენზია გასჩენოდათ კუნძულზე, რაც რამდენიმე კონფლიქტის მიზეზიც გახდა, ამაზე აქტუალური კი მოსახლეობის საჭიროებები იყო. საერთაშორისო ზეწოლა და შიდა არეულობა ერთნაირად ურტყამდა მეიჯის ხელმძღვანელობას და სახალინის საკითხზე დათმობებზე წასვლისკენ უბიძგებდა. 1875 წლის 7 მაისს ორმა იმპერიამ ხელი მოაწერა „პეტერბურგის ხელშეკრულებას,“ რომლის თანახმად იაპონიამ რუსეთს დაუთმო ყველა უფლება სახალინზე. სამაგიეროდ, რუსეთმა დათმო „კუნძულების ჯგუფი - კურილები, რომელიც მას გააჩნდა და ყველა კუთვნილი სუვერენული უფლება გადასცა იაპონიის იმპერიას, რომელსაც ამიერიდან ეკუთვნოდა კურილის

კუნძულები.¹⁷ ამ განცხადებას ზოგჯერ იაპონელი მკვლევარები იაპონიის პრეტენზიების მხარდასაჭერად იყენებენ როგორც მტკიცებულებას, რომ არც რუსი და არც იაპონელი ლიდერები იმ მომენტში არ განიხილავდნენ ოთხ კუნძულს, რომლებსაც ახლა უწოდებენ „ჩრდილოეთ ტერიტორიებს,“ რომლებიც არის კურილის კუნძულების ნაწილი. უფრო მეტიც, 1875 წლის ხელშეკრულების თანახმად კურილის კუნძულები უნდა იწყებოდეს ეტოროფუს ჩრდილოეთიდან. ეს არგუმენტი გამომდინარეობს იქიდან, რომ მას შემდეგ რაც რუსებმა „კურილის კუნძულები“ მისცეს იაპონიას და არ მისცეს მეტი, რადგანაც ისინი არ ფლობდნენ ამაზე მეტს, ამიტომაც ოთხი სადავო ტერიტორიაც არ უნდა ყოფილიყო „კურილის კუნძულების“ ნაწილი.¹⁸ ხელშეკრულების დროს ამ ოთხ სადავო კუნძულს არ ჰქონდა ცალკე საკუთარი სახელი.

ყველა მტკიცებულება იმაზე მიუთითებს, რომ 1875 წლის მოლაპარაკებების განმავლობაში იაპონიას არახელსაყრელი პოზიცია ჰქონდა, რადგან მოდერნიზაციის ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე იყო. 1870 წლიდან ზღვის წავი და სელაპი კურილის კუნძულების მოსახლეობისგან უკვე განადგურებული იყო, ამიტომაც კუნძულებს შედარებით მცირე კომერციული ან ეკონომიკური ღირებულება ჰქონდა რუსებისთვის, განსხვავებით სახალინისგან, რომელიც ამ კუთხით უფრო მომგებიანი იყო.¹⁹ მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები წარიმართა მშვიდობიანად და სასაზღვრო დავაც, როგორც ჩანს, გადაწყვეტილია რუსეთთან, ხოლო იაპონელები შინაგანად ფოკუსირებულნი აღმოჩნდნენ მოდერნიზაციაზე. სამწუხაროდ, სანკტ-პეტერბურგის ხელშეკრულება იყო ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის ტერიტორიული უთანხმოებების მშვიდობიანად მოგვარების სურვილი (მცდელობა).

იაპონიის მოდერნიზაცია, როგორც მეიჯის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი, იაპონელებისთვის ნიშნავდა ყველა თავდაპირველი ხელშეკრულების გადასინჯვას, რომელიც გაფორმებული იყო სხვადასხვა დასავლურ სახელმწიფოსთან 1850 წლამდე. თანასწორობა იმისათვის იყო საჭირო, რომ ტოკიოს შეექმნა ძლიერი სამხედრო

¹⁷ Treaty of Exchange of Sakhalin With the Kuril Islands [Treaty of St. Petersburg] (7 May 1875), appendix two, John A. Harrison, *Japan's Northern Frontier* (Gainesville, FL.: University of Florida Press, 1953), 171-172.

¹⁸ Researchers from the Russian Studies department at the National Institute of Defense Studies (NIDS), interview by author, Ebisu, Tokyo, Japan, 2 July 2002.

¹⁹ Stephen, *The Kuril Islands*, 91.

ძალები, ძლიერი ეკონომიკა და შეეძინა კოლონიები აზიაში. მისი დასავლელი მფარველების კვალდაკვალ იაპონელებმა ყურადღება მიაპყრეს აზიის მატერიკს და მათი პირველი ძალისხმევა გაფართოებისაკენ მიმართული იყო კორეისკენ. იაპონელთა მიზნებმა კორეაში მათ მოუტანა მზარდი კონფლიქტი ჩინეთთან და რუსეთთან. კორეაში ჩინეთის ინტერვენცია იაპონიამ საბაზად გამოიყენა 1894 წელს და ომი დაიწყო ქინგის დინასტიასთან (ჩინ.: ქინგ ჩაო). 1895 წელს ჩინეთი სასტიკად დაამარცხა იაპონიის მოდერნიზებულმა ძალებმა და იაპონურმა გამარჯვებამ ბევრი გააკვირვა დასავლეთში.²⁰ მაგრამ ეს იქნებოდა რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებთან შეჯახება და არა ომი ჩინეთთან, რომელიც მომავალში უფრო მეტი კონფლიქტის მომასწავებელი იყო.²¹ იაპონია არ აპატიებს „სამმაგ ინტერვენციას“ რუსეთს, გერმანიასა და საფრანგეთს, რომლებმაც იძულებით ათქმევინეს უარი იაპონიას ლიაოდონგის ნახევარკუნძულზე, რომელიც მან მოიპოვა ჩინეთისგან შემონისეკის ხელშეკრულებით. როდესაც რუსეთმა 1897 წელს „იჯარით“ აიღო ნახევარკუნძული ჩინეთისგან, დაეუფლა ლუშუნისა (პორტ არტური) და დალიანის პორტებს, მაშინ იაპონია ჩაბმული იყო ჩინურ-იაპონურ ომში და შემდეგ კი „სამმაგი ინტერვენციის“ გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა აღნიშნულზე, რის გამოც ანტირუსულმა განწყობამ „მიადწია უპრეცედენტო დონეს იაპონიაში. ამის შემდეგ, რუსეთი გახდა აშკარა მტერი.“²²

ჩინეთ-იაპონიის ომი დასავლეთის ქვეყნებისთვის ერთგვარი სიურპრიზი აღმოჩნდა, რადგან ამ ომში ჩინეთის გამარჯვებას ვარაუდობდნენ გამომდინარე მისი ზომიდან. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში ბევრი მიხვდა, რომ იაპონიის გამარჯვება აზიაში ახალი ძალის ზრდის მაუწყებელი იყო და მათ ვერ გათვალეს იაპონელთა ვერც ზრახვები და ვერც შესაძლებლობები. 1895 და 1897 წლებს შორის

²⁰ Fairbank et al., *East Asia*, 553. The Chinese intervention was actually at the request of the Korean king to quell a rebellion by an anti-foreign religious group. However, Japan sent a larger force than the initial force sent by the Chinese and seized Control of the Korean government. The Japanese then forced the Koreans to declare war on China, following shortly with a declaration of war by Japan.

²¹ Sandra Wilson and David Wells. "Introduction," in David Wells and Sandra Wilson, Eds. *The Russo-Japanese War in Cultural Perspective: 1904-05* (New York: St. Martin's Press, 1999) p. 4.

²² Wada Haruki, "Japanese-Russian Relations and the United States, 1855-1930, in *A Hidden Fire: Russian and Japanese Cultural Encounters 1868-1926*, ed. J. Thomas Rimer (Stanford: Stanford University Press; Washington, D.C.: Woodrow Wilson Press Center, 1995), 207.

პერიოდში იაპონიის სამხედრო ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა 20 მილიონი იენიდან 100 მილიონამდე, რამაც იაპონიას სამხედრო ძალის სწრაფად გაზრდის საშუალება მისცა. ამავე დროს, იაპონელი დიპლომატები ცდილობდნენ რუსეთთან გავლენის სფეროების შესახებ შეთანხმებას და ასევე, „კორეის გაცვლას მანჯურიაში.“²³ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა სერგეი ვიტტემ წახალისა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზის მშენებლობა, როგორც რუსეთის შორეული აღმოსავლეთის განვითარების სტიმულირების მცდელობა. ვიტტი ემზრობოდა იაპონელებთან ერთად განსახლების გეგმას კორეასთან დაკავშირებით და აქცენტს აკეთებდა „სავაჭრო და საინვესტიციო პროექტებში რუსეთის გავლენის“ შენარჩუნებაზე, უპირატესად კი სამხედრო თავგადასავლებზე, რომლის საშუალებითაც ახდენდა ჩინელების ან იაპონელების წინააღმდეგობის პროვოცირებას.²⁴ თუმცა, ოპონენტებიდან „მეფის ახლო მრჩევლები მხარს უჭერდნენ“ სწრაფ რუსული ინვესტიციების ექსპანსიის კონტროლს მანჯურიასა და კორეაში [რადგან ისინი], დარწმუნებულნი იყვნენ რუსეთის ნებისმიერ ომში გამარჯვებაში.“²⁵

იმ დროს რუსეთში იაპონიას ასეთი იმიჯი ჰქონდა - „ქვეყანა დასახლებულია თავაზიანი, თოჯინის მსგავსი ადამიანებით“.²⁶ მიუხედავად იმისა, რომ იაპონელებმა უკვე დაამარცხეს ჩინელები და სტაბილურად აშენებენ თავიანთ არმიას ბრიტანელი და გერმანელი მრჩევლების დახმარებით, იაპონია მაინც არ განიხილებოდა დამაჯერებელ საფრთხედ. ჩინელებს სერიოზულ მოწინააღმდეგედ არ ითვალისწინებდნენ, თუმცა ევროპის ქვეყნებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქვემეხების დამიზნების საშუალებით შეეძლოთ მოეთხოვათ დათმობები და ასევე რუსეთმაც წარმატებით აიძულა იაპონელები, რომ დაეთმოთ ზოგიერთი უფლება ჩინეთზე, რომელიც მათ 1894-1895 წლების ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ ჰქონდათ მოპოვებული. პატარა შენიშვნა მიეძღვნა 1902 წელს გაფორმებულ ინგლისურ-იაპონურ ალიანსს. ეს იყო „პირველი სამხედრო პაქტი ორ თანაბარ, დასავლურ და არადასავლურ ერს შორის“ და მძიმედ გადასაწყვეტი იყო იაპონიის მთავრობის

²³ Wilson and Wells, “Introduction,” 7.

²⁴ John J. Stephen, *The Russian Far East: A History* (Stanford University Press, 1994), 60.

²⁵ Wilson and Wells, “Introduction,” 8-9.

²⁶ Yulia Mikhailova, “Japan and Russia: Mutual Images, 1904-05,” in *The Japanese and Europe: Images and Perceptions*, ed. Bert Edstrom (Richmond Surrey, UK: Japan Library [Curzon Press], 1989), 153.

ოფიციალური პირების მხრიდან, რომლებიც „დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთთან ომი გარდაუვალი იყო.“²⁷

ნიკოლოზ II-ის მრჩევლებს შორის, შინაგან საქმეთა მინისტრი იყო იმ აზრზე, რომ „რევოლუციის შეჩერების ნაცვლად, ჩვენ გვჭირდება პატარა, ძლევამოსილი ომი.“²⁸ 1903 წლის დეკემბერში, არასრულყოფილი მოლაპარაკებებიდან ორი წლის შემდეგ, რომელიც ეხებოდა მანჯურიასა და კორეაში ინტერესებს, მეფე ნიკოლოზ II-ს და იაპონიის მინისტრთა კაბინეტსაც სჯეროდა, რომ ომი გარდაუვალი იქნებოდა და საჭიროც.²⁹ ნიკოლოზი თავადვე უარყოფდა იაპონელებს, რომლებსაც ის უპატივცემულოდ მიმართავდა და რასობრივად უფრო დაბალ დონეზე მყოფებად მიიჩნევდა და არ უსმენდა თავის არც ერთ მინისტრს, არც ომის მინისტრ კუროპატკინს და არც ფინანსთა მინისტრ ვიტტეს, რომელიც 1903 წლის აგვისტოში გაათავისუფლა თანამდებობიდან. ორივე ემხრობოდა იაპონიასთან შერიგებას და მეგობრული ურთიერთობების აღდგენას.³⁰ მეფემ და მისმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა სანკტ-პეტერბურგში რადიკალურად არასათანადოდ შეაფასეს იაპონელთა ძალა და თუ ომი მოხდებოდა, რუსები ადვილად დაამარცხებდნენ იაპონელთა ძალებს.³¹

ომის შედეგები ყველასთვის ცნობილია და აღარ გავაგრძელებთ ამაზე საუბარს აქ. უფრო მნიშვნელოვანია ომის ზემოქმედების აღქმა რუსი და იაპონელი ხალხის მიერ, მათი შეხედულებები მომავალში შეზღუდული დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ. 1904 წლამდე საშუალო იაპონელს შეხება არ ჰქონდა რუსეთთან და ამიტომ აზრი არ ჰქონდა, შორს იყო რუსებთან დაკავშირებით მარტივი ცნობისმოყვარეობისგანაც კი. თუმცა, 1904-05 წლის შემდეგ რუსებისა და იაპონელების დომინანტური იმიჯი თითოეულ ქვეყანაში განსაზღვრული იყო კონფლიქტური და საომარი პროპაგანდით. ეს არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რადგან მიმდინარე ომის დროს ურთიერთგაგების აღქმა არ იყო მანამდღური. მიუხედავად ამისა, ეს წარმოდგენები დალექილია უბრალო იაპონელებისა და რუსების გონებაში, რომ კვლავ

²⁷ Fairbank et al., *East Asia*, 555.

²⁸ P. Cherkasov and D. Chernishevskii, *Istoriia Imperatorskoi Rossii* (Moscow: Mezhdunarodnie Otnosheniia, 1994), 367. Trans. By author. Original quote is “Чтобы удержать революцию нам нужна маленькая война.»

²⁹ Wilson and Wells, “Introduction,” 8-9.

³⁰ Fuller, *Strategy and Power in Russia*, 377.

³¹ Cherkasov and Chernishevskii, *Istoriia Imperatorskoi Rossii*, 367.

გრძელდება მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი გავლენა და სავარაუდოდ, დღესდღეობითაც გრძელდება.³² საზღვაო ბრძოლა ცუშიმას სრუტეში და „პორტსმუთის ხელშეკრულება“ გახდა მტკიცე სიმბოლო რუსეთის ეროვნული დამცირებისა.(იხ. დანართი2.) მიუხედავად იმისა, რომ პორტ არტურზე თავდასხმა ალბათ არ იყო მათთვის სიურპრიზი, მაგრამ ომმა ბევრ რუსში გააჩინა შურისძიების ძლიერი სურვილი.³³ იაპონელთათვის ომი ძლიერ პოპულარულია და ეროვნული დიდების სიმბოლოდაა მიჩნეული, ამავდროულად გამაერთიანებელი ფაქტორია მოქალაქეებისთვის, რაც აკავშირებთ სახელმწიფოსთან.³⁴ თუმცა, მიუხედავად პოპულარობისა, ომი უზომოდ დამანგრეველია იაპონიისათვის. არა მარტო იაპონელები წურავდნენ თავიანთ ეკონომიკას, არამედ მათ შეიქმნეს მცდარი რწმენა, რომ „სული“ იყო და ყოველთვის იქნება წარმატების გასაღები.“ ეს რწმენა საუცხოოდ დადასტურდება, როდესაც იმპერიული ძალები 1941 წელს აშშ-ის წინააღმდეგ ჩაება ომში - ბევრად უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ვიდრე 1904 წელს იყო დასუსტებული რუსეთის სახელმწიფო.³⁵

1) მეგობრები თუ სასტიკი მტრები

ომის შემდეგ რუსეთი და იაპონია დაახლოების ფაზაში შევიდნენ. პორტსმუთის ხელშეკრულების თანახმად იაპონიამ უზრუნველყო საკუთარი ინტერესები კორეაში, რომლის ანექსიაც მან 1910 წელს მოახდინა, ასევე იაპონია და რუსეთი თანდათან მივიდნენ შეთანხმებამდე მანჯურიის დაყოფასთან დაკავშირებით.³⁶ თანამშრომლობის ეს მოკლე პერიოდი დასრულდა რუსეთის სამოქალაქო ომის

³² Mikhailova, “Japan and Russia: Mutual Images, 1904-05,” 152-154, 160-161.

³³ ADM Sergei G. Gorshkov, *Sea Power of the State*, trans. ed. (Annapolis, MD: Naval Institute Press, 1979) 87-89. Gorshkov claims there were enough signs leading up to the attack on Port Arthur including reports from a Russian agent in Japan that it was not really a surprise, or at least should not have been. This is consistent with the attitude of both sides toward the inevitability of war. However, the propaganda value within Russia was and still is significant. Current articles in the Russian press will occasionally reference the Russo-Japanese War, especially in connection with the territorial dispute.

³⁴ Wilson and Wells, “Introduction,” 19.

³⁵ S.P. MacKenzie, “Willpower or Firepower? The Unlearned Military Lessons of the Russo-Japanese War,” in *The Russo-Japanese War in Cultural Perspective, 1904-05*, ed. David Wells and Sandra Wilson (New York: St. Martin's Press, 1999), 37.

³⁶ Wilson and Wells, “Introduction,” 21-22.

შემდეგ, როდესაც ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. იაპონია 1918 წელს ციმბირში შეიჭრა ბრიტანელებთან, ფრანგებთან და ამერიკელებთან ერთად, რათა „დაეცვათ ჩეხი ჯარისკაცები.“ ტოკიოსთვის ეს ჩარევა იყო ძლივს შენიღბული მცდელობა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოების მიმართულებით.³⁷ იაპონელებს საბოლოოდ სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდათ საბჭოთა პარტიზანებისგან, რადგან „ინტერვენცია“ დროში გაიწელა მანამდე, სანამ ყველა მოკავშირე ქვეყნის ჯარმა არ დატოვა საბჭოთა ტერიტორია, რის შემდეგაც „წითლებმა“ შეძლეს საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაცია ქვეყანაში. იაპონური პოლიტიკის მიზანი ინტერვენციის პერიოდში იყო ის, რომ „თეთრი“ რუსების ლიდერებს ვერ მოეხდინათ კონსოლიდაცია და ციმბირის დაუფლება, ვიდრე მათ ბოლშევიკური რევოლუცია არ დაამარცხებდა. აქედან გამომდინარე, მათ მხარს უჭერდა ბევრი „ლიდერი“, რომლის „ოპოზიციაც“ - ბოლშევიკები, ჩართული იყვნენ მოროდორობასა და მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობებში.³⁸ დიპლომატიურად იზოლირებულმა ქმედებამ, რომელმაც მხარდაჭერა ვერ მოიპოვა საკუთარ ქვეყანაში იაპონელები იძულებული გახადა, რომ 1922 წლის ოქტომბერში საკუთარი ჯარები საბოლოოდ გამოეყვანათ.

საბჭოთა კავშირს არასოდეს დაავიწყებოდა იაპონიის ანტი-ბოლშევიკური ქმედებები ციმბირსა და სახალინში, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთ-იაპონიის ომზე. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ მოგონებები იაპონური ინტერვენციისა იყო საბჭოთა პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორი იაპონიის წინააღმდეგ ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.³⁹ ორმხრივი უნდობლობის კარგი მიზეზი არსებობდა, თუმცა იაპონური ქმედებები ომებს შორის პერიოდში გამოირჩეოდა საბჭოთა თევზჭერისა და გემების შევიწროვებით, საბჭოთა ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევით კამჩატკის ნახევარკუნძულზე და უხეში დარღვევით იაპონური თევზსაჭერი გემების მიერ საბჭოთა ტერიტორიული წყლებისა, რაშიც მათ

³⁷ Tsuyoshi Hasegawa, *Between War and Peace, 1697-1985*, Vol. 1 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 33.

³⁸ William F. Nimmo, *Japan and Russia: A Reevaluation in the Post-Soviet Era* (Westport, CT: Greenwood Press, 1994), 8.

³⁹ Hasegawa, *Between War and Peace*, 33; Nimmo, *Japan and Russia*, 10; Wilson and Wells, “Introduction,” 22.

დახმარებას უწევდა საიმპერატორო ფლოტი.⁴⁰ გარდა ამისა, იაპონელები აქტიურობდნენ ან ახლოს მიიწევდნენ საბჭოთა საზღვართან ჩინეთში, მანჯურიასა და გარე მონღოლეთში. საბჭოელებმა წარმართეს რევოლუციური და დივერსიული საქმიანობა იაპონიის ხელისუფლების წინააღმდეგ, ასევე კომინტერნის აქტივობებითა და ჯაშუშური ქსელით, რომელსაც ხელმძღვანელობდა საიმედოდ ჩანერგილი აგენტი რიჩარდ ზორგე (Richard Sorge - რუს.: კოდური სახელი - რამზაი (1895-1944 წწ.).⁴¹

ორ ქვეყანას შორის მოახლოებული დაპირისპირება ხანგრძლივად ვერ დარჩებოდა მიძინებული. 1939 წელს იაპონიისა და საბჭოთა ჯარები ჩართულნი იყვნენ ფართო მასშტაბიან ომში მანჯურიელთა საზღვართან საბჭოთა კავშირის კლიენტ-სახელმწიფო მონღოლეთთან ერთად. მძიმე ბრძოლები, რომელიც 1939 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა, საბჭოთა რუსეთმა წარმოაჩინა „აქამდე უხილავი იაპონური სამხედრო უპირატესობა.“⁴² რადგან იაპონელებმა ვერ დაამარცხეს საბჭოელები ხმელეთზე, ამიტომ ცდილობდნენ შეთანხმებას. მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა თავდაპირველად სახალინი და კურილის ყველა კუნძული მოითხოვა, 1941 წლის აპრილში ევროპის სიტუაცია გაუარესდა და საბჭოთა დიქტატორი დათანხმდა იაპონიასთან ნეიტრალიტეტის პაქტის დადებას ძირითადი დათმობების გარეშე.⁴³ პაქტის მთავარი მუხლი ითვალისწინებდა იმას, რომ „ორივე მხარე ომში ჩართული იყო კიდევ სხვა ძალებთან ერთად და სხვა ძალები დაიცავდნენ ნეიტრალიტეტს“ მთელი კონფლიქტის განმავლობაში.⁴⁴ პაქტის მოქმედების ვადა გათვლილი იყო 5 წელზე, ანუ 1946 წლის აპრილამდე.

ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის როლმა და მისმა გაუქმებამ 1945 წელს საბჭოთა კავშირის მიერ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იაპონელთა პრეტენზიებზე სადავო კუნძულებთან დაკავშირებით.⁴⁵ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 1941 წელს არცერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს და არც პაქტს არ დაარღვევდნენ ნებისმიერ

⁴⁰ Stephen, *The Kuril Islands*, 129-130.

⁴¹ David Rees, *The Soviet Seizure of the Kurils* (New York: Praeger Publishers, 1985), 24-25.

⁴² Nimmo, *Japan and Russia*, 13.

⁴³ Hasegawa, *Between War and Peace*, 38, Nimmo, *Japan and Russia*, 13.

⁴⁴ Rees, *The Soviet Seizure of the Kurils*, 36.

⁴⁵ NIDS, Interview.

დროს, თუ ეს მათ მიზნებს არ შეესაბამებოდა.⁴⁶ იალტის კონფერენცია იყო განმსაზღვრელი მომენტი აშშ-ის დავაში ჩართვისა. რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის მიღწეული ბევრი შეთანხმება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოს მოწყობასთან დაკავშირებით საიღუმლო იყო, ასევე უცნობია ამ შემდგომი გადაწყვეტილების დამგეგმავი აშშ-ის მთავრობისა და სამხედრო სფეროს წარმომადგენლებიც.⁴⁷ რუზველტს სჯეროდა, რომ კუნძულები ეკუთვნოდა რუსეთს იაპონია-რუსეთის ომის შემდეგ და ჰქონდა ფიქრობდა, რომ სტალინი არ დაეთანხმებოდა კორექტირებას, თუმცა არა მგონია, რომ ეს ყოფილიყო რუზველტის ცნობილი ჭეშმარიტება და ის არ მოქმედებდა განსხვავებულად.⁴⁸ სულ რაღაც 15 წუთში რუზველტი (ფ.დ.რ.) დაეთანხმა სტალინის წინადადებას კურილის კუნძულების საბჭოთა კავშირისთვის „გადაცემის“ თაობაზე, რასაც სტალინი ამართლებდა მცდელობით, რომ ხელში ჩაეგდო კუნძულები 1945 წელს იაპონელთა კაპიტულაციის შემდეგ. 1945 წლის აპრილში, გერმანიის დაცემის შემდეგ, მოლოტოვმა განუცხადა ელჩ სატოს, რომ ნეიტრალიტეტის პაქტი არ განახლდებოდა და როგორც 9 აგვისტოს საბჭოთა კავშირი საომარ მდგომარეობაში იყო იაპონიასთან, ასევე შენარჩუნდებოდა აღნიშნული მდგომარეობა.⁴⁹

ატომური ბომბი არ იყო სიურპრიზი სტალინისთვის, რომელსაც უკვე აცნობეს მისი მომზადების შესახებ და რომელიც ფლობდა ინფორმაციას ჯაშუშისგან მანჰეტენის პროექტის შესახებ. თუმცა, ის არ ელოდა ბომბის ასე სწრაფად ჩამოგდებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ჯარები ჯერ კიდევ არ იყვნენ სრულად მომზადებულნი, მან მაინც ბრძანა 9 აგვისტოს მანჯურიასზე თავდასხმა.⁵⁰ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა თავდასხმა დაიწყეს დაახლოებით 30 წუთის შემდეგ, რაც

⁴⁶ Foreign Minister Matsuoka, Who negotiated and signed the pact for Japan, was urging war against the Soviets immediately after the German invasion, saying, “Japan should wait for the precise moment for the ripe persimmon to fall to the ground.” Hasegawa, *Between War and Peace*, 41.

⁴⁷ Stephen, *The Kuril Islands*, 150.

⁴⁸ Stephen, *The Kuril Islands*, 152-155. Stalin had first mentioned his “price” for entering war against Japan at the Teheran Conference in 1943. Roosevelt went to Teheran believing the Kurils had been taken from Russia during the Russo-Japanese War, and did not know they had been exchanged through a peaceful treaty nearly 30 years before that war. A memorandum was provided by the State Department for Roosevelt and Secretary of State Cordell Hull, but neither man read the document. Roosevelt was more concerned with Soviet intentions in China, and would have likely considered the Kurils and Sakhalin a minor price to pay for Soviet assistance.

⁴⁹ Nimmo, *Japan and Russia*, 23; Hasegawa, *Between War and Peace*, 58-59.

ელჩმა სატომ წაიკითხა შეტყობინება ომის გამოცხადების შესახებ. მომდევნო დღეს საბჭოთა ჯარები ჩრდილოეთ სახალინს დაესხა თავს, ხოლო იაპონური ძალები კუნძულის სამხრეთ ნაწილს. სასტიკი ბრძოლები გრძელდებოდა 19 აგვისტომდე, როდესაც ყველა იაპონელი საბოლოოდ ჩაბარდა, თუმცა ცალკეული წინააღმდეგობები კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდა იაპონელ ჯარისკაცებს შორის.⁵¹

18 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა დაიწყო თავდასხმა კურილის კუნძულებზე - ცხრა დღის შემდეგ ომი გამოაცხადეს, 8 დღის შემდეგ რაც იაპონელებმა მიიღეს პოტსდამის პირობები, 4 დღის შემდეგ რაც მოკავშირეებმა უპასუხეს და სამი დღის შემდეგ რაც იმპერატორმა გამოაცხადა საკუთარი შეხედულებები იმაზე, რომ ეს ომი იყო. ოპერაციები დასრულებულ იქნა 5 სექტემბერს, როდესაც საბჭოელებმა თავიანთი ძალების კონსოლიდაცია მოახდინეს ჰაბომის კუნძულებზე. იმავე დღეს სტალინმა საბჭოთა მოსახლეობას განუცხადა, რომ „ორმოცი წლის განმავლობაში, ჩვენ, კაცების უფროსი თაობა, ველოდით ამ ომს. და ახლა დადგა ეს დღეც. ამიერიდან სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები იქნება ოკეანესთან კომუნიკაციის პირდაპირი საშუალება და როგორც ბაზა იაპონიის აგრესიისგან ჩვენი ქვეყნის თავდასაცავად. ჩვენ გავიმარჯვებთ.“⁵² კურილის კუნძულები ანექსირებულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ 20 სექტემბერს.

2) რატომ „ჩრდილოეთ ტერიტორიები“

იაპონელები რატომ აცხადებენ პრეტენზიას მხოლოდ ოთხ კუნძულზე, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია იაპონიაში, როგორც „ჩრდილოეთ ტერიტორიები“ ან „ჰოკაიდო რიოდი“? პასუხი შეგვიძლია ვიპოვოთ 1947 წლიდან 1951 წლამდე პერიოდში, როდესაც ხელი მოეწერა სან-ფრანცისკოს ხელშეკრულებას. 1951 წლის კორეის ომის ყველაზე ცხელ პერიოდში ჩინეთი „დაკარგული“ იყო „მსოფლიო კომუნიზმში“, ხოლო საბჭოელებმა ამერიკელებს აჩვენეს, რომ აღარ ფლობდნენ (ამერიკელებს) ბირთვულ მონოპოლიას, რის გამოც მოხდა 1948 წლის ბერლინის კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ოკუპაციის მიზანი თავდაპირველად

⁵¹ Hasegawa, *Between War and Peace*, 61.

„დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია“⁵³ იყო, 1951 წლიდან აშშ ეძებდა აზიელ მოკავშირეს ჩინეთის ჩასანაცვლებლად. როგორც გერმანიის ევროპაში, ასევე იაპონიასაც შესთავაზეს რამდენიმე უპირატესობა: ინდუსტრიალიზებული ეკონომიკა, ბეჯითი მუშახელი და საბჭოთა კავშირთან სიახლოვე.

მიმდინარე დავაში აშშ-ის როლი იწყება რუზველტის მიერ კურილის კუნძულების დათმობით, როგორც რუსების ყოფილი ტერიტორიებისა, რომელიც მიტაცებული იყო იაპონური „ძალადობისა და სიხარბის“ მეშვეობით.⁵⁴ ჯონ ფოსტერ დალესი, სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური მრჩეველი იაპონიაში მშვიდობიანი დასახლებების საკითხებში, პასუხისმგებელი იყო პროექტის დაწერაზე, რომელსაც საბოლოოდ, მიიღებდნენ, როგორც სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებას. რესპუბლიკელი დალესი ტრუმენმა 1950 წელს დანიშნა, რათა უზრუნველყო ორივე მხარის მხარდაჭერა ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებებზე. იგი იყო აშშ-ის მთავარი მომლაპარაკებელი, რომელიც ასევე აწარმოებდა მოლაპარაკებებს შორეული აღმოსავლეთის კომისიის (შაკ) ყველა წევრ ერთან, რომელიც 11 ქვეყანას მოიცავდა და რომელთანაც იაპონელებს ჰქონდათ ომი, ასევე ცდილობდა სხვა 40 ერისთვის, რომელსაც იაპონიამ ომი გამოუცხადა, იმის დამტკიცებას, რომ საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულება მისაღები იქნებოდა ყველა მხარისათვის.⁵⁵ ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა შორეული აღმოსავლეთის კომისიის ყველა წევრ სახელმწიფოსთან, რომელშიც საბჭოთა კავშირის ჩართვა რთული აღმოჩნდა, განსაკუთრებით ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით. დალესი მუდმივად ამტკიცებდა, რომ პოტსდამის დეკლარაცია იყო პირველადი იურიდიული დოკუმენტი, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო ხელშეკრულება და რომ ყველა სხვა შეთანხმება ექვემდებარება ხელშეკრულების

⁵³ Hasegawa, *Between War and Peace*, 78.

⁵⁴ Department of State, *Foreign Relations of the United States: The Conferences at Cairo and Tehran, 1943* (Government Printing Office: Washington, D.C., 1961), 48-49. Also qtd. in Rees, *The Soviet Seizure of the Kurils*, 152. The Cairo Declaration stated that Japan would be “stripped of all islands in the Pacific which she had occupied since the beginning of the First World War in 1914... [and] expelled from all other territories which she has taken by violence and greed”. At Yalta, Roosevelt believed the Kurils had been taken from Russia through war in 1904-1905 when the central and northern islands had been peacefully exchanged in 1875. The four islands in dispute closest to Japan were never occupied by Russia.

⁵⁵ Rees, *The Soviet Seizure of the Kurils*, 90; Nimmo, *Japan and Russia*, 29-38.

მემკვიდრეობით დადასტურებას.⁵⁶ მისი პროექტი იყო პირველი მკაფიო უარი იალტის შეთანხმებებზე საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე სახელმძღვანელო საფუძველია ომის შემდგომი ახალშენების შექმნის კუთხით და ხელშეკრულება „არ გადასცემდა“ კურილებს საბჭოელებს, როგორც ეს განსაზღვრული იყო იალტის შეთანხმების თანახმად. ოფიციალურად, „შეერთებულმა შტატებმა დაიკავა ისეთი პოზიცია, რომ უფლება შეიძლება გადაეცეს მხოლოდ იმ ერებს, რომლებსაც სურთ, რომ იყვნენ სამშვიდობო ხელშეკრულების მხარეები,“ წინააღმდეგ შემთხვევაში იაკონია უარს აცხადებს მიმდებარე პრეტენზიაზე, თუ სხვადასხვა ტერიტორიები დასახელების გარეშე იქნება მოთხოვილი.⁵⁷ ამ პოზიციას გაემიჯნა იალტის შეთანხმება იმის გამო, რომ კურილის კუნძულები არ იყო ავტომატურად „გადაცემული“ საბჭოელებისთვის სრული საერთაშორისო აღიარებით. ომის დასასრულს ჩამორთმეულ ტერიტორიაზე უდავო უფლების მოსაპოვებლად საბჭოთა კავშირი იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო და ხელიც მოეწერა 1951 წლის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის.(იხ. დანართი3.) დალესმა ზუსტად იწინასწარმეტყველა, რომ საბჭოელები უარს იტყოდნენ ხელშეკრულების ხელმოწერაზე.⁵⁸ სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგი იყო ის, რომ საბჭოელებმა უარი განაცხადეს ხელმოწერაზე და სოლივით გაიჩხირნენ იაკონელებსა და საკუთარ თავს შორის. ცუიოში ჰასეგავას ინტერპრეტაცია ასეთი იყო, რომ დალესმა ეს შეიმუშავა ირედენტის წასახალისებლად საბჭოთა კავშირის მიმართ და გადაამისამართა ომში დამარცხებით გამოწვეული მათი მტრობა აშშ-სგან მოშორებით.⁵⁹ მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მისი ფარული განზრახვა, „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ შესახებ დავა ამის პირდაპირი შედეგი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების მიზანი ტერიტორიული დავის გაღვივება იყო და მიუხედავად ამისა, „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ კონცეფციის მითითება 1950 წელს მოხდა, როგორც ცივი ომის უმაღლესი წერტილი. შესაძლებელია, რომ ეს საკითხი წარმოიშვა აშშ-ის ქმედების მიუხედავად ან შესაძლოა საბჭოთა

⁵⁶ Rees, *The Soviet Seizure of the Kurils*, 91.

⁵⁷ Nimmo, *Japan and Russia*, 40.

⁵⁸ Hasegawa, *Between War and Peace*, 85-88.

⁵⁹ Hasegawa, *Between War and Peace*, 89.

კავშირის მიერ სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად. თავდაპირველად იაპონელები აცხადებდნენ „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ შესახებ, რომ ისინი არის იაპონიის „თანდაყოლილი ტერიტორიები“. ჰიროში კიმურა, ჰოკაიდოს უნივერსიტეტის ყოფილი სლავური კვლევითი ცენტრიდან, განსაზღვრავდა „თანდაყოლილი ტერიტორიების“ კონცეფციას როგორც „ტერიტორიის“, რომელიც განიხილება ისტორიულად და სამართლებრივად, როგორც ნაწილი მართო ერთი კონკრეტული ქვეყნისა იმის გამო, რომ იგი ამ ერს ეკუთვნოდა უძველესი დროიდან და არც ერთი სხვა ერი არ ფლობდა მათ არასდროს.“⁶⁰ მიუხედავად იმისა, რომ ეს კონფერენცია II-ე თავში უფრო დეტალურად იქნება განხილული, აქ კი შევნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ეს ოთხი კუნძული, რომელზეც ახლა იაპონიას პრეტენზია აქვს მანამდე არასოდეს ყოფილა რუსების კონტროლის ქვეშ, სანამ 1945 წელს საბჭოთა კავშირის მიერ არ იქნა ჩამორთმეული. ამ ოთხი კუნძულის მოთხოვნა დადგენილ იქნა იაპონური მთავრობის პოლიტიკის შედეგად, რადგან ეს მიღებული იქნა, როგორც 1956 წელს დაარსებული ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი.⁶¹ ყველა სხვა ძირითად პარტიას კი მუდმივად უნდა მოეთხოვათ მთელი კურილის კუნძულების ჯაჭვის უკან დაბრუნება. იაპონიის კომუნისტური პარტია მოითხოვდა სახალინის მთლიან კუნძულს - ეს იყო ყველაზე ფართო ტერიტორიული მოთხოვნა იაპონიის ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის მხრიდან.⁶²

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ გამოიყენა სამართლებრივი არგუმენტები და ოფიციალურად ეხებოდა საბჭოელების მიერ 1945 წელს ნეიტრალიტეტის პაქტის

⁶⁰ Hiroshi Kimura, *Japanese-Russian Relations Under Brezhnev and Andropov*, vol. 1 of *Distant Neighbors* (Armonk, NY: M.E. Sharpe, 2000), 58. Hiroshi Kimura is one of the best known Japanese researchers of the “Northern Territories”, and has been nicknamed by colleagues, “Mr. Northern Territories”. He has recently reached retirement age (as of 2002) and has left the public university system for a private teaching post in Tokyo. He is best known for his work while attached to the Slavic Research Center at Hokkaido University).

⁶¹ The Liberal Democratic Party merges the interests of party and state in a way not wholly dissimilar from the Communist Party in China or the former Soviet Union. Since its creation in 1956, the LDP has been in control of the Prime Ministerial position for all but two brief periods in the 1990’s when it briefly lost power and a second time when allowed a coalition partner to have the post. The first period was from July 1993 to April 1994 when an opposition party coalition briefly held power under the Social Democratic Party and the second from June 1994 to January 1996 when the New Komeito party was given the post.

⁶² Mid-level officials in the Political Section and Defense Attache office at the American Embassy, interview by author, Nagatcho, Tokyo, Japan, 25 June 2002.

გაუქმებას (რომელიც არ აპირებდა უფრო მეტად ეცა პატივი საკუთარი თავისთვის, ვიდრე ეს შეეფერებოდა მათ მიზნებს), ან იალტის ხელშეკრულების გაბათილებას იმიტომ, რომ ეს იყო საიდუმლო შეთანხმება, რაც რჩება მთავარ არგუმენტად და იაპონელები არ განიხილავენ იმას, რასაც ახლა „ჩრდილოეთ ტერიტორიებს“ უწოდებენ, მაგრამ ოდესღაც ეს არსებობდა და იყო იაპონური. ისტორიული ჩანაწერები ამჟამად რეალურად წამგებიანია, რადგან ოთხივე კუნძული ყოველთვის ადმინისტრირებული იყო როგორც ჰოკაიდოს ნაწილი, რადგან მათი კოლონიზაცია 1799 წელს მოხდა განსხვავებით სახალინისა ან ეტოროფუს ჩრდილოეთით მდებარე კურილის კუნძულებისა.⁶³ იაპონელებისთვის სამართლებრივი პრობლემები კუნძულებზე დავასთან დაკავშირებით წარმოიშვა სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სადაც იაპონია უარს ამბობს „ყველა უფლებაზე, სახელწოდებასა და პრეტენზიაზე კურილის კუნძულებთან“ დაკავშირებით.⁶⁴ იაპონურ ტექსტში კურილის კუნძულები მოხსენიებულია როგორც „ჩიშიმა რეტო“, რომელიც მიუხედავად იმისა თუ ვინ აკონტროლებს, კუნძულები ყოველთვის, თეორიულად, მოიცავდა კუნაშირისა და ეტოროფუს. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ იაპონია ცალმხრივად ადასტურებდა სან-ფრანცისკოს ხელშეკრულების პირობებს და ის ვერ შეინარჩუნებდა პრეტენზიას ამ კუნძულებზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის პრეტენზია სწორია კუნძულების სამართლებრივად შენარჩუნებასთან დაკავშირებით.⁶⁵ ამის საპასუხოდ არის ადრე აღნიშნული არგუმენტი, რომ ოთხივე კუნძულს ფლობდა იაპონია, რომელიც არ შეადგენდა დიდი კურილის კუნძულების ჯაჭვს, რადგან „კურილის კუნძულები“ იაპონიას რუსეთისგან 1875 წელს გადაეცა და ამ დროიდან უკვე იაპონიის მფლობელობაში იყო ეს ოთხი სადავო კუნძული.⁶⁶ იაპონელები ამბობენ, რომ ცხადია რუსეთი იაპონიას ვერ მისცემს იმას, რასაც ის არ ფლობს, ამიტომაც „ჩრდილოეთ

⁶³ Stephen, *The Kuril Islands*, 69-70, 96. After colonization in 1799, the central shogunate government took direct control of the northern half of Ezo (as Hokkaido was called), Kunashiri and Etorofu. Direct control was expanded to all of Ezo and Sakhalin in 1807. The entire region was returned in 1821 to the Matsumae clan, the traditional rulers of Ezo).

⁶⁴ “Treaty of Peace With Japan, 8 September 1951”, Taiwan Document Project [cited 25 February 2002], available at www.taiwandocuments.org/sanfrancisco01.htm; INTERNET.

⁶⁵ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 525-526.

⁶⁶ NIDS, Interview.

ტერიტორიები“ არ არის „კურილის კუნძულების“ ნაწილი პეტერბურგის ხელშეკრულების მიხედვით.

რუსები ასევე ითხოვენ უფლებას ოთხ სადავო კუნძულთან დაკავშირებით, რაც ეფუძნება სამართლებრივ და ისტორიულ პრეტენზიებს, თუმცა რუსების პრეტენზიებიც იაპონელებისას ჰგავს და უფრო ემოციურია, ვიდრე არსებითი. რუსი მეცნიერებისა და ნაციონალისტების არგუმენტები არ ჩამორჩებოდა მათსავე პრეტენზიებს, კერძოდ: ადრეული კვლევები და აღმოჩენები; 1904 წლის თავდასხმა პორტ არტურზე და 1918-22 წლებში იაპონელთა ინტერვენცია იყო უკანონო აქტი, რომლის შედეგადაც გაუქმდა ყველა წინა ხელშეკრულება ორ იმპერიას შორის და საბჭოელები გათავისუფლდნენ ნებისმიერი ვალდებულებისგან. ეს ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განსაკუთრებით ბოლო პრეტენზიას, რადგან სახელმწიფოებს შორის ომამდე (რუსეთ-იაპონიის ომი) და სახელმწიფო მემკვიდრეობის შემდეგ (საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფო რუსეთი), რამაც ავტომატურად გააუქმა ყველა წინა ხელშეკრულება, როგორც აცხადებდნენ საბჭოელები და ახლა კი რუსები.⁶⁷ 1855 წლის შიმოდას ხელშეკრულება და 1875 წლის პეტერბურგის ხელშეკრულება, ორივე მშვიდობიანი მოლაპარაკებების პირობებში მიმდინარეობდა, რომლის დროსაც, სავარაუდოდ, იაპონია იყო სუსტი პარტნიორი.

რუსების სამართლიანი პრეტენზიები მოდის მეორე მსოფლიო ომის დროინდელი იალტის ხელშეკრულებიდან და პოტსდამის დეკლარაციიდან გამომდინარე. იალტაში რუზველტმა სტალინს გადასცა კურილები, როგორც საბჭოელების იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვის გასამრჯელო.

პოტსდამის დეკლარაციამ გაამყარა ის პრეტენზია, რომელიც ოფიციალურად ზღუდავდა იაპონელების სუვერენიტეტს ოთხ ძირითად კუნძულზე და „ასეთი მცირე კუნძულები განსაზღვრულ იქნა მოკავშირეების მიერ“.⁶⁸ მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა სწრაფად მონიშნეს მიჯნები იმ დოკუმენტებში, სადაც მათი პრეტენზიების სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბებული იყო და თანაც არასათანადოდ

⁶⁷ Louis Henkin, Richard Crawford Pugh, Oscar Schachter and Hans Smit, *International Law: Cases and Materials*, 3rd ed. (St. Paul, MN: West Publishing Co., 1993), 503-535.

⁶⁸ Stephen, *The Kuril Islands*, 32; “Potsdam Proclamation, 26 July 1945”, in Department of State, *The Conference of Berlin (Potsdam)*, 1945, vol. 2 (Washington D.C., 1960) 1281, quoted in Rees, *The Soviet Seizure of the Kurils*, 153.

აღნიშნული, ამიტომაც სტალინმა თავადვე გააუქმა ორივე დოკუმენტი თავისი ომის შემდგომი პოლიტიკის თანახმად და ეს იყო უბრალო ფორმალობა უფრო მისი მოკავშირეების საკეთილდღეოდ, ვიდრე მისი ქმედებების შესაზღვრად. ერთ-ერთი იაპონელი მეცნიერის თვალსაზრისით, იალტა ქმნიდა ორ პრობლემას პრეტენზიის სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით. პირველ რიგში, არსებობდა საიდუმლო შეთანხმების შესაბამისი ოქმი და როგორც ჰასეგავა აღნიშნავს, „ძნელია იაპონიის არგუმენტის უარყოფა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ იყო ვალდებული საიდუმლო შეთანხმებაზე თანხმობა განეცხადებინა, რომლის არსებობაც საერთოდ უცნობი იყო“.⁶⁹ მეორეც, სტალინმა არასოდეს შეასრულა ბოლომდე ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა განსაკუთრებით ომის შემდგომ პოლონეთსა და ზოგადად, აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფალი არჩევნების ჩატარების საშუალების მიცემას. გარდა ამისა, პოტსდამის დეკლარაცია მოუწოდებდა სამხედრო ტყვეებს დაუყოვნებელი რეპატრიაციისაკენ. მაგრამ სტალინმა დაარღვია ეს შეთანხმება და 640 ათას იაპონელ ტყვეს იყენებდა, როგორც მონას გულაგებში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და ეს ის საკითხი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ბევრ იაპონელში იწვევს აღშფოთებას. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელებმაც იგივე გააკეთეს იმ ტერიტორიებზე, რომელიც მათ დაიპყრეს, საბჭოთა ქმედებებმა იაპონელებში შექმნა გრძნობა მსხვერპლად შეწირულებისა, რომელიც ბევრ ადამიანს შეეხო. ასევე შესასწავლი იყო კვანტუნის არმიის მსგავსი ქმედებები ჩინეთსა და მანჯურიაში, რათა მომავალში თავიდან ყოფილიყო აცილებული ასეთი რამ. მიუხედავად ამისა, როდესაც 1957 წელს ბოლო სამხედრო ტყვეც კი დააბრუნეს საბჭოელებმა, უკვე გარდაცვლილი ან გამქრალი იყო 60 ათასი იაპონელი სამხედრო ტყვე.⁷⁰ კითხვა კი ასეთია: რამდენად შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ სარგებელი ნახოს ხელშეკრულებებიდან, რომელსაც თავადაც არ იცავს?!

როგორც არ უნდა იყოს სამართლებრივი არგუმენტები, რუსების რეალური პრეტენზიები კუნძულებზე უფრო გულისტკენის გამომხატველი იყო იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთმა მეორე მსოფლიო ომში გაიმრჯვა, ხოლო იაპონია კი

⁶⁹ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 523.

⁷⁰ Hasegawa, *Between War and Peace*, 72.

დამარცხდა და ეს მიჯნა მკვეთრად იყო გამოხატული ხრუმჩოვის დროინდელი - 1956 წლის მოლაპარაკებების დროს.⁷¹ თუ დავესხებით ყოფილ საბჭოთა (ახლა უკვე უკრაინელ) ოფიცერს, დიდი სახელმწიფო არ დათმობს ტერიტორიებს განსაკუთრებით იმ ქვეყანასთან, რომელიც მან უკვე დაამარცხა.⁷² კიმურა აღნიშნავს, რომ მიუხედავად კაიროს დეკლარაციისა, საბჭოთა კავშირმა მოიპოვა 670 ათასი კმ² როგორც მეორე მსოფლიო ომის შედეგი და ეს ფართობი დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და საბერძნეთის გაერთიანებული ტერიტორიის ზომის იყო, რომლის მცირე ნაწილსაც შეადგენდა „ჩრდილოეთ ტერიტორიები“.⁷³ ამრიგად, საბჭოთა მოქმედებები მეორე მსოფლიო ომში იყო ისტორიული ნიმუშის გაგრძელება, როდესაც დაპყრობილი ტერიტორიების შერწყმა ხდებოდა ცნებასთან - რუსული სამშობლო. რუსი ხალხისთვის კურილები ჯილდო იყო ომში მათი მსხვერპლის სანაცვლოდ, ისევე როგორც საბოლოო შურისძიება ეროვნული დამცირებისათვის, რომელიც რუსულ-იაპონური ომის შედეგად მიიღეს. ომის შედეგები უკვე ხელშეუხებელია და მიუხედავად ამისა, საბჭოთა/რუსი მეცნიერები ვერ ასახელებენ ვერც ერთ იურიდიულ დოკუმენტს, რომელშიც დასტურდება იაპონიის მიერ სადავო ტერიტორიების საბჭოთა კავშირისთვის/რუსეთისთვის გადაცემა, თუმცა არგუმენტი მოიყვანა ყოფილმა საბჭოთა პრემიერმა ალექსეი კოსიგინმა 1969 წელს და 1977 წელს ყოფილმა საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ „ეროვნული საზღვრები, როგორც ახლა არის, არ უნდა დაექვემდებაროს ცვალებადობას,“ და „ახლანდელი სიტუაცია გამოიწვია ზოგიერთმა საერთაშორისო და ორმხრივმა ხელშეკრულებებმა და შეთანხმებებმა“.⁷⁴ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა რუსეთის საზღვრები, მენტალიტეტი ოთხ სადავო კუნძულთან დაკავშირებით კვლავ შემამფოთებელი დარჩა.

⁷¹ Jonathan Haslam, “The Pattern of Soviet-Japanese Relations Since World War II,” in Tsuyoshi Hasegawa, Jonathan Haslam and Andrew Kuchins, eds., *Russia and Japan: An Unresolved Dilemma Between Distant Neighbors* (Berkeley: University of California, 1993), 17.

⁷² LCOL Evgenii Akhmalidinov, *Ukrainian Air Forces*, conversation with author, 11 June 2002.

⁷³ Kimura, *Japanese-Russian Relations Under Brezhnev and Andropov*, 23.

⁷⁴ Kimura, *Japanese-Russian Relations Under Brezhnev and Andropov*, 65.

1955-56 წლების მოლაპარაკებები, რომელმაც აღადგინა ურთიერთობები საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის გაგრძელდა მცირე ხანს, როდესაც თითქოს ჩანდა, რომ შესაძლებელი იყო სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება და რეზოლუციის მიღება, რასაც იმ დროს ხელი შეუშალა ტერიტორიულმა საკითხებმა. ლონდონში საბოლოო მოლაპარაკებებზე საბჭოთა წარმომადგენელმა იაკობ მალიკმა არაოფიციალურად შესთავაზა დათმობა ორი პატარა კუნძულის - შეკოტანისა და ჰაბომის ხელშეკრულების მიღების სანაცვლოდ. ნავარაუდები იყო, რომ ამერიკულმა ჩარევამ აღკვეთა იაპონელთა მიერ ორი კუნძულის გადაცემის საკითხი მაშინ, როდესაც ჯონ ფოსტერ დალესი დაემუქრა, რომ თუ იაპონია უარს იტყოდა თავის პრეტენზიებზე კუნძულებთან და ეტოროფუსთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავდა ოკინავას ანექსიას.⁷⁵ მიუხედავად იმისა, რომ დალესის ჩარევას შეიძლება ჰქონოდა გარკვეული გავლენა, ალბათ მაინც არ უთამაშია ცენტრალური როლი იაპონელ-ამერიკელი მეცნიერის ცუიოში ჰასეგავას თანახმად და ეს არ გამოდგება საბოლოოდ ჩამოყალიბებული მოლაპარაკებების მიზეზად, რომლის მიზანიც იყო ხელშეკრულების გაფორმება. იაპონელთა პოზიციას ამარაგებს ის, რომ შესაძლოა ეს ყოფილიყო ხელისუფლებისათვის ბრძოლის შედეგი საგარეო საქმეთა მინისტრ შიგემიცუსა და პრემიერ-მინისტრ ჰატოიამას შორის, ვისი დემოკრატიული პარტიაც გაერთიანდა ლიბერალურ პარტიასთან და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იოშიდამ შექმნა დღევანდელი ლიბერალ-დემოკრატიული პარტია (ლდპ).⁷⁶ ერთ-ერთი რეალობაა ისიც, რომ 1951 წელს იაპონიის მთავრობამ სხვადასხვა მიზეზის გამო შეცვალა პოზიცია, როდესაც იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა იაპონელ მოლაპარაკებლებს მისცა მითითებები იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის მისაღები იყო მხოლოდ ოთხივე კუნძულის დაბრუნება. მიუხედავად იმისა, რომ დასახლება ამერიკელებს ჰქონდათ აღებული და არასასიამოვნო პოზიციაში იყვნენ ოკინავას (vis-a-vis) ბუნებრივი ძალის წინაშე, მაშინ საბჭოელებმა

⁷⁵ Hasegawa, *Between War and Peace*, 124.

⁷⁶ Peter Berton, "The Japanese-Russian Territorial Dilemma: Historical Background, Disputes, Issues, Questions, Solution Scenarios or A thousand Scenarios for the Thousand Islands Dispute", white paper, Strengthening Democratic Institutions Project, John F. Kennedy School of Government, Harvard University, Cambridge, MA, 1992, 55; Haslam, "The Pattern of Soviet-Japanese Relations Since World War II," 14-15.

იგრძნეს, რომ მათ უნდა ეკარნახათ პირობები და სხვა ყველაფერი უკვე დაკარგული პრესტიჟის ტოლფასი იქნებოდა.⁷⁷

3) "ჩრდილოეთ ტერიტორიების" ღირებულება

კურილის კუნძულები, კერძოდ ჩრდილოეთის ოთხი ტერიტორია, რომლის შესახებაც ისტორიაში მრავალი კომენტარია, მიუხედავად იმისა, რომ მათი როლი იშვიათადაა აღიარებული. ეს იყო რუსებისგან კუნძულების ჯაჭვის ჩრდილოეთის მხრიდან ხელყოფა, რამაც იაპონია იძულებული გახადა, რომ გამხდარიყო აზიაში პირველი „თანამედროვე“ დასავლური ტიპის სახელმწიფო. 1941 წლის ნოემბერში, როდესაც აშშ-ის დაზვერვამ დაკარგა იაპონიის ფლოტის კვალი, ისინი იყვნენ ჰიტოკაპპუს ყურეში, ეტოროფუზე და მკაცრ რადიო დუმილს ინარჩუნებდნენ. ეტოროფუდან თავდასხმის დაწყებით იაპონიის ფლოტმა თავიდან აიცილა სავაჭრო გემების სამოძრაო რეგულარული არხებით გადაადგილება და შეუმჩნევლად შეძლო ჰავაის კუნძულებთან მიახლოება. საბოლოოდ, წყნარი ოკეანის რეგიონში მიმდინარე ომი დასრულდა საბჭოთა კავშირის მიერ უკანასკნელი საბრძოლო მოქმედებების დროს ეტოროფუს, კუნაშირის, შიკოტანისა და ჰაბომის კუნძულების ჩამორთმევით.

სწორედ ეს ოთხი კუნძული გახდა რუსეთსა და იაპონიას შორის ნახევარსაუკუნოვანი მოლაპარაკებების მიზეზი, რომლის საბოლოო მიზანიც სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა იყო. ემოციები აალებული იყო ორივე ქვეყანაში, ვინაიდან იაპონიისთვის ეს დავა ნიშნავდა საერთაშორისო პრესტიჟს, რუსებისთვის კი ფინანსურ მხარდაჭერას და ინვესტიციებს იაპონიიდან. აღნიშნული საკითხები განხილული იქნება შემდეგ თავებში. და მაინც რისთვის შესწირა ამდენი პოტენციური ამ ორმა ქვეყანამ? ამ თავში განიხილულია სადავო კუნძულების სტრატეგიული და ეკონომიკური ღირებულება, სადაც ნათლად ჩანს, რომ კუნძულების პირველადი ღირებულება, როგორც რუსეთისთვის, ასევე იაპონიისთვისაც ვერ აიხსნება მატერიალური თვალსაზრისით.

⁷⁷ Haslam, “The Pattern of Soviet-Japanese Relations Since World War II”, 17.

სტრატეგიული ღირებულება

კურილის კუნძულები იყო ადგილი სადაც მე-18 საუკუნეში რუსებმა და იაპონელებმა გაიცინეს ერთმანეთი, ვინაიდან რუსი მოვაჭრეები და თავგადასავლების მამიებლები კუნძულების ჯაჭვის გასწვრივ, სამხრეთით მოძრაობდნენ სავაჭროდ და სიმდიდრის საძიებლად. იაპონელები ყოველთვის განიხილავდნენ თავიანთი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილს, როგორც დიდ საზღვარს, მსგავსად 1800-იანი და გვიანი 1900-იანი წლების ამერიკული დასავლეთის საზღვარისა. რუსებამდე იყვნენ აინუ-ს (იაპ.: აინუ. ასევე: აინო და ისტორიულ დოკუმენტებში კი ეცო - ჰოკაიდოს, სახალინისა და კურილის კუნძულების ავტოქთონური მოსახლეობა.) ხალხი, რომლებიც თავდაპირველად სახლობდნენ მთელ ჰოკაიდოსა და ჰონშუ-ს (იაპ.: ჰონშუ; ლიტ.: „ძირითადი კუნძული“ ან „ძირითადი პროვინცია“.) ჩრდილოეთ ნაწილში. მხოლოდ მე-11 საუკუნეში მოახდინეს ჰონშუზე იაპონელებმა თავიანთი ძალაუფლების სრული კონსოლიდაცია და დაიწყეს ჰოკაიდოს სამხრეთ წვერზე დასახლება. იაპონიის ისტორიაში თითქმის ყველაფერი ჩაიწერა ამ საკითხის შესახებ და შეიქმნა კონცეფცია „ჩრდილოური საფრთხისა“ და ჩრდილოეთ საზღვრისა, რომელიც აუცილებელია თავდაცვისათვის, ამიტომაც თანამედროვე იაპონურმა ცივილიზაციამ გადაიწია ჩრდილოეთის მიმართულებით კიუშუდან (იაპ.: კიუშუ; ლიტ.: „ცხრა პროვინცია“ - სიდიდით მესამეა ოთხ ძირითად კუნძულს შორის.) სამხრეთ ჰონშუსკენ.⁷⁸ რადგან აინუს ხალხი უფრო მეტად მორჩილი გახდა და კუნძული ჰოკაიდოც ეთნიკური იაპონელებით დასახლებული იყო, ამიტომ „ჩრდილოური საფრთხე“ ახლა უკვე რუსი მოვაჭრეები გახდნენ. კუნაშირისა და ეტოროფუს კოლონიზაცია მხოლოდ მე-18 საუკუნეში დაიწყო ჩრდილოეთ კუნძულებზე რუსების ყოფნის საპასუხოდ, როდესაც იაპონელებმა იგრძნეს, რომ აუცილებელი იყო რუსეთთან საზღვარის განისაზღვრა. აქედან გამომდინარე, რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების დასაწყისისთვის კუნძულები იაპონელთათვის

⁷⁸ John A. Harrison, *Japan's Northern Frontier: A Preliminary Study in Colonization and Expansion with Special Reference to the Relations of Japan and Russia* (Gainesville, FL: University of Florida Press, 1953), 3-5.

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო, როგორც ერთგვარი ბუფერი ჰოკაიდოს და რაც მთავარია ჰონშუს, რუსეთის იმპერიისგან დასაცავად.⁷⁹

მას შემდეგ, რაც 1855 და 1875 წლებში გაფორმდა შიმოდას და პეტერბურგის ხელშეკრულებები, რომლების შესაბამისადაც იაპონელებმა განსაზღვრეს საზღვარი რუსეთის იმპერიასთან, ჩრდილოური საფრთხის შეგრძნება უნდა გამქრალიყო. (იხ. დანართი1.)

კურილის კუნძულები 1941 წელს ისევ აღმოჩნდა იაპონელებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, როდესაც პერლ-ჰარბორზე თავდასხმა დაიწყო ჰიტოკაკუს ყურედან, ეტოროფოდან. მას მერე, რაც საბჭოელებმა 1945 წელს ჩაიგდეს ხელში კუნძულების ჯაჭვი მთლიანად, იაპონელების ფსიქოლოგიაში კვლავ განახლდა „ჩრდილოური საფრთხის“ შეგრძნება. ეტოროფუს, კუნაშირის, შიკოტანისა და ჰაბომისზე კონტროლის აღებისას საბჭოელები განთავსდნენ იაპონიის ჩრდილოეთ სანაპიროზე. იაპონელებისთვის კუნძულების სტრატეგიული ღირებულება შეტევიითიდან გახდა თავდაცვითი. კუნძულები მნიშვნელოვანი რჩებოდა იაპონიის თავდაცვის სააგენტოს გეგმებში და მისი ყოველწლიური იამსაკურას სამხედრო წვრთნის სცენარი იყო საბჭოთა ძალების შეჭრა ჰოკაიდოზე და კუნძულებზე განლაგება.⁸⁰ როგორ გამოიყენებდნენ იაპონელები კუნძულებს საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის ეს გაურკვეველი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ იაპონიის მხრიდან ჩრდილოეთ ტერიტორიების მოთხოვნა თავიდანვე შეიცავდა ბუნდოვან გაგებას, რადგან აცხადებდნენ, რომ კუნძულები დემილიტარიზებული იქნებოდა.⁸¹ 1998 წლის საერთო გამოკვლევაში იაპონელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა მასათო კიმურამ და დევიდ უელშმა იაპონიის თავდაცვის სააგენტოს მიერ გაკეთებული კუნძულების ღირებულების შეფასების საფუძველზე დაასკვნეს, რომ: [იაპონელების] არგუმენტები ნაწარმოებია საბჭოთა არგუმენტებიდან. იაპონიის ოფიციალური პირები განიხილავდნენ კუნძულებს, როგორც

⁷⁹ Harrison, Japan's Northern Frontier, 17.

⁸⁰ Б шв-level officials in the Political Section and Defense Attaché Office at the American Embassy, штеукмшуц ин фг ершкн Тфпфесршн Ешлшншн Офзфтр /: Огту /??/ю

⁸¹ Tsuyoshi Hasegawa, Between War and Peace, 1697-1985, vol. 1 of The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations (Berkeley: University of California Press, 1998), 121.

სტრატეგიულად მნიშვნელოვანს მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოელები თვლიდნენ მათ ასეთად.⁸² მიუხედავად იმისა, რომ იაპონელები აკონტროლებდნენ დემილიტარიზებულ კუნაშირისა და ეტოროფუს, მაინც შესაძლებელი იყო აშშ დასხმოდა თავს წყალქვეშა გემებით და უფრო ადვილად შესულიყო ოხოტის ზღვაში, თუმცა რეალური სტრატეგიული უპირატესობა ძალიან მცირე იქნებოდა განსაკუთრებით მაშინ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო არსებული სრუტეები დეკემბრიდან აპრილის თვემდე მცურავი ყინულითა არის ხოლმე სავსე.⁸³ აშშ-ის წყალქვეშა გემებისთვის ოხოტსკის ზღვაში შესასვლელის ძიებაში სერიოზულ გამოწვევად შეიძლება ქცეულიყო მხოლოდ წყალქვეშა ბადეები, დაბრკოლებები და ნაღმები. გარდა ამისა, ის რაც ამერიკულ თავდამსხმელ წყალქვეშა გემებს აკავებს ოხოტის ზღვაში შესვლისგან, ასევე აკავებს რუსულ სტრატეგიულ სარაკეტო წყალქვეშა გემებსაც. რუსული წყნარი ოკეანის ფლოტის ორი მთავარი ბაზა მდებარეობს ოხოტსკის ზღვის გარეთ: ვლადივოსტოკი - იაპონურ ზღვაში და პეტროპავლოვსკი - წყნარ ოკეანეში, ნახევარკუნძულ კამჩატკასთან.⁸⁴ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და შესაბამისად რუსეთის სამხედრო ძალები შემცირდა, ოთხი კუნძულის სტრატეგიული მნიშვნელობა იაპონელებისთვის უმნიშვნელო გახდა. იაპონიის თავდაცვის სააგენტო აღარ მიიჩნევს რუსეთს საფრთხედ და აღარ ატარებს რუსული სამხედრო ძალების წინააღმდეგ მიმართულ წვრთნებს.⁸⁵

რუსეთისთვის კუნძულები, პირველ რიგში, განიხილებოდა, როგორც „საფეხურები“ იაპონიისკენ და წარმოადგენდა მკვიდრი აინუს ხალხის მეშვეობით ირიბი ვაჭრობის საშუალებას იაპონელებთან.⁸⁶ კურილების სამხრეთ ნაწილში აშენებული ციხე-სიმაგრეები თავდაპირველად იყო განკუთვნილი აინუს ხალხის

⁸² Masato Kimura and David A. Welch, "Specifying 'Interests': Japan's Claim to the Northern Territories and Its Implications for International Relations Theory," *International Studies Quarterly* 42, no.2 (1998): 222. [emphasis in original].

⁸³ John J. Stephen, *The Kuril Islands: Russo-Japanese Frontier in the Pacific* (Oxford, England: Clarendon Press, 1974), 17.

⁸⁴ Kimura and Welch, "Specifying Interests," 221.

⁸⁵ Researchers from the Russian Studies department at the National Institute of Defense Studies (NIDS), interview by author, Ebisu, Tokyo, Japan, 2 July 2002.; American Embassy Tokyo, Interview.

⁸⁶ Stephen, *The Kuril Islands*, 65.

დასამორცილებლად და არ იყო მიმართული იაპონელების მიერ აღქმულ სხვა რაიმე რეალურ ან მოჩვენებით საფრთხეზე. 1771 წელს აინუს ხალხი წინ აღუდგა რუსეთის კურილებზე შეჭრის ადრეულ მცდელობას როდესაც ურრუპუს სანადირო ექსპედიციის 39 წევრიდან 21 მათგანი სიცოცხლეს გამოასალმეს. სწორედ აინუს ხალხისგან და არა იაპონელებისგან თავდასაცავად, შემდგომ ექსპედიციებში რუსებმა გამოიყენეს სამხედრო ხომალდები.⁸⁷ რუსეთისთვის მე-19 საუკუნემდე კუნძულების ჯაჭვის შესაძლო სტრატეგიული მნიშვნელობა არ იყო აღიარებული, თუმცა ყირიმის ომის დროს, რომელიც წარმოადგენდა ომს საფრანგეთთან და ბრიტანეთთან, კუნძულები პოტენციურად მნიშვნელოვანი გახდა რუსეთის შორეული აღმოსავლეთის დასაცავად, თუმცა საბოლოოდ მაინც სახალისი ითვლებოდა უფრო მნიშვნელოვნად.⁸⁸

„ამერიკის, რუსეთის და იაპონიის ტერიტორიების“ გადაკვეთაზე კუნძულების მდებარეობამ განაპირობა ის, რომ რუსეთი გვიან მიხვდა კუნძულების ღირებულებას და მიანიჭა მათ ახალი მნიშვნელობა.⁸⁹ 1875 და 1945 წლებს შორის მთელი კურილის კუნძულების ჯაჭვი იაპონელების საკუთრებაში იმყოფებოდა. 1910 წლის კორეის ანექსიის შემდეგ იაპონელები აკონტროლებდნენ რუსეთის/საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის ყველა მისადგომს, ასევე ოხოტსკისა და იაპონიის ზღვებს. რუსული რევოლუციის შემდეგ, იაპონელები რეგულარულად დევნიდნენ საბჭოთა გემებს, რომლებიც ცდილობდნენ კუნძულების გავლით ციმბირში მოხვედრას, ხოლო იაპონელი მეეთევეები კი სისტემატურად არღვევდნენ საბჭოთა ტერიტორიული წყლების საზღვრებს.⁹⁰ მოგვიანებით, საბჭოელებმა გააცნობიერეს ის, რასაც მიხვდა რუსი ადმირალი სტეპან მაკაროვი პორტ-არტურისთვის ბრძოლაში სიკვდილის წინ: კურილის კუნძულების ჯაჭვი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო ციმბირის

⁸⁷ George Lensen, *The Russian Push Toward Japan: Russo-Japanese Relations, 1697-1875* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1959), 70-71.

⁸⁸ Stephen, *The Kuril Islands*, 65, 88-90. Uruppu was the sight of a bizarre joint military operation by the British and French in 1855. The allies briefly occupied the island (which was uninhabited by a Russian garrison at the time) and declared it a joint possession of the British and French empires. It was renamed “l’Isle de l’Alliance” and the Kuril Islands were renamed the “Fog Archipelago.” After British and French flags were raised over the islands, the erstwhile conquerors abandoned their new possession to rejoin their respective fleets.

⁸⁹ Stephen, *The Kuril Islands*, 127-128.

⁹⁰ Stephen, *The Kuril Islands*, 130.

დასაცავად.⁹¹ 1945 წელს, მაშინ, როდესაც ჯერ არ იყო საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები (წბზრ -წყალქვეშა ბირთვული ბალისტიკური რაკეტა) და ბირთვული ბომბდამშენები, შორი რადიუსის წყალქვეშა ბირთვული ბალისტიკური რაკეტები (SSBN), ატომური წყალქვეშა გემები (აწგ) და მიწა-ჰაერი კლასის მართვადი რაკეტები, კურილებს ჰქონდა სტრატეგიული ღირებულება საბჭოთა რუსეთისთვის. ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ჩამოყალიბდა ახალი წესრიგი, საბჭოელები აღმოჩნდნენ დაპირისპირებულნი თავიანთ ყოფილ მოკავშირეებთან, რის გამოც ყველა კუნძულს, განსაკუთრებით კი იაპონიასთან მდებარე უახლოეს ოთხ კუნძულს, ახალი მნიშვნელობა მიენიჭა. ჰიროში კიმურა ციტირებას ახდენს 1964 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის იაპონელ სოციალისტებთან საუბრისას: „უნდა გახსოვდეთ, რომ კუნძულებს მცირე ეკონომიკური ღირებულება გააჩნიათ, თუმცა აქვთ დიდი სტრატეგიული და თავდაცვითი მნიშვნელობა. ჩვენ გვაშფოთებს საკუთარი უსაფრთხოება.“⁹² კიმურა ასევე ამახვილებს ყურადღებას 1964 წლის ეპიზოდზე, როდესაც საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს იკედა ჰაიატოს განუცხადა, რომ კუნძულებს ვერ დაუბრუნებდა, რადგან ისინი „კამჩატკის კარიბჭეს“ წარმოადგენდა.⁹³ ხრუშჩოვი თავის მემუარებში მოიხსენიებდა კურილის კუნძულებს და ჩრდილოეთ ტერიტორიებს, თუმცა, როგორც ჩანს, აზრი მათ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე უკვე შეცვლილი ჰქონდა. „თანამედროვე სამხედრო ტექნიკის არსებობის პირობებში, კურილის კუნძულების მნიშვნელობა თავდაცვის კუთხით, ძალიან მცირე მნიშვნელობის მატარებელია.“⁹⁴ შესაძლოა ამის მიზეზია ის, რომ ხრუშჩოვი წინდაუხედავად საუბრობდა ან უბრალოდ ცდებოდა 1956 წელს, როდესაც საუბრობდა იაპონელებსა და რუსებს შორის მოლაპარაკებების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, 1969 წლის მოგონებებში ის ამჟღავნებს თავის შემფოთებას კუნძულებთან დაკავშირებით: „იაპონიისთვის კუნძულების დათმობა,

⁹¹ Блезырт *The Kuril Islands* ' : : 10

⁹² Hiroshi Kimura, *Japanese-Russian Relations Under Brezhnev and Andropov*, vol. 1 of *Distant Neighbors* (Armonk, NY: M.E. Sharpe, 2000), 70.

⁹³ Kimura, *Japanese-Russian Relations Under Brezhnev and Andropov*, 70.

⁹⁴ Nikita Khrushchev, *Khrushchev Remembers: The Glasnost Tapes*, trans. and ed. Jerrold L. Schecter (Boston: Little, Brown and Company, 1990), 89.

მაშინ, როდესაც ქვეყანა იყო ფაქტობრივად ოკუპირებული ამერიკის მიერ, იქნებოდა მტკნარი სისულელე. ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ იმავე წამს, როგორც კი იაპონიას გადავცემდით ორ კუნძულს, მაშინვე ამერიკის შეერთებული შტატები გადააქცევდა მათ სამხედრო ბაზებად.⁹⁵

ფაქტობრივად, საბჭოთა კავსირისთვის კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა გაიზარდა 1970 წლიდან, როდესაც დაიწყო „ცივი ომის“ დათბობის პერიოდი და როდესაც კამჩატკის ნახევარკუნძულზე, პეტროპავლოვსკის სამხედრო საზღვაო ბაზაში განალაგეს დელტა II ტიპის წყალქვეშა ბირთვული ბალისტიკური რაკეტები (წბზრ). საბჭოელებმა აირჩიეს „ბასტიონის“ სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ოხოტსკის ზღვა უნდა ყოფილიყო წბზრ-ის ძირითადი ოპერატიული მოქმედების არეალი და საბჭოთა საზღვაო სამხედრო მისიას უნდა დაეცვა ზღვა აშშ-ის შეჭრისაგან.⁹⁶ ოხოტსკის ზღვა უნდა ყოფილიყო, როგორც საბჭოთა ტბა, სადაც აშშ-ის ძალები ვერ შეაღწევდნენ. 1980 წლისთვის საბჭოთა სამხედრო ძალების რაოდენობა ჩრდილოეთ ტერიტორიებზე გაიზარდა და საბოლოოდ მოიცავდა მოიერიშე მიგ-31 ტიპის თვითმფრინავების პოლკს, ჯავშანსანტანკო დივიზიას ეტოროფუზე და ქვეით ბატალიონს კუნაშირიზე, ასევე ადრეული აღმოჩენის რადარებსა და წყალქვეშა აკუსტიკური მონიტორინგის სადგურს ეტოროფუზე.⁹⁷ 1991 წლამდე კუნძულები ინარჩუნებდა მნიშვნელოვან როლს „ოხოტსკის ტბის“ საბჭოთა „ბასტიონისას.“

1991 წელს კუნძულების სტრატეგიული ღირებულება საბჭოთა კავშირთან ერთად გაქრა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები განაგრძობდნენ იმის მტკიცებას, რომ კუნძულები სტრატეგიულად კვლავ მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, მათ ჰქონდათ არასაკმარისი დაფინანსება, ბრძოლისუნარიანობა დაქვეითებული და აქტივების

⁹⁵ Khrushchev, *Khrushchev Remembers*, 89. Khrushchev is referring to Shikotan and the Habomais.

The context of the quote is a discussion on the 1956 normalization negotiations between Japan and the Soviet Union. In the passage, he admits the strategic defensive value of the islands was not great with the advent of new weaponry, however, the quote is instructive to note that whatever the inconsistencies with what Khrushchev may have said earlier, he still viewed Soviet-Japanese relations as a function of U.S.-Soviet relations. Khrushchev's memoirs must be taken with a grain of salt, however, as they contain frequent historical inaccuracies, though this may be because they were dictated in secret on the basis of memory after the fact without the benefit of reference material.

⁹⁶ Tsuyoshi Hasegawa, *Neither War nor Peace, 1985-1998*, vol. 2 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 530.

⁹⁷ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 530.

გაუარესება მალევე სტრატეგიულ არგუმენტს საკამათოდ ხდიდა იმთავთვე.⁹⁸ მიმდინარე ტენდენციების გაგრძელების შემთხვევაში, ძალიან მალე, რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტს აღარ დარჩება დასაცავი არანაირი სტრატეგიული ობიექტი. პროექტის მიხედვით, რუსული წზბრ-ის საექსპლოატაციო ვარგისიანობის ვადა 25-30 წელს შეადგენს, თუმცა ცუდმა მომსახურებამ და საწვავის შევსებისათვის საჭირო სახსრების ნაკლებობამ განაპირობა აღნიშნული ვადის 10-15 წლამდე შემცირება.⁹⁹ 1990 წელს საბჭოთა კავშირს ჰქონდა 24 მოქმედი წზბრ წყნარი ოკეანის ფლოტის შეიარაღებაში, მაგრამ 10 წლის შემდეგ მათი რიცხვი 11-მდე შემცირდა და აქედანაც ყველა არ იყო ვარგისი გამოსაყენებლად.¹⁰⁰ რუსეთის საზღვაო-სამხედრო ძალების „ბასტიონის“ სტრატეგია „ცივი ომის“ გადმონაშთია და მიმდინარე საერთაშორისო სიტუაციაში, როდესაც ამერიკა და რუსეთი ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ამ ფონზე ეს აღარ მოქმედებს. რუსეთი აღარ ითვლება სერიოზულ საფრთხედ აშშ-ის საზღვაო-სამხედრო ძალებისთვის და აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის წვრთნები აღარაა გათვლილი საბჭოთა ან რუსეთის ფლოტთან დაპირისპირებაზე. „ცივი ომის“ კულმინაციის დროს კუნძულები სტრატეგიულად შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო აშშ-თვის, რაც დღესდღეობით ასე აღარაა. კუნძულების სტრატეგიულ ღირებულებასთან დაკავშირებით რუსეთის ნებისმიერი არგუმენტი უსაფუძვლოა და შესაძლოა მიუთითებს მისთვის სასურველ შეხედულებაზე, რომ თითქოს აშშ და იაპონია კვლავ თვლიან რუსეთის ფლოტს სტრატეგიულ საფრთხედ.

რაც შეეხება ეკონომიკურ ღირებულებას, არც რუსეთს და არც იაპონიას არ გამოუცხადებიათ, რომ ტერიტორიული დავის მთავარი მიზეზი კუნძულების ეკონომიკური ღირებულება იყო, რისი იგნორირებაც დაუშვებელია. კუნძულების გარშემო არსებული წყლები ჩრდილოეთ ჰოკაიდოსა და რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ცენტრალური ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა,

⁹⁸ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 533-534

⁹⁹ Mikhail Pogorely, “Russian Nuclear Triad After 9/11: Prospects of the Strategic Nuclear Forces Development in the Context of the New U.S.-Russian Relations” (paper presented at the Naval Postgraduate School Conference on Russian Security Policy and the War on Terrorism, Monterey, CA, June 2002), 5.

¹⁰⁰ “Russia: START I Treaty SLBM and SSBN Tables,” Monterey Institute of International Studies Center for Nonproliferation Studies, Monterey, CA 11 May 2000 [cited 28 August 2002], available at www.nti.org/db/nisprofs/russia/Russia Nuclear Weapons SSBN Force START Tables.htm; INTERNET.

რომ ეს დავაში არ წარმოადგენს მთავარ სადაო საკითხს, თუმცა მაინც ყველაზე ხშირად წამოიჭრება ხოლმე რეგიონში აღნიშნული პრობლემა.

სადავო კუნძულებსა და მათ მიმდებარე წყლებში თევზაობა და ასევე ზღვის ფლორის სხვადასხვა სახეობის, კერძოდ კი, კიბორჩხალის დაჭერა წარმოადგენს ძირითად ინდუსტრიას. მეთევზეებს შორის მოლაპარაკებები წარმოადგენდა პირველ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ზოგადად, ორ მთავრობას შორის კომუნიკაციის ღია ხაზის ფუნქციას ასრულებდა. ამჟამად, როგორც რუსი მეთევზეები, ასევე იაპონელებიც „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ მიმდებარე წყლებში თევზაობენ ლეგალურად ან არალეგალურად. კუნძულების მიმდებარე წყლები არის ზონა, სადაც იაპონიის ზღვის თბილი დინება უერთდება ოხოტსკის ზღვიდან წამოსულ ცივ დინებას. შესაბამისად, როგორც იაპონური ბუკლეტი ჰოკაიდოდან იუწყება: „ეს არის საზღვაო საგანძური (ფლორის საუნჯე), რომელთა შორისაცაა ორაგული, ვირთევზა, ქაშაყი, სამეფო კიბორჩხალა და ნიჟარები (მოლუსკები).¹⁰¹ რეგიონი ცნობილია ასევე თავისი განსაკუთრებული ტიპის წყალმცენარის (ჩიშიმა ნორი) გამოც, რომელიც დელიკატურად ითვლება და 1945 წლამდე იაპონურ სამზარეულოში გამოყენებულ ლამინარიის 80%-ს უზრუნველყოფდა კუნაშირი, შიკოტანი და ჰაბომაი.¹⁰² მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რეგიონში მოპოვებული თევზის რაოდენობა, იაპონიის მიერ მოპოვებულის დაახლოებით 10%-ს შეადგენდა, ხოლო საბჭოთა პერიოდში კი საბჭოელების მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოპოვებული თევზის 8%-ს, რაც ასევე დიდ მოგებას წარმოადგენდა.¹⁰³

1970-იანი წლების შუა ხანებში, თევზჭერასთან დაკავშირებით ახალი საკითხი წამოიჭრა, რასაც მოჰყვა მსოფლიო დონის მოლაპარაკებები წყალქვეშა მინერალურ რესურსებთან დაკავშირებით. რამდენიმე სახელმწიფოს (მათ შორის, აშშ-ის მიერ 1976 წელს) მიერ ცალმხრივად იქნა დადგენილი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

¹⁰¹ “Our half century long appeal for Justice,” pamphlet in Japanese, Russian and English, (City of Nemuro, n.d.); Stephen, *The Kuril Islands*, 122.

¹⁰² Stephen, *The Kuril Islands*, 123. Seaweed and kelp are a staples in the Japanese diet. Seaweed in various forms is used as a wrapping for rice, sushi rolls, or as an addition to soups. Kelp is most often used as a soup base or seasoning and is soaked to make a type of bullion, though the kelp itself is not eaten.

¹⁰³ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 528.

(გეზ) 200 საზღვაო მილის ფართობზე, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის 55-ე და 58-ე მუხლებშიც.¹⁰⁴ ამან კუნძულები გახადა ინდივიდუალურად ღირებული. განსაკუთრებით ეს ეხება შიკოტანსა და ჰაბომას, რომელთა დაბრუნებაც დიდ გავლენას მოახდენდა იაპონიის გეზ-ზე, რადგან ისინი ჰოკაიდოსა და კუნაშირის აღმოსავლეთით მდებარეობს. 1985 წლიდან იაპონია და საბჭოთა კავშირი/რუსეთი შეთანხმდნენ თევზჭერის კვოტებზე, თუ იაპონიის მიერ მოპოვებული თევზის რაოდენობა მის კვოტას აღემატებოდა, მაშინ ის დამატებით თანხას გადაიხდიდა.¹⁰⁵

ყველაზე დიდი პრობლემა, რომლის წინაშეც ახლა დგას რუსეთი და იაპონია, არის ბრაკონიერობა. რუსული წყაროების ვარაუდით, 2001 წელს, რუსეთის საკუთრებაში მყოფი გემები პასუხისმგებელნი იყვნენ 1-დან 3 მილიარდ დოლარამდე ღირებულების თევზისა და სხვა საზღვაო რესურსის კონტრაბანდული გზით იაპონიაში შეტანაზე.¹⁰⁶ იაპონელი ბრაკონიერებიც აქტიურობდნენ რუსეთის ტერიტორიულ წყლებში. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახური (ფსს) ვარაუდობს, რომ 1993 წლის მონაცემებით, იაპონელი ბრაკონიერების მიერ რუსეთის ტერიტორიულ წყლებში შესვლის 1912 შემთხვევა დაფიქსირდა.¹⁰⁷ ბრაკონიერების დიდი ნაწილი დაუსჯელი დარჩა, რადგან ისინი მოძრაობდნენ სწრაფი, თანამედროვე გემებით და რუსეთის ფსს-ი ვერ ახერხებდა მათ დაჭერას.¹⁰⁸ მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ტერიტორიული წყლების დარღვევების რიცხვი შემცირდა (ერთ-ერთი სტატია ამტკიცებდა, რომ ამის მიზეზი იყო ფსს-ის მიერ ბრაკონიერობაში ექვმიტანილთათვის სროლა), ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს იაპონელი ბრაკონიერების შედარებითი სიმცირე. ჰოკაიდო შიმბუნის დახმარებით „იზვესტიაში“

¹⁰⁴ Louis Henkin, Richard Crawford Pugh, Oscar Schachter and Hans Smit, *International Law: Cases and Materials*, 3rd ed. (St. Paul, MN: West Publishing Co., 1993), 1288-1293.

¹⁰⁵ Hiroshi Kimura, *Japanese-Russian Relations Under Gorbachev and Yeltsin*, vol. 2 of *Distant Neighbors* (Armonk, NY: M.E. Sharpe, 2000), 241. Payments to Russia are officially in the form of contributions “to protect marine resources.” Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 509.

¹⁰⁶ Vasily Golovnin, “Sea Sickness,” trans. FBIS, *Izvestia*, 25 July 2002, FBIS Doc ID CEP20020725000155.; Maria Beloklokovala, “Japanese Have Built Whole Cities on Fish,” trans. FBIS, *Izvestia*, 16 July 2002, FBIS Doc ID CEP20020716000246. These figures are inclusive for the entire Kuril chain, and not just the “Northern Territories.”

¹⁰⁷ Vladimir Mokhov, “Whom the Japanese Shores Beckon,” trans. FBIS, *Krasnaya Zvezda*, 20 March 2002, FBIS Doc ID CEP20020319000333.

¹⁰⁸ William F. Nimmo. *Japan and Russia: A Reevaluation in the Post-Soviet Era* (Westport, CT: Greenwood Press, 1994), 130.

დაწერილ სტატიაში, რუსეთის დუმის წევრი ბორის რეზნიკი დაწვრილებით ყვება თევზჭერის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ევგენი ნაზრატენკოს შესახებ, რომელიც მანამდე პრიმორსკი კრაის გუბერნატორი იყო, ასევე ასახელებს ფსს-ის მეთაურებს, რომლებიც რუს და იაპონელ ბრაკონიერებთან იყვნენ გარიგებულნი. რეზნიკი წერს, რომ „თევზჭერის მაფია“ განვითარდა იქ, სადაც მესაზღვრეები ახორციელებდნენ ზეწოლას, იაპონური გემების რუსი დამკვირვებლები მოსყიდულნი იყვნენ და ნებას რთავდნენ დაშვებული კვოტისთვის გადაეჭარბებინათ, რისი კონკრეტული მაგალითიცაა შემთხვევა, როდესაც „ჩამორთმეული“ 11 ტონა კიბორჩხალა (ღირებულება 10-12 დოლარი კილოგრამზე) გადაცემული იქნა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილისათვის, რათა „გაუმჯობესებულიყო მათი 2001 წლის კოლექტიური რაციონი.“¹⁰⁹ მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის იაპონიის სანაპირო დაცვასა და რუსეთის ფსს-ის შორის შეთანხმების შემდეგ კომუნიკაციის გაუმჯობესება მოხდა, რუსი და იაპონელი ბრაკონიერების სამართლებრივი დევნის შემთხვევების რიცხვი გაიზარდა, რაც შეიძლება ასახავდეს რუსეთის მხრიდან შერჩევით სამართალს, თუ რეზნიკის ინფორმაციას სარწმუნოდ მივიჩნევთ.¹¹⁰ საბოლოოდ, იაპონიაც და რუსეთიც მსხვერპლი გახდება იმიტომ, რომ თუ აღნიშნული გადამეტებული ტემპით თევზჭერა გაგრძელდა, შესაძლოა მთელი კურილების ჯაჭვის მიმდებარე წყლები დაიცლება ზღვის რესურსებისგან, რასაც მოჰყვება დამანგრეველი ეფექტი ჰოკაიდოს სანაპიროსა და რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკაზე.

¹⁰⁹ Boris Reznik, “Mafia and the Sea,” trans. FBIS, *Izvestia*, 17 July 2002, FBIS Doc ID CEP20020724000354.

¹¹⁰ Mokhov, “Whom the Japanese Shores Beckon.”; Reznik, “Mafia and the Sea.”

სხვა ღირებულება

რაც შეეხება თავად კუნძულებს, მათი ეკონომიკური ღირებულება მცირეა, კუნძულებზე არ არის ბუნებრივი გაზის ან ნავთობის საბადოები, მიუხედავად იმისა, რომ კუნაშირიზე და ეტოროფუზე მინერალების მარაგები და ასევე ტყის რესურსებიცაა, რომელთა მოპოვების ღირებულებაც აღემატება სავარაუდო მოგებას. მთლიანობაში, ამ რესურსებმა „შეიძლება მხოლოდ ოდნავ შეავსონ ჰოკაიდოს... რესურსები.“¹¹¹ კუნძულებზე არის მცირე ინფრასტრუქტურა და თითქმის არ არსებობს ინდუსტრია. ყველა კუნძულის მკვიდრი პირდაპირ თუ ირიბად დამოკიდებულია თევზსაჭერ მრეწველობაზე და ეტოროფუში აშენებული ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა ერთადერთი მოქმედი სამრეწველო საწარმოა.¹¹² რაც შეეხება საბჭოელების მიერ აშენებულ დანარჩენ სამრეწველო ობიექტებს, ისინი ცუდ მდგომარეობაშია ან 1994 წელს კუნაშირიზე და შიკოტანზე მომხდარი მიწისძვრის შედეგად განადგურდნენ.¹¹³

მიუხედავად იმისა, რომ კუნძულები არ არის ეკონომიკურად ღირებული, მაინც არსებობს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა თევზსაჭერი მრეწველობის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიული დავა ოდესმე მოგვარდება. „ჩრდილოეთ ტერიტორიები“ განლაგებულია „წყნარი ოკეანის ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ მონაკვეთზე - ცეცხლის რგოლში“ და შეიცავენ უჩვეულოდ მრავალფეროვანი სახეობის მცენარეებს, ცხელ წყაროებსა და ბუნებრივ მიმზიდველობას. საბჭოთა პერიოდში კუნაშირი და ეტოროფუ პოპულარული იყო შორეულ აღმოსავლეთში ჩასული ტურისტებისთვის ხანგრძლივი ზაფხულისა და მრავალი ცხელი წყლის გამო.¹¹⁴ ვინაიდან, ამჟამად, მთელ მსოფლიოში ეკოტურიზმის პოპულარობა იზრდება, შესაძლოა კუნძულები აღდგენილი ტურისტული ინდუსტრიის საფუძველზე გახდნენ ეკონომიკურად დამოუკიდებელნი. ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და შედარებით

¹¹¹ Kimura and Welch, “Specifying Interests,” 218.

¹¹² Hiroshi Kimura, “Islands Apart,” *Look Japan*, February 2001 [cited 22 April 2002], available at www.lookjapan.com/Lbcoverstory/01FebCS.htm; INTERNET.

¹¹³ Kimura, *Japanese-Russian Relations Under Gorbachev and Yeltsin*, 268-270.

¹¹⁴ Stephen, *The Kuril Islands*, 12-17.

ხელშეუხებელი ბუნება, შეიძლება მიმზიდველი აღმოჩნდეს ეგზოტიკური ტურიზმის მაძიებელთათვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იაპონელებს უყვართ უნიკალური ცხელი წყაროები (ონსენი) და თუ გავითვალისწინებთ, რამდენად შორსაა სასტუმროები და ასეთი ცხელი წყაროები იაპონიის გარშემო, ამ შემთხვევაში, ცხელი წყაროების ინდუსტრიის აღორძინებამ კუნძულებზე, შეიძლება მოიზიდოს იაპონელი ტურისტებიც. თუმცა, აღნიშნული პერსპექტივები დაკავშირებულია შორეულ მომავალთან, ტერიტორიული დავის გადაწყვეტასთან, თავისუფალი მიმოსვლის არქონასთან, მაშინ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ რუსეთ-იაპონიას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის შემთხვევაში.

არავინ დაობს იმაზე, რომ კუნძულებს გააჩნიათ ეკონომიკური ღირებულება, რომ ტერიტორიული ზღვები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა (გეზ) საერთო ჯამში მოიცავს 196 000 კმ² ფართობს და ასევე მოიცავს მსოფლიოში რამდენიმე უმდიდრეს ადგილს თევზჭერის თვალსაზრისით.¹¹⁵ რუსეთიც და იაპონიაც ინტენსიურად მიმართავენ თევზსაჭერ მრეწველობას და თევზი იაპონელების ძირითადი პროდუქტი იყო. შესაბამისად, კუნძულების ფლობა ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, არსებული შეთანხმების საფუძველზე, რუსი და იაპონელი მეთევზეები აქტიურად მოძრაობენ კურილის ჯაჭვისა და მიმდებარე არასადავო კუნძულების წყლებში. ჩვენ არ გვაქვს მიზეზი დავიჯეროთ, რომ ეს სიტუაცია ოდესმე შეიცვლება, ან ჩრდილოეთ ტერიტორიებს დაუბრუნებენ იაპონიას, ანდაც იაპონელები უარს იტყვიან თავიანთ პრეტენზიებზე. სადაო კუნძულების ეკონომიკური ღირებულება მცირე იქნება მანამდე, სანამ არ გახდებიან ეკონომიკურად დამოუკიდებელი (ახლა არ არიან) და არასოდეს აღარ გაამდიდრებენ არც რუსეთსა და არც იაპონიას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგეს თავიანთი სტრატეგიული ტერიტორიული მნიშვნელობა და მხოლოდ რამდენიმე რუსს თუდა სჯერა, რომ იაპონია ან ამერიკა ოდესმე ეცდება თავს დაესხას რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს. აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს რაღაც სხვა ახსნა იმისა, თუ რამ შეუშალა ხელი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას და რატომ გამოიწვია ამხელა აურზაური ოთხმა პატარა,

¹¹⁵ Kimura and Welch, "Specifying Interests," 219.

ავტორის სტილი დაცულია

მეჩხერად დასახლებულმა კუნძულმა. მომდევნო რამდენიმე თავში ნაჩვენები იქნება, თუ როგორ აგრძელებენ დავას ისეთ არამატერიალურ საკითხებზე, როგორცაა სიამაყე და სიმბოლიზმი.

II თავი. შიდა შეზღუდვები რუსეთსა და იაპონიაში

1) მედია და საზოგადოებრივი აზრი

საზოგადოებრივ აზრს კურილის კუნძულების შესახებ დავის მონაწილე ორივე მხარე უკვე მხარს უჭერდა საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით. რუსეთში სადავო ტერიტორიების იაპონიისათვის დაბრუნებაზე ნებისმიერი მინიმუმბა პრესაში დაგმობილი და გაიგივებულია ღალატთან.¹¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ რუსული პრესა ნომინალურად თავისუფალია, სიუჟეტები იშვიათად იწერება ობიექტურად. მთავრობის პირდაპირი კრიტიკა იშვიათია. იაპონიაში თითქმის ყველა ოფიციალური ან ნახევრად ოფიციალური განცხადება კრიტიკულადაა განხილული მედიის მიერ, როგორც ნიშანი კუნძულების დაბრუნების საკითხში მიღწეული პროგრესისა. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო იაპონური პრესა ჩვეულებრივ უფრო ობიექტურია, ვიდრე რუსული, ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავა მაინც ყველაზე მგრძობიარე ეროვნულ საკითხად რჩება.¹¹⁷

საზოგადოებრივი აზრი შედარებით ახალი ფაქტორია რუსულ პოლიტიკაში. 1988 წლამდე “რუსულმა საზოგადოებამ პრაქტიკულად არაფერი იცოდა იაპონური მოთხოვნების შესახებ ჩრდილოეთ ტერიტორიებთან დაკავშირებით.”¹¹⁸ ყველაზე საინტერესო ბოლო მონაცემებიდან იმაზე მიუთითებს, რომ ცოტა რამ გაკეთდა რუსეთის შიგნით მოსახლეობის განათლების კუთხით, რომელიც დაკავშირებული იყო იაპონელთა ბუნებრივ პრეტენზიებთან. ობიექტური განათლებისთვის ხელისშემშლელია ის ფაქტორი, რომ ინტენსიური ნაციონალიზმი მართავს საკითხის

¹¹⁶ Vasily Bubnov, “George Bush ‘Gives’ the Kuril Islands to Japan,” trans. Dmitry Sudakov, Pravda, 28 February 2002, [cited 7 March, 2002], available at english.pravda.ru/main/2002/02/28/26709.html; INTERNET.; Maria Tsetsikova, “Japan’s New FM Lands Igor Ivanov in Duma Dock,” Gazeta, 7 February 2002 [cited 24 April 2002], available at www.europeaninternet.com/russia/frames.php3?webnewsid=122404; INTERNET.

¹¹⁷ “Mori Claims Dispute Progress,” Mainichi Daily News, 14 May 2001 [cited 27 April 2002], available at www12.mainichi.co.jp/news/mdn/search-news/850232/northern20territories-0-19.html; INTERNET.; “Russian Foreign Minister Agrees to Negotiate Return of Islands,” Mainichi Daily News, 2 February 2002 [cited 27 April 2002], available at www12.mainichi.co.jp/news/mdn/searchnews/850232/northern20territories-0-19.html; INTERNET.; Tsuioshi Hasegawa, Neither War nor Peace, 1985-1998, vol. 2 of The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations (Berkeley: University of California Press, 1998), 331.

¹¹⁸ William F. Nimmo. Japan and Russia: A Reevaluation in the Post-Soviet Era (Westport, CT: Greenwood Press, 1994), 129.

გაშუქებას, არც ერთი ერის პრესა არ არის ზომიერი, როდესაც წერენ კურილებთან დაკავშირებით. ანთებული (აალებული) რიტორიკა უფრო მეტად ჩვეულებრივია, ვიდრე ობიექტური დებატები, რომელიც ემსახურება ოთახის პოლიტიკოსების მანევრების შეზღუდვას, რომლებიც მოლაპარაკებას ცდილობენ. იგი ასევე ხელს უშლის საკითხის ობიექტურ კვლევას. ამის შედეგია რუსული და იაპონური მედიის ყოველთვის საექვო ობიექტურობა.

რუსეთისა და იაპონიის შიგნით არსებობს უფსკრული ინდივიდუალურ და მასობრივ აღქმას შორის ამ ორი ქვეყნის ურთიერთობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 1855 წლიდან ორივე ერს ჰქონდა საზიარო საზღვარი, იყო შედარებით მცირე კონტაქტი ორ ხალხს შორის, ისიც მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე. ერთ-ერთ იაპონელ მკვლევარს შედარებული აქვს ორ მეზობელს შორის არსებული სიტუაცია, რომლებიც იზიარებენ საერთო შიდა ეზოს: ისინი არიან მეზობლები, მაგრამ მათ ის უფრო ადევნებთ, თუ რა ხდება ქუჩაში, სადაც მათი სახლი დგას. შესაბამისად, ისინი არ ცდილობენ გაიციონ „შემოგარენის მეზობელი“ იმიტომ, რომ ის არ არის მათთვის მნიშვნელოვანი.¹¹⁹ დომინანტური შეხედულებები თითოეული ქვეყნის მიმართ ჩამოყალიბდა ძირითადად ომისა და კონფლიქტების ისტორიის მეშვეობით, რომელიც დომინირებდა მეოცე საუკუნეში რუსეთ-იაპონიის ორმხრივ ურთიერთობებში: 1904-05 წლების რუსეთ-იაპონიის ომი, 1918-22 წლების ციმბირის ინტერვენცია, 1938-39 წლების „მცირე ომი“ მანჯურია/მონღოლეთის საზღვარებთან, 1939-45 წლების მეორე მსოფლიო ომი და ცივი ომი. პროპაგანდისტული დენონსირება გავრცელებული იყო ორივე მხარეს რუსეთ-იაპონიის ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ორი ერის მოსახლეობა მასობრივ კონტაქტში პირველად შევიდა. იმ პერიოდში, რუსების წარმოდგენით იაპონელები იყვნენ ლაჩრები და სუსტები, რომლებსაც რატომღაც დაბალი ეროვნული აზროვნება გააჩნდათ.¹²⁰ ასეთი წარმოდგენები საბჭოელებში გაძლიერებული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც სტალინის მიერ მომზადებული საომარი კამპანია

¹¹⁹ Researchers from the Russian Studies section at the Japan Institute of International Affairs (JIIA), interview by author, Nagatcho, Tokyo, Japan, 4 July 2002.

¹²⁰ Yulia Mikhailova, “Japan and Russia: Mutual Images, 1904-05,” in *The Japanese and Europe: Images and Perceptions*, ed. Bert Edstrom (Richmond Surrey, UK: Japan Library [Curzon Press], 1989), 156-161.

იაპონიის წინააღმდეგ და გრძნობდა, რომ საჭირო იქნებოდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დარღვევის გასამართლებლად. საბჭოთა კავშირის შეჭრა მანჯურიაში და კურილის კუნძულების ჩამორთმევა ემსახურებოდა იაპონელთა საყოველთაო რწმენის გაძლიერებას, რომ რუსები არ არიან სანდონი და ამ რწმენას ამყარებდა საბჭოელების მოპყრობა იაპონელი სამხედრო ტყვეებისადმი, ასევე ახლახანს, 1990 წლის დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტის, ბორის ელცინის, მიერ იაპონიაში დაგეგმილი ორი ვიზიტის გაუქმება.¹²¹ იაპონური საზოგადოებრივი აზრი რუსეთთან მიმართებაში კიდევ უფრო დაეცა ინციდენტების შემდეგ და პროცენტულად გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც რუსეთს მტრად ან საეჭვოდ მიიჩნევენ და მიაღწია 69.5%-ს, 1992 წლის ოქტომბერში უკვე 79.6%-ს და პროცენტულად შემცირდა რუსეთის მოყვარულთა რაოდენობაც და 25.4%-დან დაეცა 15.2%-მდე.¹²²

მედია ახლა არის მამოძრავებელი ძალა რუსეთისა და იაპონიის ორმხრივ ურთიერთობებში, როგორც გამოკითხვები აჩვენებს, იაპონელთა და რუსთა უმრავლესობა ინფორმაციას იღებს არამხოლოდ ტელევიზიიდან, არამედ რადიოსა და ბეჭდური მედიის საშუალებითაც.¹²³ იაპონიაში ამან გამოიწვია უნდობლობისა და ნეგატიური აღქმის ეფექტი, ფართოდ იყო გაშუქებული აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ოკინავაზე ჩადენილი დანაშაულები, რამაც გავლენა მოახდინა ამერიკულ-იაპონურ ურთიერთობებზე. დანაშაულში ეჭვმიტანილი რუსები, რუსული მაფიის შესახებ ისტორიები, ან გახმაურებული ინციდენტები საჯარო ადგილებში - ასე აშუქებდნენ იაპონიაში რუსულ ამბებს.¹²⁴ ეს ისტორიები იაპონიაში გამყარებული იყო

¹²¹ After the Japanese surrendered to the Soviets in Manchuria and Korea, Stalin ordered the 640, 000 Japanese POW's be sent to gulags (labor camps) throughout the Soviet Union. Repatriation was slow, and it took until 1956 for all the remaining POW's in the Soviet Union to be returned. As many 60, 000 died while interned in the Soviet Union. This number is in addition to approximately 150, 000 Japanese civilian residents of Sakhalin, the Kuril Islands, and Japanese occupied territories in Korea and Manchuria who disappeared during the brief Soviet involvement in the Pacific War. Tsuyoshi Hasegawa, *Between War and Peace, 1697-1985*, vol.1 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 70-73.

¹²² Hasegawa, *Neither War nor Peace*, 466.

¹²³ Joachim Glaubitz, *Between Tokyo and Moscow: The History of an Uneasy Relationship, 1972 to the 1990s* (Honolulu: University of Hawaii Press, 1995), 286-287.; Tsuneo Akaha and Anna Vassilieva, "The Russian Presence in Hokkaido: A Research Note," analysis of public opinion survey conducted in Hokkaido Prefecture, Japan, October 2001 (Monterey Institute of International Affairs, Monterey, CA, 2002, photocopy), 9.

¹²⁴ Akaha and Vassilieva, "The Russian Presence in Hokkaido," 9-10, 14.

თვით რუსეთის მხრიდანაც. როდესაც რამდენიმე იაპონელმა ტურისტმა ზიანი მიაყენა იაპონიის გამარჯვებას რუსეთზე 2002 წლის მსოფლიო თასზე, მაშინ ამ ინციდენტს განმეორებით აშუქებდა ისტ-ი (იაპონიის საზოგადოებრივი ტელევიზია) ლამის ეთერში მთელი ტურნირის მიმდინარეობის დროს და შექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთი იყო სახიფათო ადგილი, სადაც კანონი არ მოქმედებდა.

ეს არაა გასაკვირი, რადგან იაპონელთა დიდ უმრავლესობას მცირე ან არანაირი რეალური შეხება არ ჰქონდათ რუსებთან და სწორედ ამიტომაც ქვეყანაში გაბატონებული იყო მათი უარყოფითი დამოკიდებულება რუსებისადმი. თუმცა, ერთ-ერთი კვლევა გამოთქვამს ვარაუდს, რომ იაპონელებს დღითიდღე უფრო მეტი კონტაქტი აქვთ ინდივიდუალურ დონეზე რუსეთის მოქალაქეებთან და შესაძლოა, რომ საკუთარ შთაბეჭდილებებსაც გადახედეს.¹²⁵ იმის მიუხედავად, რომ კვლევის ავტორები აღიარებენ ჰიპოთეზას - „უნდა იყოს უფრო მეტად აპრობირებული საფუძველი და უფრო წარმომადგენლობითი ნიმუში“ მათ შორის, ვისაც გააჩნია აზრთა სხვადასხვაობა, ვისაც აქვს ხშირი კონტაქტი და ვისაც არ აქვს მნიშვნელოვანი კონტაქტი. ამის მიუხედავად, იმ რესპოდენტთა მოსაზრებები, ვისაც იშვიათი კონტაქტი აქვთ, ზოგადად შეესაბამება ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის ოფიციალური კვლევების შედეგებს.¹²⁶ იაპონელები, რომლებსაც რუსებთან აქვთ კონტაქტი, მათ აღსაწერად იყენებენ სიტყვებს „მეგობრული“, „პატიოსანი“, ან „მხიარული“, რაც ეწინააღმდეგება იმათ აზრს, ვინც რუსებს მედია საშუალებებით იცნობს და უფრო ხშირად უარყოფით მახასიათებლებს იყენებენ, როგორცაა „ბინძური“, „ხმაურიანი“ და „ავტორიტარული.“¹²⁷ საინტერესო ის იქნება თუ რა ეფექტს გამოიღებს - გაიზრდება თუ არა რუსი კომერციული მეთევზეების ვიზიტების რაოდენობა ჰოკაიდოზე და ექნება თუ არა უფრო ფართო დინამიკა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებს ვაჭრობის სფეროში. სამწუხაროდ, ჰოკაიდო შედარებით მეჩხერადაა დასახლებული და სავარაუდოა, რომ ერთადერთი საუკეთესო შესაძლებლობა კონტაქტისა იაპონელებს აქვთ რუსებთან და ყველაზე

¹²⁵ Akaha and Vassilieva, “The Russian Presence in Hokkaido,” 14.

¹²⁶ Akaha and Vassilieva, “The Russian Presence in Hokkaido,” 10, 12-14; Glaubitz, *Between Tokyo and Moscow*, 286-292.

¹²⁷ Akaha and Vassilieva, „The Russian Presence in Hokkaido,” 8.

მრავალრიცხოვანია რუსი „მასპინძელი ქალები“ „ლამის კლუბებში, რომლებიც წევრები არიან“ კლუბებისა მთელი იაპონიის მასშტაბით.¹²⁸ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 1999 წელს მხოლოდ 123 რუსი შევიდა იაპონიაში სტუდენტური ვიზით, ხოლო 2925 რუსი შევიდა „სამუშაო“ ვიზით და აღნიშნული სიტუაცია არ უქმნის რუსებს კარგ იმიჯს იაპონელთა თვალში.¹²⁹

რუსეთთან გაზრდილი კონტაქტები არ არის პანაცეა ურთიერთობების გაუმჯობესებისა და იაპონელებს შორის უკეთესი იმიჯის კუთხით. იაპონიის უფრო შიგნით არსებობს გრძნობა, რომ რუსეთი არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იაპონიისთვის ეკონომიკურად, პოლიტიკურად ან სტრატეგიულად.¹³⁰ თუმცა, უკვე ათი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაიშალის შემდეგ, მხოლოდ მცირე საზოგადოებრივი ინტერესიღა დარჩა. არსებობს ინფორმაციის მძიმე ნაკლებობა აღნიშნულ თემაზე, რომელსაც ეს კვლევა მოიცავს. თუმცა, ანეკდოტური მტკიცებულება გვთავაზობს მკაცრ ჰიპოთეზას. ერთი რესპოდენტი, რუსი ექსპერტი და მკვლევარი, ატარებს კვლევას იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, რომელიც ჩივის რუსეთთან დაკავშირებული კვლევების დაფინანსების შემცირებაზე. ის აღნიშნავდა, რომ თავს ბედნიერად გრძნობდა იქ სადაც იყო, როგორც ბევრი მისი კოლეგა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ რუსული ენის დეპარტამენტს იაპონურ უნივერსიტეტებში და დაკარგეს სამუშაო ადგილები, მათი უწყებებიც დაიხურა, რადგან შემცირდა რუსული ენის ან საკითხების შემსწავლელ სტუდენტთა რაოდენობა პროცენტულად. სადაც 20 წლის წინ არ იყო საკმარისი ინტერესი ერთი სრულწლიანი ჯგუფის შენარჩუნებისა ყველაზე დიდ უნივერსიტეტებში ყოველ სასწავლო წელს, ეს არის უკვე უიმედო შემთხვევა. რუსული კვლევების

¹²⁸ “Hostesses” in Japanese night clubs, bars or member’s clubs are women who men pay to talk to them. Payment may be in the form of over-priced drinks, or there may be an hourly rate for being in the club in addition to the price of drinks. In more respectable clubs the women fill a role similar to that of the traditional geisha, and will pour drinks, sing karaoke, and generally try to entertain the customer. Although they are not “prostitutes,” many of these women become mistresses of wealthy or regular clients. In the more seedy establishments, the “hostesses” are often little more than prostitutes. The general assumption in Tokyo is that all Russian women in the city are “hostesses.” G.L.M.

¹²⁹ Akaha and Vassilieva, “The Russian Presence in Hokkaido,” 5.

¹³⁰ Mid-level officials in the Political Section and Defense Attache Office at the American Embassy, interview by author, Nagatcho, Tokyo, Japan, June 25, 2002.; Researchers from the Russian Studies department at the National Institute of Defense Studies (NIDS), interview by author, Ebisu, Tokyo, Japan, 2 July 2002.; JIIA, Interview.

დეპარტამენტები შემცირდა, რადგან სტუდენტები ვერ მიიზიდეს და უფრო მეტი ინტერესია მათი მხრიდან აზიური ენების მიმართ, რითაც ივსებენ აუცილებელი ინგლისურის ცოდნის დანაკლისსაც. ის დეპარტამენტები, რომლებიც ხშირად გადარჩენილან ხოლმე კურსისთვის სახელის შეცვლით, სადაც არსად ჩანს რუსეთი არც სათაურში ან კურსის აღწერაში და აქცენტი ამის ნაცვლად გადატანილია „წყნარი ოკეანის რეგიონის უსაფრთხოებაზე“ ან გარემოსდაცვით საკითხებზე.¹³¹ საერთაშორისო ურთიერთობების იაპონურ ინსტიტუტში 1997 წელს რუსეთის კვლევების დარგში სამი ასისტენტი იყო, ხოლო 2002 წლისთვის ერთამდე შემცირდა. იმის გათვალისწინებით, რომ მე-20 საუკუნეში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცუდი ურთიერთობები ჰქონდათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინტერესი ან კეთილგანწყობა რუსეთის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზრდება უახლოეს პერსპექტივაში იაპონიაში.

რუსეთის მხარე, როგორც ჩანს, უფრო კეთილგანწყობილი იყო იაპონელებისა და იაპონიის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებობდა ტერიტორიული დავა. შეგვიძლია მიზეზი გარკვეულად ითქვას, თუმცა სავარაუდოა, რომ საშუალო რუსს უფრო ადევნებს ევროპასა და დასავლეთთან ურთიერთობა, ვიდრე იაპონიასთან, რომელზეც ნაკლებს ფიქრობს. საინტერესოა ის, რომ როგორც ჩანს, რუსები იაპონია-რუსეთის ურთიერთობებს განიხილავენ როგორც მეგობრულს და კვლევის შედეგად გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არც კი იცის, რომ იაპონიასა და რუსეთს შორის არსებობდა სამშვიდობო ხელშეკრულება.¹³² შორეულ აღმოსავლეთში იაპონელებს დადებითი საერთო აზრი აქვთ და ბედის ირონიით დიდი სურვილი უკეთესი ურთიერთობებისა, რომ ნაცვლად გაზრდილი წინააღმდეგობებისა ჩრდილოეთ ტერიტორიები კვლავ წარმოადგენს პირველად დაბრკოლებას უკეთესი ურთიერთობებისათვის. პასუხი ამ აშკარა პარადოქსზე ისაა, რომ რუსებს იაპონური დახმარების იმედი აქვთ.¹³³

¹³¹ JIIA, Interview.

¹³² The Ministry of Foreign Affairs of Japan (MOFA), “Survey in the Russian Federation on Opinions Toward Japan (Outline),” August 2001 [cited 01 May 2002], available at www.mofa.go.jp/region/europe/russia/survey/2001.html; INTERNET.

¹³³ MOFA, “Survey in the Russian Federation on Opinions Toward Japan (Outline).”; John J. Stephen, “The Political and Economic Landscape of the Russian Far East,” in Tsuyoshi Hasegawa, Jonathan Haslam and Andrew

საკუთრივ კუნძულებზე სურათი კიდევ უფრო გაურკვეველია. 1999 და 2000 წლებში კუნძულებზე სტუმრობისას ჰიროში კიმურას დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეტოროფუს კუნძულის მაცხოვრებლების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო იაპონიისთვის კუნძულების დაბრუნებისა, შიკოტანის მაცხოვრებელთა უმეტესობა დაბრუნებას უჭერდა მხარს, ხოლო კუნაშირის მოსახლეობის სურვილი კი თანაბრად იყო გაყოფილი.¹³⁴ კიმურას თანახმად, ყველაზე განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს იმ კუნძულების მაცხოვრებლებმა, რომლებსაც ჰქონდათ შეგრძნება, რომ „ისინი უკვე არსებითად მიტოვებულნი არიან რუსეთისგან მატერიკსა და სახალინზე“ და „ისინი გრძნობენ, რომ მათ არ აქვთ არჩევანი და თუ სურთ გადარჩენა, მაშინ უნდა იქნენ ინტეგრირებულნი ნემუროსა და ჰოკაიდოს ეკონომიკურ სფეროში.“¹³⁵ მიუხედავად იმისა, რომ იყო სურვილი კუნძულების პირვანდელ მდგომარეობაში - ანუ იაპონიისათვის დაბრუნებისა, მაინც რჩება კითხვა - რუსეთის მიერ მატერიკის მივიწყება ასახავს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის განცდას, რომლებიც უკვე დავიწყებულნი იყვნენ მოსკოვშიც.¹³⁶

შეიძლება გაკეთდეს არგუმენტი (და ეს ხშირად ხდება კიმურას მხრიდან), რომ კუნაშირისა და შიკოტანის „იაპონიზაცია“ უკვე დაწყებულია და ამ კუნძულებზე ნამყოფია კიმურა. მოსახლეობამ ტელევიზიით უკვე იხილა იაპონური პროგრამები და ასევე, ბევრი ინფორმაცია მიიღო ჰოკაიდოზე იაპონელებთან წარმოებული სავაჭრო ურთიერთობების შედეგად.¹³⁷ დიდი ეკონომიკური ინტეგრაციის სურვილი გაზიარებულია იაპონელების მხრიდან, რომლებიც ჰოკაიდოს ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ. ამ ხალხს აიძულებს ხელისუფლება დათანხმდეს ახალი თევზსაჭერების მოწყობას სამხრეთ კურილის რაიონის მერის, ნიკოლაი პოგიდინის წინადადების თანახმად, რაც იაპონელ მეთევზეებს მისცემს ხელმისაწვდომი თევზჭერის საშუალებას ჩრდილოეთ ტერიტორიების მიმდებარედ.¹³⁸ მიუხედავად ამისა,

Kuchins, eds., *Russia and Japan: An Unresolved Dilemma Between Distant Neighbors* (Berkeley: University of California, 1993), 294.

¹³⁴ Hiroshi Kimura, "Islands Apart," *Look Japan*, February 2001 [cited 22 April 2002], available at www.lookjapan.com/Lbcoverstory/01FebCS.htm; INTERNET.

¹³⁵ Kimura, "Islands Apart."

¹³⁶ Stephen, "The Political and Economic Landscape of the Russian Far East," 288-289.

¹³⁷ NIDS, Interview.; Kimura, "Islands Apart."

¹³⁸ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 488-489.

არსებობდა საერთო სურვილი უფრო დიდი ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეზოლუციის მიღებისა, თუმცა განსხვავება იყო მოსაზრებებში დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

საინტერესოა თუ რამდენად სერიოზულად ფიქრობენ რუსები იაპონელებთან ურთიერთობებზე შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიების გარეთ, ან რამდენად ინფორმირებულნი არიან იაპონიის შესახებ, ესაა სწორედ საკითხავი. თუმცა, იაპონური რესტორნები პოპულარული ხდება მოსკოვში, ასევე იაპონური ენის ცოდნა, იაპონური კულტურა და თავად ტერიტორიული საკითხი ნაკლებად პოპულარული რჩება, ასევე ნაკლები გაკეთდა რუსული მოსახლეობის გასანათლებლად იაპონიაში მოღვაწე ზოგიერთი რუსი ექსპერტის მხრიდან.¹³⁹ ზოგიერთი იაპონური ჯგუფი არ იშურებს ძალისხმევას რუსების „განათლებისათვის“ საკუთარი ძალებით, მათ შორისაა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ავრცელებს რუსებში ჩრდილოეთ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საინფორმაციო ბროშურებს და ავრცელებს ყველგან, სადაც ეს არის შესაძლებელი. აქედან ბევრი რამ აშკარად ტენდენციურია და ხარისხი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს რუს მკითხველზე, არის საეჭვო.¹⁴⁰

2) ეროვნული მითები

ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავა პრაქტიკულად რთულად გადასაწყვეტი საკითხი გახდა დიდწილად, რადგან ეროვნული მითები მართავდა იაპონელ და რუს ხალხს, რომლებიც თავად შექმნეს თავიანთ ერებში და ტერიტორიებზე. ცენტრალური იაპონური ხედვა „თანდაყოლილი ტერიტორიების“ კონცეფციასთან დაკავშირებით, რომელშიც „ყოველთვის განიხილება ჩრდილოეთ ტერიტორიების შემადგენელი ოთხი ძირითადი კუნძული იაპონიის ჭეშმარიტ კუთვნილებად.“¹⁴¹ „თანდაყოლილი ტერიტორიები“ არის ერთ-ერთი, რომელიც უკვე

¹³⁹ JIA, Interview.

¹⁴⁰ “Our half century long appeal for Justice,” pamphlet in Japanese, Russian and English, (City of Nemuro, n.d.); “Website of the Hokkaido Prefecture Government,” [cited 21 July 2002], available at www.pref.hokkaido.jp; INTERNET.

¹⁴¹ Hasegawa, Neither War nor Peace, 512.

„განიხილება ისტორიულ და სამართლებრივ ნაწილად, რაც მხოლოდ ამ ქვეყნის ნაწილს შეადგენდა იმის გამო, რომ უძველესი დროიდან ეკუთვნოდა იაპონიას და არც ერთ სხვა ერს.“¹⁴² იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ოფიციალურ საიტზე ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის არგუმენტები გამოაქვეყნა. იგი აცხადებდა, რომ „კურილის კუნძულები,“ რომლებზეც იაპონიამ უარი თქვა, „არ მოიცავს ეტოროფუს, კუნაშირის, შიკოტანს ან ჰაბომაის კუნძულებს, რომლებიც ყოველთვის იაპონური ტერიტორიები იყო.“¹⁴³ ამ არგუმენტის ისტორიული მხარდაჭერა არსებობს, რომელიც თარიღდება ოკუპაციის შემდგომი პერიოდით. ამ დროს, ნემუროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შემფოთდნენ, როდესაც მათ ვერ მიაღწიეს ჩრდილოეთ ტერიტორიების მაცხოვრებლებამდე, რომლებიც ეკუთვნოდნენ მათ ადგილობრივ ადმინისტრაციას. მსგავსი პრობლემები ნაჩვენებია ჰოკაიდოს ხელისუფლების ნებისმიერი მაცხოვრებლისათვის, რომლებიც კურილის კუნძულებზე ან სახალინზე ცხოვრობენ, რადგან ისინი აღმოჩნდნენ კოლონიური ადმინისტრაციის იურისდიქციაში და არა მთავარი კუნძულებისაში.¹⁴⁴ იაპონიის ხელისუფლებამ გამოიჩინა განსაზღვრული ძალისხმევა იაპონელი მოსახლეობის დასარწმუნებლად, გარდა ეტოროფუს, კუნაშირის, შიკოტანისა და ჰაბომაისა, რომლებზეც 1951 წლის სან-ფრანცისკოს ხელშეკრულების თანახმად უარი თქვა. თავის მხრივ, განათლების სამინისტრომ დაამატა ჩრდილოეთ ტერიტორიების დავის შესახებ ისტორიის საჭირო მონაკვეთი საშუალო და უმაღლესი სკოლების სასწავლო პროგრამაში.¹⁴⁵ კუნძულების დაბრუნების საკითხი იაპონელთათვის ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელია, რადგან ამ კუნძულებს უკვე უკავშირდება იაპონიის ეროვნული იდენტობის კონცეფცია. ეს კონცეფცია ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული იაპონელთა მხრიდან წინაპრების თაყვანისცემასთან, რომლის დროსაც მიდიან და ზრუნავენ საკუთარი წინაპრების საფლავებზე, რაც მათთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ო-ბონ-ის (O-

¹⁴² Hiroshi Kimura, *Japanese-Russian Relations Under Brezhnev and Andropov*, vol.1 of *Distant Neighbors* (Armonk, NY: M.E. Sharpe, 2000), 58.

¹⁴³ The Ministry of Foreign Affairs of Japan (MOFA), “Japan’s Northern Territories,” [cited 20 February 2002], available at www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/; INTERNET.

¹⁴⁴ Nimmo, *Japan and Russia*, 31.

¹⁴⁵ Nimmo, *Japan and Russia*, 32.

bon) ა (გარდაცვლილთა ფესტივალი) დროს იძენს. ჩრდილოეთ ტერიტორიების ყოფილ მაცხოვრებლებსა და მათ შთამომავლებს კვლავ მნიშვნელოვანი კავშირები აქვთ კუნძულებთან და მანამ არ შემცირდება ასეთი ხალხის რაოდენობა, სანამ რამდენიმე თაობა არ შეიცვლება.

მეორე „ეროვნული მითი“, რომელიც გაავრცელეს იაპონელებმა ეხება კუნძულების იდეას, როგორც ბოლო სიმბოლოს მეორე მსოფლიო ომში დამარცხებისას. ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა იყო მთავარი პრიორიტეტი უსიტყვო კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, როდესაც 1951 წლის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებით აღდგა იაპონელთა თვითმმართველობა. 1972 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოკინავა იაპონელთა მმართველობაში დააბრუნა, ხოლო ჩრდილოეთ ტერიტორიები გახდა ბოლო იაპონური ირიდენტა (არშემოერთებული რეგიონი; რეგიონი, რომელიც ისტორიულად ეკუთვნის ერთ ქვეყანას და იმართება სხვა ქვეყნის მიერ), რომელიც წარსულში კოლონიური სტრუქტურის დაქვემდებარებაში შედიოდა ისევე, როგორც სახალინი და კურილის ჩრდილოეთით -ეტოროფუ - ყოველთვის იყო (ჯერ კიდევ) „უცხოური ოკუპაციის“ ქვეშ. მასათო კიმურა და დევიდ უოლში აღნიშნავენ, რომ „იაპონიას კარგად აქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ თავისი ურყევი, დაჟინებული მოთხოვნით უნდა დაბრუნდეს სადავო კუნძულებზე, რაც ნამდვილად რთული ასახსნელია [რაციონალურად]... იმით შეიძლება აიხსნას იაპონიის პოზიცია, რომ ქვეყნის შიგნით დიდი ღირებულება გააჩნია კუნძულებს, რაც საუკეთესოდ ესმის მოსახლეობას, რადგან მათი დაბრუნებით აღიდგენენ იაპონური იდენტობის გრძნობას.“¹⁴⁶

მეორე მსოფლიო ომის მითის მხარდამჭერი არის იდეა, ასევე პროპაგანდაც იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ შექმნილ ვებსაიტზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ იაპონია არის ვერაგი თავდასხმისა და ღალატის მსხვერპლი მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა გააუქმა ნეიტრალიტეტის პაქტი, ისარგებლა იაპონელთა მოსალოდნელი მარცხით და კუნძულებს აგრესიულად უწოდებდა ომში მოპოვებულ ნადავლს.¹⁴⁷ აღნიშნული

¹⁴⁶ Masato Kimura and David A. Welch, “Specifyin ‘Interests’: Japan’s Claim to the Northern Territories and Its Implications for International Relations Theory,” *International Studies Quarterly* 42, no.2 (1998): 217.

¹⁴⁷ MOFA, “Japan’s Northern Territories.”

პრეტენზია არის პრობლემატური იმის გამო, რომ იგი მოიცავს მნიშვნელოვან ისტორიულ ამნეზიას იაპონელების მხრიდან, რომელთაც აღარ ახსოვთ საკუთარი ქმედებები მეორე მსოფლიო ომის დროს. 1940 წელს იაპონელები მზად იყვნენ დაერღვიათ ნეიტრალიტეტის პაქტი, თუ საბჭოთა კავშირი საკმაოდ სუსტი აღმოჩნდებოდა. ცუიოში ჰასეგავას აზრით, „მოულოდნელი თავდასხმა“ წარმოადგენდა „როგორც ფსიქოლოგიურ საშუალებას იმისათვის, რომ იაპონელებს თავი ეგრძნოთ მსხვერპლად და ამის მთავარი საბაზი იყო წყნარი ოკეანის აუზში მიმდინარე ომისათვის სამაგიეროს გადახდა.“¹⁴⁸ მეორე მსოფლიო ომის მოვლენები და საბჭოთა სამხედრო ძალების ქმედებები, დაწყებული მანჯურიაზე თავდასხმით და დამთავრებული კურილების, შიკოტანისა და ჰაბომაის კუნძულების ჩამორთმევით, ხშირად განუხილავთ და მოუხსენიებიათ, როგორც ორი ცალკე, აშკარა ომი, რომელშიც ერთის მოვლენებს მეორესთან არანაირი კავშირი არ ჰქონია.¹⁴⁹ ამ მექანიზმის მიხედვით იაპონელები თავიანთ გონებაში გამიჯნავდნენ თავიანთი ძალების ქცევასა და ქმედებებს 1937 წლის 15 აგვისტომდე, ხოლო რუსებისას კი 1945 წლის აგვისტოსა და სექტემბერში. ეს საშუალებას აძლევს ტოკიოს, რომ მორალურად მართლად იგრძნოს თავი, როდესაც მხარს უჭერს ამ ტერიტორიების თავდაპირველი მფლობელისათვის დაბრუნებას.

მეორე მსოფლიო ომი, ან დიდი სამამულო ომი, როგორც მას რუსები უწოდებდნენ, უკვე იქცა რუსეთის საკუთარ ეროვნულ მითად. კურილის კუნძულები განხილულია, როგორც ომში მოპოვებული ნადავლი და რუსეთის მიერ გაწეული უზარმაზარი მსხვერპლი საკუთარი ჯარისკაცებისა და ხალხის სახით გამართლებულია. რუსები საკუთარ თავს განიხილავენ „უცხოური აგრესიის მსხვერპლად და უცხოელ დამპყრობლებზე გამარჯვებად კი რუსეთის საზღვრების გაფართოებას მიიჩნევენ.“¹⁵⁰ რუსეთი ყოველთვის იყო დამპყრობელი მაშინაც კი, როცა კოლონიურ ძალას წარმოადგენდა. თუმცა, ვიდრე მიჰყვებოდა დასავლეთ ევროპულ მოდელს საზღვაო იმპერიის დაბადებისას, რუსებმა ჩამოაყალიბეს კონტინენტური

¹⁴⁸ Hasegawa, *Between War and Peace*, 71.

¹⁴⁹ NIDS, Interview.

¹⁵⁰ Yale Richmond, *From Nyet to Da: Understanding the Russians*, rev.ed. (Yarmouth, ME: Intercultural Press, 1998), 12.

იმპერია. ამიტომ, იაპონელები რუსების კოლონიურ მიღწევებს საპირისპიროდ აღიქვამდნენ და მოსკოვი დარწმუნებული იყო იმაში, რომ „რუსეთი არ აპირებს მსხვერპლად გაიღოს ან გაყიდოს რუსული ტერიტორია.“¹⁵¹ ეს გამოიწვევდა რუსეთის სამშობლოს ერთიანობის ეროზიას. სწორედ ეს შეგრძნებაა, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა და მასში შემავალი ბევრი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ესაა იგივე კონცეფცია, რომელიც გამოიყენეს იმისათვის, რომ გაამართლონ ომი ჩეჩნეთში: „დომინოს თეორიამ“ მოიცვა რუსეთის ფედერაციის შორეული რეგიონები და ისინი შიშობდნენ, რომ თუ ერთ ტერიტორიას გამოყოფის ნებას დართავენ, მაშინ ამ ერთს ბევრი სხვაც მოჰყვება. გარდა ამისა, თუ ერთი ნაწილი მოიპოვებს გამოყოფის უფლებას, მაშინ ის აღარ იქნება „რუსული“ და ეს რუსული სახელმწიფოს ბუნებას ეჭვქვეშ დააყენებს. ივან კოვალენკო 1988 წელს შეპყრობილი აღმოჩნდა ამ განწყობით, როდესაც იყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და განაცხადა: „თუ განვიხილავთ მეორე მსოფლიო ომის შედეგებს, მაშინ ადგილი ექნება ჯაჭვურ რეაქციას და როგორც შედეგი, ომის შემდგომი მშვიდობის „სახლი“ გახდება ფარდული.“¹⁵² ამ განწყობითაა გამოწვეული რუსი ჟურნალისტების მტკიცება იმისა, რომ „კუნძულები ვერ გახდება იაპონელების ტერიტორია.“¹⁵³

სტალინი კონკრეტულ დასაბუთებას იყენებდა კუნძულების შესანარჩუნებლად, რაც გამოიხატებოდა შურისძიებაში რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხების გამო. 1945 წლის 5 სექტემბერს, დიდი სამამულო ომის დასასრულისთვის, სტალინმა გააკეთა თავისი ცნობილი განცხადება, რომელშიც მან იაპონური ტერიტორია გამოაცხადა, როგორც საბოლოო შურისძიება 1905 წლის დამცირებისა და პორტსმუთის ხელშეკრულების გამო.¹⁵⁴ საეჭვოა, რომ ეს ძველი ჭრილობები კვლავ გაიხსნას ექსტრემალურ ნაციონალისტებს შორის, რომლებიც რუსეთს მოუწოდებენ ალასკის დაბრუნებისკენ. თუმცა იაპონელების მიერ რუსების დამარცხების შესახებ მოგონებებმა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში კუნძულების

¹⁵¹ Graham Allison, Hiroshi Kimura and Konstantin Sarkisov, *Beyond Cold War to Trilateral Cooperation in the Asia-Pacific Region: Scenarios for New Relationships between Japan, Russia and the United States*, Strengthening Democratic Institutions Project (Cambridge, MA: John F. Kennedy School of Government, Harvard University, 1992), 6.

¹⁵² Nimmo, *Japan and Russia*, 67.

¹⁵³ Bubnov, “George Bush ‘Gives’ the Kuril Islands to Japan.”

¹⁵⁴ Nimmo, *Japan and Russia*, 28. Russians know of World War II as the Great Patriotic War.

შესვლის პროპაგანდის გასამართლებლად. ტერიტორიების ღირებულებას, როგორც ომში მოპოვებული ნადავლისა და ახლა უკვე „თანდაყოლილი ტერიტორიისა“ რუსეთის ფედერაცია მკაცრად ეხმიანება და ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ შესაძლოა რუსეთს დავა მოუხდეს ჩინეთთან ერთ-ერთი მიწის გამო, მაგრამ უარს ამბობს იაპონიასთან მსგავს განხილვაზე.¹⁵⁵ კუნძულების ჭეშმარიტი ღირებულება რუსეთისთვის, ისევე როგორც იაპონელებისათვის, არის სიმბოლური. ამ მიზეზის გამო, მოსახლეობის უმრავლესობა ზურგს აქცევს თავიანთ ეროვნულ მითებს კურილების მფლობელების პოზიციის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით.¹⁵⁶ ორივე მხარის არგუმენტები გამოხატულია ძირითადად მორალური თვალსაზრისით და პოლიტიკოსებს რჩებათ მხოლოდ მცირე შანსი მანევრის ან კომპრომისისათვის.

3) პოლიტიკოსები და პოლიტიკა

ცივი ომის დასრულების შემდეგ ამ ორი ქვეყნიდან არცერთს არ ჰყავდა ისეთი მმართველი, რომელიც შეძლებდა ქვეყნის უსაფთხოების დაცვას. რუსეთში გორბაჩოვი იყო პირველი ვინც დაკარგა პოლიტიკური მხარდაჭერა არაპროგნოზირებადი დემოკრატიული ქმედებების გამო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვერც ბორის ელცინმა და შემდეგ წლებში ვერც ვლადიმერ პუტინმა ვერ შეძლო დამოუკიდებელი შიდა მხარდამჭერთა მყარი ბაზის შექმნა. ხოლო მშფოთვარე 90-იან წლებში იაპონიას ყავდა ცხრა სხვადასხვა პრემიერ მინისტრი. პრემიერ-მინისტრმა ჯიუნჩირო კოიძუმიმ დაინახა რა მისი კატასტროფულად კლებადი რეიტინგი, რომელიც ერთ ღამეში 80%-დან 40%-მდე დაეცა, რაც მისი რეიტინგის ნახევარს შეადგენდა და გამოწვეულ იქნა მის მიერ ქვეყნის შიგნით პოპულარული საგარეო საქმეთა მინისტრის - მაკიკო ტანაკას გათავისუფლებით. მიუხედავად ტანაკას

¹⁵⁵ In the 2001 treaty between Russia and China, Russia and China reached agreement on most of their border, including two small islands in the Amur River. The islands were in the middle of the river. But sediment buildup has begun on the Chinese side, and eventually the islands may become attached to the Chinese shore. Some nationalists had threatened to dredge the Chinese side of the river to prevent this. In the sections of the border that are not defined by rivers, a give and take process has been proceeded, though the Chinese have gained slightly more than the Russians. Only appx. 50km of the Russo-Chinese border remains in dispute.

ძალაუფლების დაცემისა და პარლამენტის მიერ კორუფციის ბრალდებით მისი გადაყენებისა, კოიძუმის პოპულარობის რეიტინგი 2002 წლის აგვისტოდან მაინც დაბალი იყო და გამომდინარე აქედან, თავდაპირველი დიდი პოპულარობა შესაძლოა მცდარი ყოფილიყო. გარდა ამისა ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას არ შესწევდა უნარი ჰყოლოდა ძლიერი, დინამიური ლიდერი პარტიის შიგნით, რომელიც იქნებოდა ხელმძღვანელი და შეძლებდა პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებას. ფირმების მხარაჭერის გარეშე ვერც ერთი ლიდერი ვერ შეძლებდა მოლაპარაკებების წარმოებას ან კომპრომისის მიღწევას ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანი იქნებოდა. იმისათვის, რომ მივიღოთ აღნიშნულ კითხვაზე პასუხი, საჭიროა გადავხედოთ სახელმწიფო დონეზე არსებულ ფაქტორებს.

ნაციონალიზმი ძლიერდებოდა როგორც რუსეთში, ასევე იაპონიაში და ჰპოვებდა ახალ ძალას ეკონომიკური და პოლიტიკური დამაბულობის დროს ორივე ქვეყანაში. ურანელი სამხედრო ოფიცერი წერდა: „რუსები თვლიან, რომ მათი სახელმწიფო არის ძლიერი, ხოლო ძლიერი სახელმწიფო არასოდეს თმობს ტერიტორიებს.“¹⁵⁷ ამის კარგი მაგალითია 2002 წლის თებერვალში მომხდარი ფაქტი, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ღუმაძ მოაგროვა უმრავლესობის ხმები იმისათვის, რომ მოეწვიათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი კითხვებზე პასუხის გასაცემად. მათ ასეთი კითხვა დაუსვეს საგარეო საქმეთა მინისტრს: „მართალია თუ არა, რომ რუსეთის ლიდერები გეგმავენ სამხრეთ კურულის კუნძულების იაპონიისათვის გადაცემას?“¹⁵⁸ აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო იმდროისათვის ახლად დანიშნული იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის, იორიკო კავაგუჩის, განცხადებით.

იაპონურ პრესაში აქტიურად შუქდებოდა და იბეჭდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კავაგუჩი და ივანოვი წინასწარ შეთანხმდნენ სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით მოლაპარაკებაზე, რაც თითქოს იმას გულისხმობდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დათანხმდა იაპონიისთვის კუნძულების დაბრუნებას.¹⁵⁹ ამ სიტუაციიდან გამოსავალი იპოვა კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა დეპუტატმა და

¹⁵⁷ LCOLEvgenii Akhmalidinov, Ukrainian Air Forces, conversation with author, 04 April, 2002.

¹⁵⁸ Tsetsikova, “Japan’s New FM Lands Igor Ivanov in Duma Dock.”

¹⁵⁹ „Russian Foreign Minister Agree to Negotiate Return of Islands” *Mainichi Daily News*.“

დაიწყო კუნძულების დაბრუნების საწინააღმდეგო მოძრაობა, რაშიც მემარჯვენე ნაციონალისტის, ვლადიმერ ჟირინოვსკისგან მიიღო მხარდაჭერა. ამ განცხადებამ სახალინზე საპროტესტო დემონსტრაციების ტალღა გამოიწვია, სადაც ხალხი კუნძულების დაბრუნების წინააღმდეგ გამოდიოდა, თუმცა ამ მაცხოვრებელთა აზრი ოფიციალურად არსად არ არის დაფიქსირებული.¹⁶⁰ ივანოვმა სწრაფად გაფანტა იაპონელთა იმედები, მოლოდინები და რუსების შიში, როდესაც მან მტკიცედ განაცხადა, რომ ამ საკითხის გარშემო არანაირი ცვლილებები არ შეინიშნებოდა და არც იყო მოსალოდნელი.¹⁶¹ იმისათვის, რომ ხელი მოეწეროს სამშვიდობო შეთანხმებას, საჭირო და აუცილებელია, რომ ფედერაციის საბჭოს 2/3 - მა, ანუ 178 წევრმა, მოახდინოს მისი რატიფიცირება. საბჭო შედგებოდა არა მხოლოდ რეგიონალური ხელმძღვანელებისგან, რომლებიც ძირითადად პუტინის მოკავშირეები იყვნენ, არამედ უფრო კონსერვატიული და უფრო ნაციონალისტური სამხარეო ოლქების ხელმძღვანელებისგან. ალბათობა იმისა, რომ ასეთი ჯგუფები მოახდენდნენ ყველა კუნძულის დაბრუნების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიცირებას, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.¹⁶²

პუტინი არ არის ერთადერთი, ვინც უნდა გაუმკლავდეს მგზნებარე ნაციონალისტებს. იაპონელი ნაციონალისტები წარმოადგენდნენ იაპონიის პრემიერ-მინისტრის ჯიუნჩირო კოიძუმის ძლიერ მხარდამჭერ ჯგუფს. ამ მხარდაჭერას კიდევ უფრო კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა კოიძუმისთვის მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან გაათავისუფლა საგარეო საქმეთა მინისტრი ტანაკა. ალბათ ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატა კოიძუმის საკუთარი მისწრაფებები იასუქუნის ტაძარში თავისი ორი ვიზიტის დროს, სადაც დაკრძალულნი არიან 1940 წელს დასჯილი სამხედრო დამნაშავეები, მათ შორის, გენერალი ჰიდეკი ტოგო. რომელიც 1978 წელს იქნა გადასვენებული. ჟურნალმა „ეკონომისტმა“ მოკლედ აღნიშნა მისი ბოლო ვიზიტი, რომელიც 21 აპრილს შედგა: „ბატონი კოიძუმი... ძნელად თუ შეიძლება არაგულწრფელი ნაციონალისტების მსხვერპლად ჩაითვალოს. არავის დაუძალებია

¹⁶⁰ Tsetsikova, “Japan’s New FM Lands Igor Ivanov in Duma Dock.”

¹⁶¹ Valeriy Agarkov and Dina Pyanykh, “Minister Tells Duma No Progress With Japan on Disputed Islands,” *ITAR-TASS* wire service, 13 March, 2002.

¹⁶² Steven Solnick, “Russian Regional Politics and the ‘Northern Territories’” (paper presented at the 1999 Miyazaki-Tokyo International Symposium, Tokyo, Japan, November 1999), 10.

მისთვის ასეთი არჩევანის გაკეთება, როდესაც მან იასუჟუნის დაპირისპირება გამოიყენა საკუთარი ინტერესებისათვის შიდა პარტიული კამპანიის დროს [2001 წელს]. მან განაცხადა, რომ მოინახულებდა აღნიშნულ ადგილს აგვისტოში თხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით და ამით შეძლებდა ნაციონალისტების მხარდაჭერის მოპოვებას, რაც შემდეგში დაეხმარებოდა პარტიის პრეზიდენტის პოსტის დაკავებაში.¹⁶³ ამ დაპირისპირებაში მრავალი წლის მანძილზე შეუმჩნეველი რჩებოდა ის, რომ ლიბერალ-დემოკრატიული პარტია (ლდპ) იყო ერთადერთი პარტია, რომლის ტერიტორიული მოთხოვნები შემოიფარგლებოდა ჩრდილოეთ ტერიტორიებით. ეს მაშინ, როდესაც სხვა პარტიები მოითხოვდნენ კურილის ყველა კუნძულის დაბრუნებას, ზოგი კი ითხოვდა ასევე სამხრეთ სახალინსაც. 1989 წლიდან იაპონია, ისევე როგორც რუსეთი, განიცდიდა ეკონომიკურ რეცესიას, რამაც გავლენა იქონია იაპონიაში უკვე არსებულ პოლიტიკურ არასტაბილურობაზე. ეკონომიკური პრობლემების დროს პოლიტიკოსები ხშირად ეძებენ ყურადღების სხვა რამეზე გადატანის საშუალებებს, რათა საკუთარი მხარდაჭერის შენარჩუნება შეძლონ. თავისი შიდა პარტიული კამპანიის დროს, პრემიერ-მინისტრის პოსტის დასაკავებლად, კოიძუმიმ შემოიერთა „დამოუკიდებელთა“ (ინდეფენდანტთა) დიდი ნაწილი, რომლებიც სხვა კანდიდატებს უჭერდნენ მხარს.¹⁶⁴ ბევრი მისი კონკურენტი უფრო ნაციონალისტურ მოსაზრებას ემხრობოდა. ასეთი იყო ტოკიოს გუბერნატორი შინტარო იშიჰარა, ავტორი „ამერიკული კრიტიკისა“ (დიატრიბისა), სადაც ეწერა - „იაპონია, რომელსაც შეუძლია უარის თქმა.“¹⁶⁵ ნაციონალისტურ განწყობასა და ტერიტორიულ დავას შორის კავშირი კვლავ ძლიერი იყო. 2001 წლის დეკემბერში, როდესაც ცნობილი გახდა ჰოკაიდოს პარლამენტის ყოფილი წევრის მუნეო სუძუკის კომენტარი იმის შესახებ, რომ „კუნძულების დაბრუნება არ იქნებოდა ქვეყნისთვის და ერისთვის სარგებლის მომტანი,“ იგი სასტიკად გააკრიტიკეს ყოფილმა

¹⁶³ “The Politics of Nationalism,” *Economist*, 27 April – 03 May 2002, 40.

¹⁶⁴ The LDP is comprised of many factions, with most members of the party aligned to one faction or another. The factions are known by the politician leading each faction. For example, the largest current factions are the Hashimoto faction and the Mori faction, each led by former Prime Ministers. Prime Ministers and Cabinet posts used to rotate among the factions, although this is no longer the case because of greater media scrutiny. Koizumi rose to be Prime Minister with the support of unaligned LDP members, and through popular perception that he would be a strong reformer.

¹⁶⁵ “The Regions That Can Say No,” “A Survey of Japan,” 16 pp, *Economist*, 20-26 April 2002, 12.

მაცხოვრებლებმა, ჰოკაიდოს ამომრჩევლებმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა და თვით პრემიერ-მინისტრმაც.¹⁶⁶ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს სუბუკი ხშირად განიხილებოდა, როგორც კუნძულების დაბრუნების საკითხის პირველი დამცველი, თუმცა, ერთმა ფარულმა განცხადებამ საქვეყნო კრიტიკის ობიექტად აქცია. ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც მოითხოვდა ჩრდილოეთ ტერიტორიის შემადგენელი ყველა კუნძულის დაბრუნებაზე ნაკლებს, დაიმსახურებდა მსგავს მოპყრობას. ასეთი განწყობა სუსტ ეროვნულ ლიდერებთან ერთად არცთუ მომგებიან პერსპექტივას სთავაზობდა იაპონელ ოფიციალურ პირებს, რომლებსაც მოლაპარაკებების გზით სურდათ კომპრომისის მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა არ არსებობდა პოლიტიკური ღირებულება აღნიშნული გამოუვალი მდგომარეობის გაგრძელებისა.¹⁶⁷

4) პირადი ჩარევა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში

იმ შემთხვევაში, თუ იაპონელ ლიდერებს არ ჰქონდათ საკმარისი პრობლემები ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს, მაშინ ისინი უფრო მეტად ართულებდნენ სიტუაციას იმით, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში აქტიურად რევდნენ რეგიონალური დონის პოლიტიკოსებს. იაპონიაში ამ ფენომენის ძირითად შედეგს წარმოადგენდა იაპონური პოლიტიკის ბუნება და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის შიდა მოქმედებები, რომელიც ზოგჯერ მოქმედებდა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიების მსგავსად, სადაც შერეული იყო „სახელმწიფოს“ ინტერესები „პარტიის“ ინტერესებთან. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მთავრობის პოლიტიკა იყენებდა კაბინეტის გარეშე დარჩენილ პოლიტიკოსებსაც. მაგალითად, 1993 წელს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკასონე რუსეთში ელჩად დაინიშნა, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკებები ადგილზე არჩეული ან ოფიციალურად დანიშნული (ან ანგარიშვალდებული)

¹⁶⁶ "Suzuki Hammered from All Sides Over Isles Remark," *Asahi Shimbun*, March 13, 2002 [cited 24 April 2002], available at www.asahi.com/english; INTERNET.

¹⁶⁷ Allison, Kimura and Sarkisov, *Beyond Cold War*, 39.

იაპონელი ლიდერების ნაცვლად.¹⁶⁸ ზოგადად, ამ ფაქტმა გამოიწვია პროგრესი, რადგან მან შეძლო გამოეყენებინა საკუთარი პირადი კონტაქტები და გამოცდილება, რათა გაეუმჯობესებინა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს ელცინმა ორჯერ გააუქმა შეხვედრა იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ნაკასონემ მოქნილი დიპლომატიით და პირადი კონტაქტების გამოყენებით შეძლო რუსეთ-იაპონიას შორის ურთიერთობების დარეგულირება და შეიმუშავა მოლაპარაკებების ურთიერთსასარგებლო სტრატეგია, რომელიც არ დააზიანებდა არც ერთი ქვეყნის მთავრობის საშინაო პოლიტიკას.¹⁶⁹ თუმცა, ასეთ შეხვედრებს დიდი მინუსი ჰქონდა, რადგან ასეთი წარგზავნილები მოლაპარაკების დროს ვერ სარგებლობდნენ ოფიციალური უფლებამოსილებებით.

არსებობს აგრეთვე ავბედითი მხარე, რომელიც ჩართულია „არაოფიციალურ“ აქტორად (მოქმედი პირი) საგარეო პოლიტიკაში და ეს არის „კურომაკუს“ ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაში მოლაპარაკებებზე. „კურომაკუს“ არიან იაპონელი პოლიტიკოსები, ხშირად პარლამენტის არჩეული წევრები, მაგრამ ზოგჯერ უბრალოდ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მაღალი რანგის წევრები, რომლებიც კულისებიდან მოქმედებენ და ფლობენ ძალაუფლებას სამთავრობო პოლიტიკაში. ასეთი პოლიტიკოსების ორი ცნობილი მაგალითია შინ კანემარუ და მუნეო სუმუკი, ორივე მათგანი გადაჭარბებულ გავლენას ახდენდა საგარეო საქმეთა სამინისტროზე. 1990 წელს გამოაშკარავდა, რომ შინ კანემარუ აწარმოებდა თვითნებურ მოლაპარაკებებს ევგენი პრიმაკოვთან ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით.¹⁷⁰ 1993 წელს კანემარუ დააპატიმრეს ქვეყნის წინააღმდეგ საკუთარი გავლენის ბოროტად გამოყენების ბრალდებით, მაგრამ მალევე მისი პოსტი მისივე პროტექტემ, მუნეო სუმუკიმ დაიკავა, რომელიც ხშირად აცხადებდა იმას, რომ „ჩრდილოეთ ტერიტორიების დაბრუნება უშუალოდ იქაური მაცხოვრებლების საქმე

¹⁶⁸ Nakasone went more in his capacity as a high-ranking member of the LDP than as an envoy appointed by the Prime Minister or the Japanese Cabinet. Because he went in a less than official capacity, the Japanese government would not have lost face if the negotiations amounted to nothing. However, as head of one of the most powerful factions of the LDP, he wielded significant influence within the party. An American analogy would be a Republican president sending the head of the Republican party to negotiate with a foreign government in a private capacity rather than a Presidential Envoy, the Secretary of State, or a State Department functionary.

¹⁶⁹ Hasegawa, *Neither War nor Peace*, 481.

¹⁷⁰ Nimmo, *Japan and Russia*, 78-79.

იყო.¹⁷¹ აგრესიული ქმედებებითა და განცხადებებით სუბუკიმ მოიპოვა განსაკუთრებული გავლენა საგარეო საქმეთა სამინისტროზე. სუბუკი ხშირად მფარველობდა ბიუროკრატებს, როგორც იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მაკიკო ტანაკა და სამინისტროს სხვა თანამშრომლები. თუმცა, როდესაც ის ჩინოვნიკებისგან წინააღმდეგობას წააწყდებოდა, არ ერიდებოდა ყვირილს და ფიზიკურადაც უსწორდებოდა მათ.¹⁷² მისი ასეთი გავლენა საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსი დიპლომატებისთვისაც კარგად იყო ცნობილი, ისინი ამით სარგებლობდნენ და რუს ახალგაზრდებს იაპონიაში გაცვლით პროგრამებს სთავაზობდნენ.¹⁷³ როდესაც 2002 წლის თებერვალში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი ეწვია ტოკიოს, იგი შეხვდა სუბუკის, რათა განეხილათ მომავალი ოფიციალური „გეგმა“ და არ შეხვედრია პრემიერ-მინისტრ კოიძუმის ან საგარეო საქმეთა მინისტრ კავაგუჩის.¹⁷⁴ მიუხედავად იმისა, რომ სუბუკი დააკავეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო, მაინც არსებობდა მაღალი დონის საფრთხე იაპონიის პოლიტიკაში შიდა ძალების ჩარევისა. არ არის გამორიცხული, რომ სუბუკი „მსხვერპლად“ შესწირა ლიბერალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რათა დაეოკებინა ტანაკას გათავისუფლებით გამოწვეული საზოგადოების აღშფოთება.¹⁷⁵

იმ ხანად რუსეთს საკუთარი პრობლემები ჰქონდა აბუზარი პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებიც ცდილობდნენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე გავლენის მოხდენას. შორეული აღმოსავლეთის პროვინციების - პრიმორსკი კრაის, ხაბაროვსკის მხარის და სახალინის ოლქის - მოქმედი და ყოფილი გუბერნატორები არ იყვნენ მომხრე იმ გამოუვალი მდგომარეობისა, რომელიც ამ მხარეში გრძელდებოდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ხაბაროვსკის მხარის გუბერნატორი ვიქტორ იშაევი. იგი ხშირად მოგზაურობდა, რათა ხელი შეეწყო ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში უფრო

¹⁷¹ “Suzuki Hammered from All Sides Over Isles Remark,” *Asahi Shimbun*.

¹⁷² “Well-connected Suzuki Rants His Way to the Top,” *Asahi Shimbun*, March 9, 2002 [cited 24 April 2002], available at www.asahi.com/english/national/K2002030900343.html; INTERNET.; “Surly Suzuki Clobbered Disobedient Foreign Ministry Official,” *Mainichi Daily News*, March 13, 2002 [cited 27 April 2002], available at www12.mainichi.co.jp/news/mdn/search-news/850232/northern20territories-0-19.html; INTERNET.

¹⁷³ “Suzuki Exploits Japan-Russia Exchange Program,” *Mainichi Daily News*, March 2, 2002 [cited 27 April 2002], available at www12.mainichi.co.jp/news/mdn/search-news/850232/northern20territories-0-19.html; INTERNET.

¹⁷⁴ “Well-connected Suzuki Rants His Way to the Top,” *Asahi Shimbun*.

¹⁷⁵ American Embassy, Tokyo, Interview.

ფართო რეგიონალური ინტეგრაციისათვის. სამხრეთ კორეაში იგი გამოვიდა სიტყვით და წინა პლანზე წამოსწია ერთი შეხედვით თავსებადი შედარებითი უპირატესობები, რაც გააჩნდა იაპონიას, ჩინეთს, რუსეთს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას. ამის შემდეგ კი, იმავეი ეწვია იაპონიას, როგორც პუტინის გარემოცვის ნაწილი.¹⁷⁶ თუმცა, მისი ქმედებები ხშირად მოიაზრებოდა, როგორც ნახევრად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც განსხვავდებოდა მოსკოვის პოლიტიკისგან და ემსახურებოდა სხვა მიზნებს. იმის მიუხედავად, რომ ის წინააღმდეგია რუსეთის მხრიდან ტერიტორიული გადანაწილებისა, რომელსაც დავა აქვს ჩინეთთან და იაპონიასთან, მას როგორც ჩანს აქვს პრაგმატული მხარეც და მაინც აღიარებს იმას, რომ „იაპონიის დღევანდელი ხელისუფლება არის რთულ სიტუაციაში... არც რუსეთსა და არც იაპონიაში ჯერ კიდევ არ არის სიტუაცია ისე მომწიფებული, რომ გადაწყდეს აღნიშნული ტერიტორიული პრობლემა.“¹⁷⁷ მისი თანამემამულეებისათვის უკვე ნაკლებად გამოსადეგია ან გასაგებია ეს.

ალბათ, ყველაზე ცნობილი რუსი რეგიონალური დონის აქტორია პრიმორსკის ოლქის ყოფილი გუბერნატორი ევგენი ნაზდრატენკო, რომელიც ცდილობდა საკუთარი პოზიციის შენარჩუნებას ხელისუფლებაში, სადაც იყო რუსეთის მეთევზეობის კომიტეტის თავმჯდომარე. ელცინის მიერ 1993 წელს დანიშნულმა ნაზდრატენკომ გამოიყენა „ნაციონალისტური თემა და საგარეო პოლიტიკის საკითხები, რათა გადაეტანა ყურადღება ავტოკრატისა და ეკონომიკურ კოლაფსზე, რაც... დამახასიათებელი იყო პროვინციაში მისი მმართველობისათვის.“¹⁷⁸ საკუთარი თავი წარმოაჩინა, როგორც „რუსეთის შორეული აღმოსავლეთის საზღვრების დამცველი,“ თუმცა მან სხვადასხვა ხერხებს მიმართა, რათა პრიმორსკი ოქისთვის გადაეცათ ჩრდილოეთ ტერიტორიები და დაემუქრა, რომ გააგზავნიდა თავის

¹⁷⁶ Victor Ishaev, “Recent Trends in the World Political Situation, Globalization and Prospects for Cooperation in the Energy Sector in Northeast Asia” (speech given at the “Energy Security and Sustainable Development in Northeast Asia: Prospects for Cooperative Policies” workshop, Seoul, Republic of Korea, 29 March 2002) [cited 22 April 2002], available at www.adm.kvh.ru/Invest2.nsf/2dfba8b2d0bf2470ca256524001a00c6/d0a05be2483338b0ca256b91007efb6a?OpenDoc; INTERNET.

¹⁷⁷ “Victor Ishaev About the Statement of the Prime Minister of Japan,” Press release, Press Center of the Khabarovskii Krai Government, 11 February 2002 [cited 22 April 2002], available at www.adm.kvh.ru/Invest2.nsf/2dfba8b2d0bf2470ca256524001a00c6/57ac0cd58370e09cca256b5d00067960?OpenDocument; INTERNET.

„კაზაკთა“ არმიას კუნძულებზე, რომ „დაეცვათ“ ის იაპონელების შემოჭრისაგან.¹⁷⁹ არ არის გამორიცხული, რომ მისი დანიშვნა მეთევზეთა კომიტეტის ხელმძღვანელად შეიძლება იყოს შესანიშნავად გაკეთებული, რათა იგი გადაეყვანათ პრიმორსკი კრაიდან ისეთ ადგილზე, საიდანაც უკეთ შეძლებდა მოსკოვის ინტერესებისთვის ხელის შეწყობას.

სახალინის მომდევნო გუბერნატორებიც ნაკლებად ექსტრემალურები იყვნენ და არ მოქცეულან ისინი ნაზდრატენკოს მსგავსად. იგორ ფარხუტდინოვი თავისი წინამორბედის პოლიტიკას იზიარებდა და წარმოადგენდა წამყვან საპროტესტო ძალას მოსკოვში, როდესაც კუნძულების საკითხს განიხილავდნენ ხოლმე. არსებობს მრავალი განსხვავებული პოზიცია ამის შესახებ: კიმურა საწინააღმდეგოდ განიხილავს სახალინის საკითხს, როგორც საბჭოთა გადმონაშთის კომბინაციას ობლასტის ხელმძღვანელობას შორის, რომელიც ფსიქოლოგიური დაუცველობის გამო გვერდს უვლის ტოკიოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებს, რადგან შიში აქვს, რომ დაკარგავს „განუსაზღვრელი ვადით [იაპონიასთან] ეკონომიკური თანამშრომლობის საშუალებას“,¹⁸⁰ ხოლო სტივენ სოლნიკი კი განიხილავს ნაცნობ კომბინაციას შიდა ბაზასა და ოპოზიციის საჩივრებს შორის, რომელიც ეხება „შემუშავებული სტრატეგიის გარეშე დიდი რესურსების მოპოვებასა და ფედერალური მთავრობის პრივილეგიებს“.¹⁸¹

მისი მოტივების მიუხედავად, ფარხუტდინოვი, როგორც ჩანს, იზიარებს თავისი ბევრი მომხრის შემფოთებას იმასთან, დაკავშირებით, რომ მოსკოვისგან მიტოვებულია შორეული აღმოსავლეთი და მხოლოდ მისი ექსპლოატაცია ხდება და თუ სახალინის აყვავება უნდათ, მაშინ უნდა გამკაცრდეს კონტროლი რესურსების მოპოვებაზე და პროვინციაში უნდა განხორციელდეს პროექტები. შორეულმა აღმოსავლეთმა რომ მიიქციოს მოსკოვის ყურადღება, ამის ერთადერთ გზად საპროტესტო გამოსვლები რჩება.

რაც შეეხება რუსეთის დანარჩენ ნაწილს, ჩრდილოეთ ტერიტორიებს მათთან შედარებით სიმბოლური ღირებულება აქვთ მხოლოდ, მაგრამ კუნძულის

¹⁷⁹ Solnick, "Russian Regional Politics and the 'Northern Territories,'" 5-6.

¹⁸⁰ Kimura, "Islands Apart."

¹⁸¹ Solnick, "Russian Regional Politics and the 'Northern Territories,'" 3-4.

მოსახლეობის გადარჩენისთვის ბრძოლა დღითიდღე უფრო მწვავე შემფოთებას იწვევს. გარდა ამისა, იაპონიასთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია სასურველია შორეული აღმოსავლეთის სამი მოქმედი გუბერნატორისათვის, მიუხედავად სადავო ტერიტორიების შესახებ მათი განცხადებებისა. აღნიშნული დავა ინტენსიურად გამოიყენებოდა პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად და რეგიონში არსებული დამღუპველი ეკონომიკური მდგომარეობიდან, დანგრეული ინფრასტრუქტურიდან და მოსახლეობის სიღატაკიდან სხვა რამეზე ყურადღების გადასატანად. როგორც იუწყებოდა ჟურნალი „ეკონომისტი“, 2001-2002 წლების 4.9%-იანი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა მნიშვნელოვნად არ შეხებია შორეულ აღმოსავლეთს, რომელიც არის ერთ-ერთი მიზეზი ძლიერი ნაციონალისტური გრძნობების წარმოქმნისა რეგიონში. კიმურა ამას მიაწერს იმ ფაქტს, რომ „ხშირ შემთხვევაში ხალხი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორც მათი სიმდიდრის ნაკლებობის მაკომპენსირებელთან... [და რაც] არ არის უჩვეულო, რადგან არაა რთული ნაციონალისტური განწყობის პოვნა უღარიბეს ხალხში.“¹⁸² თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ სიტუაციას, ძნელი არ იქნება იმის მიხვედრა, რომ მომავალშიც პოპულარული იქნება ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხით სპეკულირება და საზოგადოებრივი აზრის მასზე გადატანის მცდელობა.

ასეთივე მდგომარეობაა იაპონიაშიც, თუმცა ეკონომიკა ისეთ მძიმე მდგომარეობაში არ არის, როგორც რუსეთში. ეკონომიკა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა მთავრობაში არავინ არის ისეთი, ვინც გადადგამდა შესაბამის ნაბიჯებს არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად. ჯერ კიდევ არსებობს სისტემის რეფორმირების პრობლემა, რადგან ვინც პრივილეგიებით სარგებლობდა, ისინი ისევ ხელისუფლებაში დარჩნენ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან.¹⁸³ კოიძუმი ხელისუფლებაში რეფორმების გატარების დაპირებით მოვიდა და იგი დამარცხდა რეფორმების გატარების ყველა მცდელობის დროს. ათწლიანი ეკონომიკური სტაგნაციის შემდეგ, იაპონიის საზოგადოება შეუძლებელია კმაყოფილი დარჩეს მხოლოდ სხვა თემებზე ყურადღების გადატანით.

¹⁸² Kimura, “Islands Apart.”

¹⁸³ American Embassy, Tokyo, Interview.

III თავი. მიმდინარე ურთიერთობების ანალიზი

რუსული და იაპონური საზოგადოებრივი აზრი, აღქმები, მითები და პოლიტიკოსების შეხედულებები კურილის საკითხთან დაკავშირებით დიამეტრალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და ურთირთსაწინააღმდეგო იყო, ხოლო რუსულ-იაპონური მოლაპარაკებები კი, როგორც ჩანს, ჩიხში შევიდა. თუმცა, 1989 წლიდან ორივე მხარემ ნელ-ნელა დაიწყო მოძრაობა უფრო დიდი ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიული დავის შესახებ რეზოლუციის გარდა ყველაზე რეალისტური, მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნები ორივე სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება 1997 წლიდან, როდესაც იაპონიამ ოფიციალურად მიიღო „მიდგომა“ რუსეთის მიმართ, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხის საზღვრებს გარეთ თანამშრომლობის სფეროების გაფართოებაზე.¹⁸⁴ ეს მზარდი თანამშრომლობა ადვილად შეიძლება დავინახოთ მეთევზეობის, რესურსების განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხებში. გარდა ამისა, დასაწყისისთვის მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამხედრო ურთიერთობების დამყარებაზე გარკვეული კუთხით ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებაც. თუმცა, როგორც ეს თავიც ამტკიცებს, შესაძლებელ თანამშრომლობას შორის არსებობს ზღვარი. თანამშრომლობის საზღვრები ნაწილობრივ ტერიტორიულ დავასაც მოიცავს. ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხის გარეშეც არსებობს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების განვითარებისა და დაახლოებისათვის შეზღუდვები.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე რუსებსა და იაპონელებს შორის მეთევზეობა გახდა ტრადიციული უთანხმოების საკითხი. 1920-30-იან წლებში იაპონელი მეთევზეები რეგულარულად არღვევდნენ საბჭოთა ტერიტორიულ წყლებს საიმპერატორო სამხედრო ხომალდების დახმარებით. ეს ტრადიცია შეიცვალა ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ, როდესაც მათ იაპონელ მეთევზეებს აუკრძალეს

¹⁸⁴ Tsuyoshi Hasegawa, *Neither War nor Peace, 1985-1998*, vol. 2 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 503-504.

თევზაობა ბევრ ტრადიციულ თევზჭერის ადგილზე, განსაკუთრებით კი მიმდებარე კუნძულებზე, რომლებსაც ახლა „ჩრდილოეთ ტერიტორიებს“ უწოდებენ. მართლაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადი ეკონომიკური ღირებულება კუნძულებს მინერალური რესურსების კუთხით არ გააჩნია, მაგრამ კუნძულების მიმდებარედ მრავლადაა ზღვის ნაწარმი (თევზი და ა.შ.). იაპონია თევზის მოხმარების მიხედვით (ერთ სულ მოსახლეზე) უმსხვილესი მომხმარებელია და ომის შემდეგ ძირითადი თევზჭერის ტერიტორიების დაკარგვა მაშინვე იგრძნობოდა, რის გამოც იაპონია ხშირად განიცდიდა საკვების მძიმე უკმარისობას. შესაბამისად, მეთევზეობა გახდა პირველი სფერო, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია ცდილობდა საბჭოელებთან თანამშრომლობის დამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მოლაპარაკებები თევზჭერასთან დაკავშირებით 1956 წელს გაიმართა და ძლივს შეიძლება ეწოდოს ამას „თანამშრომლობა“, მაგრამ იაპონელები შემფოთებას გამოთქვამდნენ თევზჭერის უფლებასთან დაკავშირებით, რაც რუსეთსა და იაპონიას შორის თანმიმდევრული დიპლომატიური საუბრის მიზეზი გახდა.¹⁸⁵

ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო წყლები თანდათან გაიხსნა ჰოკაიდოს მეთევზეთათვის, ხოლო 1998 წლის თევზჭერის უახლესი წესების თანახმად და ჰაბომაის კუნძულების გარშემო „კერძო“ ღონისძიებების შედეგად ხდებოდა ზღვის მცენარეების შეგროვება. ეს ეფუძნებოდა 1994 წელს გაკეთებულ ნიკოლაი პოდგინის განცხადებას, რომელიც იყო სამხრეთ კურილის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ორივე მხარისგან ითხოვდა „იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტის გადადებას“, ასევე შეთანხმებას „საზღვაო რესურსების დაცვისათვის“ თანხის გამოყოფას.¹⁸⁶ მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის გაიზარდა თანამშრომლობის დონე მესამე ქვეყნის მხრიდან თევზჭერის აკრძალვის კუთხით, რის გამოც სამხრეთ კორეელებს ყველაზე მეტად დასწყდათ გული.¹⁸⁷ ასევე, იაპონიას დაწყებული აქვს თევზის ქვირითის (ხიზილალა) ყიდვა პირდაპირ რუსეთიდან. 2002 წლამდე იაპონია

¹⁸⁵ Hasegawa, *Between War and Peace, 1697-1985*, vol. 1 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 122.

¹⁸⁶ Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 490, 509, 612n (47);.

¹⁸⁷ Heo Yong-beum, “Russia and Japan to Sign Fishing Ban Off Kuril,” *Digital Chosun*, November 27, 2001 [cited April 27, 2002], available at <http://english.chosun.com/w21data/html/news/200110/200110100250.html>; INTERNET.

რუსული თევზის ქვირითს ყიდულობდა რუსების დახმარებით, ოღონდ ნორვეგიული ბროკერებისგან.¹⁸⁸ ვიდრე ამ სწორ ნაბიჯს გადადგამდნენ კომერციული გარიგების კუთხით, იაპონია უხდიდა გადასახადებს რუსეთს „საზღვაო რესურსების დაცვის სახელით.“ ასევე, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის თევზჭერის იაპონური კოოპერატივები იღებდნენ მონაწილეობას.¹⁸⁹ ეს ნიშნავს, რომ ბრაკონიერობა მთავარ პრობლემად რჩება და რუსები ცდილობენ კონტროლის დამყარებას იაპონელების მხრიდან თევზჭერის ხელმისაწვდომობაზე, ბევრი ბრაკონიერი დაუსჯელად მოქმედებს, იყენებს თანამედროვე გემებს, რომლებიც ადვილად უსხლტება ხელიდან რუსეთის სანაპირო დაცვის კატარღებს, რომლებიც ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო არსებული წყლების პატრულირებას ახდენენ. ვერც იაპონელთა მტკიცე ქმედება შეძლებს უკანონო თევზჭერის თავიდან არიდებას. როგორც ერთი იაპონელი მწერალი აღნიშნავს: „ორაგული არის ორაგული. არ არსებობს იმის დადგენის საშუალება, თუ რომელი თევზი სად დაიჭირეს.“¹⁹⁰

გარემოს დაცვის საკითხები დიდ როლს თამაშობს რუსულ-იაპონურ ურთიერთობებში და იაპონელები იძულებულნი არიან დაუპირისპირდნენ საბჭოთა მემკვიდრეობას, რომელიც ანადგურებს გარემოს განსაკუთრებით რადიოაქტიური ნარჩენებით. საკითხი საშუალო იაპონელის ცნობიერებაში ასეთ ფორმას იძენს, როდესაც უყურებს იაპონური საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერს, სადაც ჩანს რუსული ტანკერის - „ამურის“ მიერ იაპონიის ზღვაში თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების გადაყრის პროცესი. იაპონია უკვე გამოეხმაურა ამ სიტუაციას იმით, რომ გაზარდა ეკონომიკური დახმარება თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ასაშენებლად, რომელიც მდებარეობს იაპონიის ზღვის სანაპიროზე, პრიმორსკი კრაიში, გემთმშენებელ ქარხანა ზვედოჩკასთან.¹⁹¹ მეორე მხრივ, მართალია იაპონელები არ გამოხატავდნენ დიდ ინტერესს ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც მათი საზღვრების სიახლოვეს იყო, რაც

¹⁸⁸ “Japan Offers to Buy Fish From Russia,” Interfax wire service, February 23, 2002.

¹⁸⁹ Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 509.

¹⁹⁰ Nimmo, *Japan and Russia*, 168, quoting Manabe Toshiki, *Shukan Shincho*, 29 October 1992.

¹⁹¹ James Clay Moltz and Tamara C. Robinson, “Dismantling Russia’s Nuclear Subs: New Challenges to Non-Proliferation,” *Arms Control Today* 29, no.4, (1999) [cited April 22, 2002], available at

საკმაოდ გასაკვირი ჩანდა მათი მეორე მსოფლიო ომის ბოლოდროინდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც იაპონიის ზღვის გადაღმა არსებული ბირთვული ბომბის წამზომი ჩართული იყო.

მინიმუმ ორი გაჩერებული ატომური რეაქტორი გადავარდა იაპონიის ზღვაში საბჭოთა პერიოდში და ჩაიღვარა თხევადი ნარჩენები, რომელიც არაერთხელ მოხვდა იაპონიისა და ოხოტსკის ზღვებში.¹⁹² პოსტ-საბჭოთა პერიოდში რუსულ ფლოტს აღებული ჰქონდა პასუხისმგებლობა თავისი ბირთვული წყალქვეშა ხომალდების დაშლისა. გამომდინარე იქიდან, რომ გემების ექსპლუატაციიდან ამოღება დიდ ფინანსებთან იყო დაკავშირებული, რაც არ გააჩნდა ოპერატიულ ფლოტს, ამიტომ ეს მცირედ პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა ექსპლუატაციიდან ამოიღო დაახლოებით 160 ბირთვული წყალქვეშა ხომალდი, რომლებიც ეკუთვნოდა წყნარი ოკეანის ფლოტს. მაშინაც კი, როდესაც ბირთვული გემების ექსპლუატაციიდან ამოღება პრიორიტეტი იყო, რუსულ ფლოტს იმ დროს არ ჰქონდა სათანადო სახსრები, რომ ეს წყალქვეშა ხომალდები უსაფრთხო ყოფილიყო. ფაქტობრივად, ამ პროცესს გემები ჯერ კიდევ წყალში ელიან.¹⁹³ პრობლემა დროთა განმავლობაში უფრო უარესდება, რაც უფრო მეტი წყალქვეშა ხომალდია ექსპლუატაციიდან ამოღებული, ნარჩენების შემნახველი ავზებიც უკვე შევსებულია და ვეღარ იტევს ბირთვულ ნარჩენებს. ჩელიაბინსკის მახლობლად მაიაკის გადამამუშავებელი ობიექტი, რომელიც ცენტრალურ რუსეთში, ყაზახეთთან ახლოს მდებარეობს, ამჟამად მხოლოდ წყალქვეშა გემების ბირთვული ნარჩენების გადამამუშავებაზე მუშაობს. საწარმოში არსებობს დიდი რაოდენობის გადამამუშავებული მასალა და თავისთავად შეიცავს ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს.¹⁹⁴

¹⁹² Thomas Nilsen and Nils Bohmer, Sources of Radioactive Contamination in Russian Countries of Murmansk and Arkhangelsk. Online report, (Norway: Bellona Foundation, 1994), ch.4.2.3. [cited 18 September 2001], available at www.bellona.no/imaker?id=9845&sub=1; INTERNET.

¹⁹³ Alexander A. Pikayev, Elena N. Nikitina and Vladimir Kotov, „Harmful Legacies and Dangerous Weaknesses” in Russia and the West: The 21st Century Security Environment, ed. Alexei G. Arbotov (London: M. E. Sharpe, 1999), 212.

¹⁹⁴ Peter Gizweski, “Military Activity and Environmental Security: The Case of Radioactivity in the Arctic,” Northern Perspectives 21, no. 4 (1993-94) [cited 17 September 2001], available at www.carc.org/pubs/v21no4/military.htm; INTERNET.

ევროპელთა უმეტესობა, როგორც ჩანს, რუსეთის მიერ ბირთვული ენერჯის განკარგვის გამო და მით უფრო გასაკვირია ეს, თუ გავითვალისწინებთ იმ პანიკას, რაც 1986 წლის ჩერნობილის ბირთვული რეაქტორის კატასტროფას მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა პუტინმა ირონიულად განაცხადა სხვა ქვეყნებთან ბირთვულ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ, მხოლოდ შეერთებული შტატები ცდილობს სერიოზულად და აქტიურად ჩაერთოს რუსეთის ბირთვული მასალების დაცვაში და მათ განკარგვაშიც დაეხმაროს.¹⁹⁵ ასევე, 11 სექტემბრის მოვლენები იაპონელთათვის გამომავლიან ზღვები უნდა ყოფილიყო და მხოლოდ გარემოს დეგრადაციის გამო კი არ უნდა შემფოთებულიყვნენ, არამედ ტერორიზმის კუთხითაც. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი იაპონელთათვის გადამწყვეტი უნდა იყოს, რადგან იაპონიისა და ოხოტსკის (ოხოტის) ზღვებში გარემოზე მიყენებულმა ნებისმიერმა დარტყმამ შესაძლოა მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას იაპონიისთვის საკვების მიწოდებას. ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა ტოკიოში გამოსვლისას იაპონელების დამოკიდებულება ასე შეაჯამა: „იაპონია ჰგავს სილაში თავჩარგულ სირაქლემას. იგი არ რეაგირებს თუ რაღაც მოდის და შემდეგ კი წიხლის რტყმას იწყებს. სხვა შემთხვევაში პრეტენზია აქვთ იმაზე, რომ ყველაფერი კარგადაა.“¹⁹⁶

შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის რესურსების განვითარების კუთხით ტოკიოსა და მოსკოვს შორის შედარებით ფართო და ხანგრძლივი თანამშრომლობაა მიუხედავად იმისა, რომ რესურსების ფაქტობრივი მოპოვების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნევა. 1981 წელს დაგეგმილი იყო 5 პროექტის განხორციელება, როგორცაა შორეულ აღმოსავლეთსა და სახალინში სატყეო მეურნეობის განვითარება, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება.¹⁹⁷ ცივი ომის დასასრულისთვის სახალინზე დარჩა მხოლოდ ბუნებრივი აირის მოპოვების განვითარების პროექტები (თუმცა, ხე-მასალის მოპოვების 2 პროექტიც

¹⁹⁵ “Getting What You Pay For,” *Economist*, 27 June 2002 [cited 03 August, 2002], available at www.economist.com/displayStory.cfm?Story_ID=1200670; INTERNET.

¹⁹⁶ American Embassy Tokyo, Interview.

¹⁹⁷ Hiroshi Kimura, “Soviet Foreign Policy toward Japan: Linkages between Domestic and International Determinants,” SNU/ISS seminar paper. Institute of Social Sciences, Seoul National University (Seoul, Korea: Seoul National University, 1981), 83.

განხორციელდა) და ამის გამო მოპოვების ეტაპებზე მიიღწეოდა ნელი პროგრესი.¹⁹⁸ თუმცა, პროექტის განხორციელება მრავალი წლის მუშაობის შემდეგ დაიწყო და საბადოები მიჩნეულია ფართოდ და შეუძლია მნიშვნელოვანი პროცენტით უზრუნველყოს იაპონია ბუნებრივი აირის მარაგით, ასევე მომავალში, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს რეგიონალური ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა.¹⁹⁹ მხოლოდ ამ საბადოების არსებობით თუ შეიძლება გამართლდეს ეს ფართო ინვესტირება. 1990-იანი წლების შუა რიცხვებში იაპონიამ 200 მილიონ დოლარიანი ინვესტიცია ჩადო სახალინზე ბუნებრივი აირის მოპოვების სხვადასხვა პროექტებში, საიდანაც ჯერ არ მიუღია არც „ერთი ტონა ნავთობი და გაზი.“²⁰⁰

დამკვირვებლები ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ იაპონიისა და რუსეთის ეკონომიკა უნდა ავსებდეს ერთმანეთს. ტრადიციულად, იაპონია ღარიბია რესურსებით, მაგრამ მდიდარია კაპიტალით, ხოლო რუსეთში კი სიტუაცია საპირისპიროა. ასე იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში და ასევე დაიწყო 21-ე საუკუნეც. ცოტა ხნის წინ ვიქტორ იშაევი, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ხაზაროვსკის კრაის (მხარის) გუბერნატორი, ამტკიცებდა, რომ ამ სიტუაციაში ლოგიკური ნაბიჯია უფრო მეტი ეკონომიკური ინტეგრაცია ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში. 2002 წლის მარტში, სეულში სიტყვით გამოსვლისას მან სცადა ეჩვენებინა, რომ თითოეული სახელმწიფოს რეგიონში სხვადასხვა შედარებითი უპირატესობები ჰქონდა და შესაბამისად, ჩინეთის, რუსეთის, იაპონიისა და ორივე კორეის ეკონომიკა აქტიურად უნდა ჩაერთოს დიდ ეკონომიკურ თანამშრომლობასა და ინტეგრაციაში. იაპონიისა და სამხრეთ კორეის კაპიტალით შესაძლოა დაფინანსდეს პროექტი, რომელიც მოხმარდება ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის ფიზიკურად მშრომელ ხალხს, რომლებიც რუსებს ენერგეტიკული და სხვა ბუნებრივი რესურსებით ამარაგებენ, აგრეთვე მათი სამეცნიერო და საინჟინრო უნარების ამაღლებას.²⁰¹ იშაევი განსაკუთრებით

¹⁹⁸ Joachim Glaubitz, *Between Tokyo and Moscow: The History of an Uneasy Relationship, 1972 to the 1990s* (Honolulu: University of Hawaii Press, 1995), 272-281.

¹⁹⁹ Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 506.

²⁰⁰ Glaubitz, *Between Tokyo and Moscow*, 135.

²⁰¹ Victor Ishaev, “Recent Trends in the World Political Situation, Globalization and Prospects for Cooperation in the Energy Sector in Northeast Asia.” Speech given at the International Workshop on “Energy Security and Sustainable Development in Northeast Asia: Prospects for Cooperative Policies.” Seoul, Republic of Korea, 29 March 2002 [cited 22 April 2002]. Available at

დამაჯერებელია, როდესაც ის ამტკიცებს, რომ ენერჯის მოხმარება რეგიონში უახლოეს მომავალში არ შემცირდება და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს კი ჭარბად აქვს ნავთობისა და გაზის საბადოები. თუმცა, მისი ვარაუდი, რომ იაპონელები ან თუნდაც სამხრეთ კორეელები ჩადებენ ინვესტიციას რუსული ეკონომიკის განვითარებაში ზედმეტად ოპტიმისტური განაცხადია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი თავს მიიჩნევს ვალდებულად, რომ ხარჯი გაიღოს და გამოიყენოს რუსული ენერჯო რესურსები. იგი რჩება უფრო იაფი და ფინანსურად ნაკლებად სარისკო, ვიდრე სპარსეთის ყურიდან ან სხვა ქვეყნებიდან ნავთობის იმპორტი, თუმცა არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა შეიცვალოს ამ გაანგარიშების მიხედვით.

მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში იაპონიას ბრალს სდებდნენ გულგრილობაში რუსეთში მიმდინარე გარდამავალი დემოკრატიული პროცესებისადმი, როდესაც ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავის მოსაგვარებელი რეზოლუციიდან გამომდინარე უარი თქვა ეკონომიკური დახმარების გაწევაზე. იაპონიის განწყობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური კაპიტალის გაღების ფასად უჯდებოდათ მის პარტნიორებს „დიდი რვიანიდან“.²⁰² თუმცა, ბევრმა იაპონურმა კომპანიამ რუსეთში ინვესტირება გორბაჩოვის მმართველობის ბოლო პერიოდში დაიწყო და გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ ერთი წელი, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის მთავრობა ძუნწი იყო ეკონომიკური გრანტების გამოყოფის კუთხით. ამ ინვესტიციების უმეტესობა მოდიოდა რუსეთისთვის გარდამავალ და ყველაზე ქაოტურ პერიოდში, 1991 და 1995 წლებში, სანამ რუსული ეკონომიკა მიაღწევდა შედარებით სტაბილურ დონეს 1998 წლის რუბლის დევალვაციისა და ეკონომიკური ზრდის შემდეგ პერიოდში. შედეგად, პრაქტიკულად ყველა საწარმომ და ერთობლივმა საწარმოებმა დაკარგეს ფული ან გამოუსწორებელი შედეგები მიიღეს.²⁰³ მოგვიანებით, იაპონელთა მარცხმა ოფიციალური დახმარების გათვალისწინების კუთხით, როგორც ჩანს, აჩვენა

www.adm.kvh.ru/Invest2.nsf/2dfba86b2d0bf2470ca256524001a00c6/d0a05be24833338b0ca256b91007efb6a?OpenDoc; INTERNET.

²⁰² Kimura and Welch, “Specifying ‘Interests,’” 223-224.

²⁰³ Toshiji Maeda, “The Russian Far East as a Business Partner,” Economic Research Institute of Northeast Asia (ERINA), 2002. [cited April 22, 2002], available at www.erina.or.jp/Opinion/E/Russia/eMaeda.htm; INTERNET.

ფინანსური სიფრთხილე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ 1992 წლიდან რუსეთიდან მნიშვნელოვანი კაპიტალის გადინებას, რომელიც გრძელდება კვლავ და თვეში 1.5 მილიარდ დოლარს შეადგენს.²⁰⁴ 1990-იანი წლების შუა რიცხვებიდან, როდესაც უმეტესობა იაპონური კომპანიებისა რუსეთიდან გაყვანილ იქნა მას შემდეგ, რაც ისინი მძიმედ დაზარალდნენ და იქ უკვე შესამჩნევი იყო მერყეობა ამის ხელახლა გარისკვისგან. ერთი იაპონელი მეცნიერი, ტომიჯი მადეა, ხაბაროვსკის იაპონური ცენტრის დირექტორი, ამ ეკონომიკურ გაუბედობას მიაწერს იმ ფაქტს, რომ იაპონური კომპანიები დღეისათვის რუსეთში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში გაუთვითცნობიერებლები რჩებიან. მადეას აზრით, შეიძლება მცირე და საშუალო რუსული ბიზნესი „შეეფერებოდეს იაპონურ კაპიტალდაბანდებას.“²⁰⁵ თუმცა, ეს შეიძლება იყოს სინამდვილე, რომ იაპონური კაპიტალი გამოვიდეს რუსეთიდან სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზების გამო.

1992 წლიდან 2002 წლამდე იაპონელები ოფიციალური განვითარების დახმარების (ოგდ) ერთ-ერთი უდიდესი დონორები იყვნენ მთელ მსოფლიოში.²⁰⁶ მაგრამ 2002 წლის იაპონია აღარ იყო 1989 წლის იაპონია, სანამ მისი „საპნის ბუმტით გაბერილი ეკონომიკა“ არ აფეთქდა. ათწლიანი რეცესიის შემდეგ (ფაქტობრივად, რეცესიის ოთხი ტალღა იყო) იაპონიის ეკონომიკა კვლავ განიცდის მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემებს. 1989 წლიდან იაპონიის მთავრობის ვალი გაიზარდა თითქმის 140%-ით მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ) (როგორც 2002 წლის აპრილში), ნიკკეი 225-ის ბირჟის ინდექსი (იაპ.: ნიკკეი ჰეიკინ კაბუკა - 225; ნიკკეის ინდექსი (ბირჟის)) დაეცა 75%-ით, უმუშევრობა უახლოვდება ომის შემდგომ ნიშნულს - 5.6%-ზე მაღალ ზღვარს, იაპონიის მთელი კორპორატიული ვალი გოლდმენ საჩსის (გოლდმენ საჩსის ჯგუფი - ამერიკული მულტინაციონალური საინვესტიციო შემნახველი ფირმა; ვაჭრობს NYSE-სთან (ნიუ-იორკის საფონდო ფირმა) და არის დოუ-ჯონსის საფონდო ბირჟის შემადგენელი ინდუსტრიული ნაწილი) მიხედვით ფასდება

²⁰⁴ “Good in Part,” Economist, 19 July 2001. [cited 03 August, 2002], available at www.economist.com/displayStory.cfm?Story_ID=698694; INTERNET.

²⁰⁵ Maeda, “The Russian Far East as a Business Partner.” The Japan Center project is a semi-governmental organization funded by the Japanese government to promote better relations and understanding of Japanese culture. There are several Japan Centers located throughout Russia.

²⁰⁶ The Ministry of Foreign Affairs of Japan (MOFA), “Fact Sheet: Japan’s Development Policies,” [cited 08 August, 2002], available at www.mofa.go.jp/policy/economy/summit/2002/policy-f.html; INTERNET.

დაახლოებით 1.5 ტრილიონ დოლარად (2000 წლის მონაცემებით) და საპროცენტო განაკვეთები ამჟამად 0.001%-ზე დგას.²⁰⁷ იაპონიის ეკონომიკის სისუსტე კომბინირებულია უკეთეს საინვესტიციო გარემოსთან და ზოგადად, უკეთეს ინფრასტრუქტურასთან აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ის მოქმედებდა, რათა თავიდან აეცილებინა რაიმე სერიოზული ინვესტიცია რუსეთში 1998 წლის რუბლის დევალვაციის გამო. აზიის განვითარებად ეკონომიკაში უკვე დაუფარავად შევიდა საინვესტიციო კაპიტალი, სადაც იაპონია უმსხვილესი ინვესტორის სახით არის წარმოდგენილი.²⁰⁸ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ძირითადი მოთამაშეები არიან - იაპონია, ჩინეთი, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო იაპონელთა ვაჭრობა რუსეთთან რჩება მიკროსკოპული ზომისა. რუსეთთან ვაჭრობის მოცულობა ამჟამად 5 მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო კორეის რესპუბლიკასთან (სამხრეთ კორეა) 30 მილიარდ დოლარს, 80 მილიარდ დოლარს შეადგენდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და 200 მილიარდ დოლარზე მეტს კი აშშ-თან.²⁰⁹ აქედან გამომდინარე, რუსეთში ინვესტირებასთან დაკავშირებით რისკები უფრო მეტად იყო აღქმული, ვიდრე „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო რუსეთსა და იაპონიას შორის დაბალი დონის სავაჭრო ურთიერთობები იყო.²¹⁰

იაპონიასა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების სიმცირე ადეკვატურად ვერ ასახავს მთლიან სურათს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ვაჭრობას მცირე მნიშვნელობა აქვს ტოკიოში იაპონელებისთვის და ეს ჰოკაიდოს ნაწილისთვის რეგიონული მნიშვნელობისაა მხოლოდ. ეს განსაკუთრებით ეხება ადგილებს ოტარუს, ვაკანაისა და ნემუროს გარშემო, სადაც რუსეთთან ვაჭრობის 20% ხორციელდება.²¹¹ ყველა იაპონელი დაზარალდა ეკონომიკურად 1990 წელს, როდესაც ჰოკაიდო თავისი სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა,

²⁰⁷ “What Ails Japan?” in “A Survey of Japan,” 16pp, The Economist, 20-26 April 2002, 3-4.

²⁰⁸ Nimmo, Japan and Russia, 161.

²⁰⁹ JIIA, Interview; The Ministry of Foreign Affairs of Japan, “Japan-Republic of Korea Relations,” [cited 05 August 2002], available at www.mofa.go.jp/region/asia-paci/korea; INTERNET.

²¹⁰ Elizabeth Wishnick, “One Asia Policy or Two? Moscow and the Russian Far East Debate Russia’s Engagement in Asia,” NBR Analysis 13 (March 2002): 80-82.

²¹¹ Akaha and Vassilieva, “The Russian Presence in Hokkaido,” 7.

იაპონიის სხვა ტერიტორიებისგან შედარებით.²¹² 2001 წელს ჰოკაიდოზე უმუშევრობის დონე საშუალოდ 5.8%-ს შეადგენდა, როცა მთელ იაპონიაში საშუალოდ 4.9% იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰოკაიდო არ არის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მსგავსად სხვა რეგიონებისა, როგორცაა ოკინავა, რომლის საშუალო უმუშევრობის დონე 8.4%-ს შეადგენდა 2001 წელს, სიტუაცია ჯერ კიდევ უფერულია.²¹³ ამიტომაც, ვაჭრობის მოცულობა შეიძლება სხვაგან უმნიშვნელოდ ჩაითვალოს, თუმცა ჰოკაიდოს სანაპირო რეგიონებზე ეს ძირითად გავლენას ახდენს. ჰოკაიდოს ოფიციალური პირები რუსეთის შორეულ აღმოსავლეთსა და სახალინზე მეტ ეკონომიკურ ინტეგრაციას ამყარებდნენ იმ მიზეზით, რომ იზრდებოდა მათი კულტურის გავრცელება ამ ტერიტორიებზე, რაც ხელს შეუწყობდა კუნძულებზე დავის მოგვარების იაპონურ კამპანიას.²¹⁴ რუსებს შორეულ აღმოსავლეთში უკვე ჰქონდათ დიდი კავშირები, რაც იაპონიაში განიხილებოდა, როგორც კაპიტალის წყარო, რომლითაც უნდა მომხდარიყო საჭირო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. იმის მიუხედავად, რომ ჩინეთისთვის სამხედრო მიყიდვები ხორციელდებოდა პრიმორსკი კრაიდან, იაპონია რჩება რუსეთის შორეული აღმოსავლეთიდან ყველა დანიშნულების ექსპორტის ძირითად განმახორციელებლად, რაც გამოიხატება ძირითადად თევზისა და ბუნებრივი რესურსების მიღებით.²¹⁵

2000 წლის დეკემბერში, ტოკიოში, რუსეთის თავდაცვის მინისტრის იგორ სერგეევის ვიზიტით აღინიშნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ეს იყო პირველი ვიზიტი იაპონიაში რუსეთის ან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრისა. ამით შესრულებული იქნა კრასნოიარსკის 1997 წლის ელცინ-ჰაშიმოტოს „უჰალსტუხო სამიტის“ დაპირებები.²¹⁶ მას შემდეგ არ

²¹² American Embassy Tokyo, Interview.

²¹³ “Japan’s Okinawa Prefecture Records Highest Jobless Rate in 2001,” Asia Pulse, 1 March 2002 [cited 05 August 2002], available at Yahoo! Singapore Finance, sg.biz.yahoo.com/020301/16/2k1na.html; INTERNET.; Hokkaido has also been affected by a string of scandals involving Snow Brand Foods and other large food companies. Snow Brand was shut down by government officials for reselling old milk, running unsanitary food processing plants and repackaging foreign procured meat as Japanese in origin. Several other meat packing companies were implicated in the repackaging scandal, which came to a head while the author was in Japan during July 2002.

²¹⁴ Hokkaido Prefecture Government, “Measures for the Reversion of the Reversion of the Northern Territories,” [cited 25 July 2002], available at www.pref.hokkaido.jp/soumu/sm-hrtsk/hp-en/polic-en.htm; INTERNET.

²¹⁵ Wishnick, “One Asia Policy of Two?” 80-81.

²¹⁶ NIDS, Interview.

ყოფილა რეგულარული სახის გაცვლები რუსეთის სამხედროებსა და იაპონიის თავდაცვის ძალებს შორის. ეს ასევე მოიცავდა გემების ორმხრივ ვიზიტებს, სამაშველო წვრთნებს და სხვა საიდუმლო ღონისძიებებს, ხოლო ცოტა ხნის წინ კი იაპონელებმა წინადადება წამოაყენეს ავღანეთში განაღმვის ოპერაციებში თანამშრომლობის შესახებ.²¹⁷ ორი ქვეყნის სამხედროებს შორის თანამშრომლობა უსაფრთხოების კუთხით მიმდინარეობდა, თუმცა ეს მაინც დელიკატური ეტაპი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის თავდაცვის ძალები გადაერთვნენ საბჭოთა კავშირის შემოჭრის სცენარზე 1989 წლის განმავლობაში, როცა მიმდინარეობდა „იამა-საკურას“ ყოველწლიური სწავლება, ისევე როგორც ახლახანს, 2001 წლის თებერვალში, რუსეთის არმიის მიერ ჩატარებული ძირითადი სწავლება-სიმულაცია ბირთვული ომი აშშ-ის მხრიდან. „ცივი ომის პერიოდის“ სწავრით განიხილებოდა სამხედრო კონფლიქტი შეერთებულ შტატებთან, რომელიც გადაიზრდებოდა გლობალურ ბირთვულ ომში და მოიცავდა იაპონიის სამხედრო ბაზების იერიშსაც.²¹⁸ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა დაიწყო „ომი ტერორიზმის“ წინააღმდეგ, რაც მიზეზი გახდა რუსეთსა და იაპონიას შორის ინტერესების ახალი რიგის წარმოშობისა. რუსეთის ახალი ორიენტაცია აუცილებლად ვერ გამოიწვევდა იაპონიასთან უსაფრთხოების სხვა საკითხებზე თანამშრომლობის გაზრდას, თუმცა ეს იქნებოდა ორივე სახელმწიფოს ინტერესებში, რათა გამოეყენებინათ აღნიშნული სიტუაცია ურთიერთნდობის გაზრდის მიზნით.

რუსეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობები აუცილებლად უნდა გაიზომოს სანტიმეტრებით და არა კილომეტრებით. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად ყველაზე დაახლოებულ დონეზეა, რაც არ ყოფილა მე-19 საუკუნის შემდეგ. ჯერჯერობით, ეს ორი ქვეყანა 2002 წელს არ ყოფილა ასე შორს სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისგან ისევე, როგორც იყვნენ 1956 წელს. მიუხედავად ტერიტორიული დავისა, რაც როგორც ჩანს გარე დამკვირვებლებისთვის უმნიშვნელო საკითხი იყო, ამასთან ერთად გრძელდებოდა არაპროპორციული გავლენაც რუსეთ-იაპონიის თანამშრომლობაზეც.

²¹⁷ Wishnick, “One Asia Policy or Two?”, 78-79.

²¹⁸ East Asian Strategic Review 2002 (Tokyo, Japan: The National Institute for Defense Studies, 2002), 255; American Embassy Tokyo, Interview.

ერთმა იაპონელმა მეცნიერმა მიმდინარე ურთიერთობების გაუმჯობესება შეადარა იმას, რომ ყვავილი ვერ აყვავდება ფესვების გარეშე. „თუ არ არის პროგრესი ჩრდილოეთ ტერიტორიების დავის მოგვარების კუთხით, მაშინ ყვავილები ვეღარ გაძლებს დიდხანს.“²¹⁹ პრობლემა, რომელიც რუსულ-იაპონურ დიპლომატიას მართავს არის ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს გამოხატული რეალური პრიორიტეტი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა სახის ურთიერთობების გაუმჯობესებისა. სხვა ანალოგიით იაპონია და რუსეთი შედარებულია მათ გარშემო მყოფ მეზობლებთან, რუსეთის „სახლი“ უპირატესად შედარებულია ევროპასთან და იაპონიისა კი აზიასთან.²²⁰ ორივე უნდა ეთანხმებოდეს ერთმანეთს და არა კონფლიქტის მოთხოვნებს (სურვილებს). მაგრამ მაშინ, როცა საერთო „ღობის“ პრობლემა არსებობს, არც ერთს არ სურს რომ ძალები დაიშუროს მისი რემონტისთვის. ყველა მეგობრული რიტორიკის მიუხედავად, იაპონიასა და რუსეთს სურთ კონკრეტული შედეგების მიღწევა მცირე ენერჯის გაღების ფასად.

რუსეთი ევროპული თუ აზიური სახელმწიფოა? ორივეა, თუ არც ერთი არაა? ეს კონფლიქტი ბევრჯერაა ნახსენები რობერტ ვესონის „რუსულ დილემაში“ და ბრძოლა ამ ორს შორის უკვე აშკარად ჩანს თანამედროვე რუსეთის მთელ ისტორიაში.²²¹ ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროიდან ცდილობდა რუსეთი, რომ გამხდარიყო წყნარი ძალა (ან წყნაროკეანური ძალა), თუმცა განვითარების გეგმებმა ვერასოდეს მიაღწია რეალობამდე. 2002 წლისთვის რუსების დიდი უმრავლესობა ცხოვრობდა ურალის მთების დასავლეთით, ციმბირსა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მეჩხერად არის დასახლებული ტერიტორია და სწრაფად მცირდება მოსახლეობაც. რუსებს უფრო დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვთ პაკისტანელებთან შედარებით და შობადობაც ერთ ქალზე შეადგენს 1.17%-ზე დაბალს, რაც ზოგიერთი

²¹⁹ JIA, Interview.

²²⁰ JIA, Interview.

²²¹ For a discussion of the “Russian Dilemma,” See Robert Wesson, *The Russian Dilemma*, revised ed. (New York: Praeger Publishers, 1986). The essence of Wesson’s argument is that Russia has been influenced by European ideas and has used European technology both to expand and play a part in the Western political order, but that at its heart, Russia remains an Asian political order.

შეფასებით სტაბილური მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელია იყოს 2.14% და ეს შეიძლება 1%-ზე ქვემოთაც ჩამოვიდეს.²²²

რუსების ძირითადი აზიური საზღვრეზი არ არის იაპონია, თუმცა არის ჩინეთი და ჩინელების მასიური იმიგრაციის საფრთხე რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთში მაცხოვრებელი ჩინელების რეალური რაოდენობა ძალიან სადავოა, რადგან შეფასებები მერყეობს 200 ათასიდან 450 ათასამდე, თუმცა ბოლო მიგრაციების საფუძველზე გამოთქმულია პროგნოზი, რომ „21-ე საუკუნის შუა წლებისათვის შესაძლოა მათი რაოდენობა რამდენიმე მილიონამდეც კი გაიზარდოს.“²²³ ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელიც არსებობს რუსეთსა და ჩინეთში უკვე იწვევს მზარდ შემფოთებას როგორც რუსებში, ასევე ჩინელებში და მაინც, ორივე მხარის პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ აუცილებელია არაოფიციალური ემიგრაციისა და უკანონო ვაჭრობის გაკონტროლება. ჩინელთა პრემიერ-მინისტრმა ჟუ რონგჯიმ (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 1998-2003 წლებში) შეაფასა უკანონო ვაჭრობით მიღებული ზარალი 10 მილიარდ დოლარად, თითქმის იმდენივეა, რამდენიც ორ ქვეყანას შორის კანონიერი ვაჭრობისგან მიღებული შემოსავალი.²²⁴ 2001 წელს რუსეთსა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა „სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ ხელშეკრულებას, რაც ალბათ იმის მცდელობა უფრო იყო, რომ ორ ქვეყანას ეთანამშრომლა ორმხრივ პრობლემებთან დაკავშირებით დაწყებული ვაჭრობიდან უმნიშვნელო სასაზღვრო დავებამდე, რომელიც 4 ათასი კმ სიგრძის სასაზღვრო ზოლს ეხებოდა და ეს ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა აშშ-თან და იაპონიასთან ალიანსს.²²⁵ ეს „პარტნიორობა“ მნიშვნელოვანია, თუ განვიხილავთ იმ კონტექსტში, რომ რუსეთს ტრადიციულად სურს საკუთარ საზღვრებთან კეთილგანწყობილი ბუფერული სახელმწიფოების არსებობის შენარჩუნება. თუმცა, „ეკონომისტი“ აღნიშნავს, რომ პარტნიორობას „აქვს საზღვარი“ და ორს შორის თანამშრომლობა იზრდება, ჩინეთი კი შემფოთებულია რუსების მოსალოდნელი

²²² “Endangered Species,” *Economist*, 19 July 2001 [cited 03 August 2002], available at www.economist.com/displayStory.cfm?Story_ID=698694; INTERNET.

²²³ Yevgeniy Verlin, “Black Cash and Yellow Danger,” trans. FBIS, Moscow Ekspert, 18 March 2002, FBIS Doc. ID CEP20020404000316.

²²⁴ Verlin, “Black Cash and Yellow Danger.”

²²⁵ “Remaking History,” *Economist*, 19 July 2001 [cited 23 July 2002], available at www.economist.com/displayStory.cfm?Story_ID=702484; INTERNET.

განზრახვით ისევე, როგორც აშშ. ჩინელები შეშფოთებულნი რჩებიან, რადგან პუტინმა ინტერესი გამოხატა ვაშინგტონთან ახალი სტრატეგიული ურთიერთობისა და გაოცებულნი არიან რეგიონალური სარაკეტო სისტემების შესახებ მისი მხარდაჭერის გამო.²²⁶

კორეის ნახევარკუნძულთან ურთიერთობები ისეთივე კატეგორიისაა, როგორც იაპონიასთან დავა „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ შესახებ და შედის რუსების დიპლომატიური პრიორიტეტების ჩამონათვალში. რუსეთმა დაიმკვიდრა ადგილი ოთხ ძირითად მოთამაშესთან ურთიერთობებში, როგორებიც არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, აშშ, ჩინეთი და იაპონია. რუსეთზე ჯერ კიდევ აქვს გავლენა კიმ იონგ II რეჟიმს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერთხელ უკვე აფინანსებდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მცირე ეკონომიკურ სარგებელს იღებს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობისგან (რომელსაც იარაღის წინა მიყიდვიდან 3.8 მილიარდი დოლარი აქვს ვალი) და რუსეთს ამ განცალკევებულ რეჟიმზე დიპლომატიური გავლენა საშუალებას აძლევს, რომ შეინარჩუნოს პრეტენზია გლობალურ საკითხებში ჩართულობაზე.²²⁷ სამხრეთ კორეა ჩანს როგორც განვითარებადი ეკონომიკური პარტნიორი და არსებობს გეგმები ტრანს-კორეული სარკინიგზო ხაზის ტრანს-ციმბირულ სარკინიგზო ხაზთან დაკავშირების შესახებ, თუ რა თქმა უნდა კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (ჩრდილოეთ კორეა) და კორეის რესპუბლიკამ (სამხრეთ კორეა) შეასრულეს თავიანთი შეთანხმება კორეის კავშირთან დაკავშირებით.²²⁸ მინიმუმ, კორეის ნახევარკუნძულზე სტაბილურობა რუსი პოლიტიკოსების მხრიდან განხილულია, როგორც საჭიროება აზიის თანამშრომლობის ფარგლებში რუსეთის მონაწილეობის გასაგრძელებლად.²²⁹

2001 წელს რუსეთის ფედერალურ ასამბლეაზე თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი “ხელს შეუწყობს თავის მონაწილეობას აზიის მეგობრობის გაფართოების ერთობლივ მონაწილეობასა და აზიის წამყვან ქვეყნებთან

²²⁶ “Remaking History,” The Economist; NIDS, Interview; East Asian Strategic Review 2002, 188.

²²⁷ East Asia Strategic Review 2002, 248-249.

²²⁸ “On Russian President Vladimir Putin’s Message to President Kim Dae-jung of the Republic of Korea,” Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation, 20 July 2002 [cited 07 August 2002],

²²⁹ East Asia Strategic Review 2002, 247.

თანამშრომლობაში.²³⁰ თუმცა, იაპონელი მეცნიერების თანახმად, რუსეთი ხშირად ავლენს სურვილს შეუერთდეს აზიური ერთადმომუშავე ორგანიზაციების პირველ და მეორე გზას, მაგრამ შემდეგ ვეღარ ახერხებს სათანადო, მაღალი დონის დელეგატების გაგზავნას ან არ გამოხატავს დიდ დაინტერესებას ორგანიზაციაში, რომლის წევრიც ის ერთხელ უკვე გახდა.²³¹ ეს ხდებოდა ხოლმე იმ შემთხვევაში, როდესაც რუსეთი ცდილობდა წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოში, მეორე გზის ორგანიზაციაში შესვლას, რომლის სამდივნოს ფუნქციასაც იაპონიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი ასრულებდა. რუსეთი ძლიერად ლობირებდა ორგანიზაციაში შესაღწევად, ვითომდა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში შემდგომი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით.²³² მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ერთი ორგანიზაციაა და არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იყოს რუსეთის წარმომადგენელი ყველა მრავალმხრივ ურთიერთობაში წყნარი ოკეანის რეგიონში და გამომდინარე აქედან, ის არ შედის რუსეთის დაინტერესების სფეროში, რადგან ისინი ვერ აკონტროლებენ ამ ორგანიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ მისი პოლიტიკა დღესაც ნაწილობრივ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი მოგონებების ტყვეობაშია, იაპონიას ამჟამად არ აქვს იმ მასშტაბის იდენტობის კრიზისი, როგორც აქვს რუსეთს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეკონსტრუქციის დროს იაპონიას უკვე განსაზღვრული ჰქონდა პირველ რიგში საკუთარი ინტერესები ეკონომიკური თვალსაზრისით რის გამოც, მისი უსაფრთხოება გარანტირებულია აშშ-თან ალიანსით. ვაშინგტონთან ურთიერთობები უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს იაპონელი პოლიტიკოსებისათვის, რადგან აშშ არის გარანტი იაპონიის უსაფრთხოებისა და მისი უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც იაპონური ექსპორტის 30% მოდის.²³³ აშშ-იაპონიის მყარი ურთიერთობების შემდეგ ზოგადად, იაპონელებს აზიაში სტაბილურობის სურვილი აქვთ. იაპონელთა მხრიდან მხოლოდ ჩრდილოეთ კორეა აღიქმება რეალურ საფრთხედ და ფაქტია, რომ ჩრდილოეთ კორეელებს, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვთ

²³⁰ East Asia Strategic Review 2002, 240.

²³¹ JIIA, Interview.

²³² JIIA, Interview.

²³³ The economist, Pocket World in Figures: 2001 Edition (London, England: Profile Books Ltd., 2001), 159.

გადაწყვეტილი, რომ იაპონიას არ მისცენ ამის დავიწყების საშუალება.²³⁴ ჩინეთი მზარდი კონკურენცია, რომელმაც შეიძლება გაუსწროს იაპონიას, როგორც ყველაზე დიდი ეკონომიკის (მშპ-მთლიანი შიდა პროდუქტი) მქონე ქვეყანას აზიაში იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი შეინარჩუნებს მიმდინარე ზრდის ტემპებს და იაპონია ჩარჩება თავის ეკონომიკურ კრიზისში. იაპონია 1993 წლიდან უკვე უდიდესი ინვესტორია აზიაში და ცდილობს შეასრულოს ლიდერის როლი რეგიონალურ მრავალმხრივ ორგანიზაციებში.²³⁵

რუსეთთან ურთიერთობები ადვილად არ ჯდება იაპონიის საგარეო პოლიტიკის საერთო სქემაში. ტერიტორიული დავა რჩება ძირითად დაბრკოლებად უკეთესი ურთიერთობების დამყარებისათვის, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ იაპონიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. იაპონიაში მყოფი ამერიკელი ოფიციალური პირებისა და იაპონელი მეცნიერების შეფასებებში რუსეთის მიმართ პოლიტიკა დარჩა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუროკრატების განსასაზღვრი.²³⁶ პრობლემის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს ის, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს კონსენსუსი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში რუსეთის როლთან დაკავშირებით ცივი ომის შემდგომ ეპოქაში. საბჭოთა კავშირს ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოებაზე, რადგან ამის პარალელურად ძირითადი მხარდამჭერი იყო პიონგიანგის გაუჩინარებისა, ჩინურ-საბჭოურმა განხეთქილებამაც არსებობა შეწყვიტა და საბჭოთა შემოჭრის საფრთხეც (იაპონიისთვის) გაქრა ღამის სიზმარივით. რეგიონალური უსაფრთხოება დაფუძნებული იყო მფარველისა და კლიენტის ურთიერთობებზე ამ ტერიტორიაზე, იაპონიისა და სამხრეთ კორეის გაზიარებული კვაზი-ალიანსი დაფუძნებული იყო მათ საერთო მოკავშირე ამერიკის შეერთებულ შტატებზე.²³⁷ 1992 წლამდე არ ყოფილა რეალური მცდელობა აზიაში უსაფრთხო

²³⁴ In 1998 the DPRK launched a Teapodong III ballistic missile over Japan. In December 2001 a suspected DPRK boat fired rockets and small arms at Japanese Coast Guard cutters, which subsequently sank the “mystery ship.” Efforts to recover the boat from waters in the Chinese EEZ were ongoing as of August 2002. The ship is presumed to be from the DPRK based on a uniform patch and food packages recovered from the scene in June 2002.

²³⁵ Nimmo, Japan and Russia, 161.

²³⁶ American Embassy Tokyo, Interview; Hasegawa, Neither War nor Peace, 543.

²³⁷ Victor Cha defines a quasi alliance as “the relationship between two states that remain unallied despite sharing a common ally.” The two states may “share a common threat and common great-power protector but are affected

გარემოს განსაზღვრისა, როგორც უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ევროპაში (ეუთო) ან გაფართოებული ნატო და პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ცდილობს ევროპაში ამის მიღწევას. აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური კონფერენცია (APEC) პერიოდულად ემსახურება დიალოგისკენ წახალისებას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს რეგიონალური თანამშრომლობის ბაზის შემუშავების პერსპექტივა.

ცივი ომის დროს საბჭოთა-იაპონური ურთიერთობები ძირითადად საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების ფუნქციას ასრულებდა. ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავა ემსახურებოდა აშშ-სა და იაპონიის უფრო მჭიდრო დაახლოვებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იაპონიამ და რუსეთმა მოახერხეს მხოლოდ 1956 წლის ერთობლივ დეკლარაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე შეთანხმება, რომელმაც აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობები მოსკოვსა და ტოკიოს შორის. 1992 წლიდან რუსეთისა და იაპონიის პოლიტიკურ ლიდერებს შორის ხუთი სამიტი გაიმართა. პირველი შეხვედრა ელცინსა და მაშინდელ პრემიერ-მინისტრ მორიჰირო ჰოსოკავას შორის 1993 წლის ოქტომბერში გაიმართა და გამოიცა ტოკიოს დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დავა უნდა გადაწყდეს „კანონისა და სამართლის საფუძველზე.“²³⁸ ეს მოხდა ოთხი წლით ადრე, სანამ მოეწყობოდა მეორე სამიტი რიუტარო ჰაშიმოტოსა და ელცინს შორის კრასნოიარსკში, ცენტრალურ ციმბირში. იმ სამიტზე, რომელიც ცნობილია „უჰალსტუხო სამიტის“ სახელით, რადგან არაფორმალური და მშვიდი ურთიერთობა ჰქონდათ ჰაშიმოტოსა და ელცინს, რისი შედეგიც იყო პირობა იმის შესახებ, რომ ორივე ქვეყანას სურს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება 2000 წლის დეკემბერში.²³⁹ კრასნოიარსკის სამიტის ნაწილობრივი შედეგია იაპონელთა ახალი „მრავალშრიანი მიდგომა“, რომელიც გამოაქვეყნეს 1997 წლის იანვარში, სადაც ჰაშიმოტო ცდილობდა იაპონიის რუსულ პოლიტიკაზე ჩრდილოეთ ტერიტორიების დავის გამო არსებული გავლენის შემცირებას. სამიტზე აღინიშნა ინიციატივა „სამი პრინციპული მიდგომის“ შესახებ,

by alliance hindrances (historical animosity).” For more on the Japan-ROK quasi alliance, see Victor D. Cha, *Alignment Despite Antagonism: The U.S.-Korea-Japan Security Triangle* (Stanford, Ca: Stanford University Press, 1999).

²³⁸ Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 484-485.

²³⁹ Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 511; Wishnick, “One Asia Policy or Two?” 75.

რომლის მიხედვითაც მშვიდობა დაფუძნებული იყო „ნდობაზე, ორმხრივ ინტერესებსა და გრძელვადიან პერსპექტივებზე.“²⁴⁰ 1998 წელს კავანაში - იაპონიაში და მოსკოვში გულთბილი შეხვედრების შემდეგ, როდესაც ახალი პრემიერ-მინისტრი კეიზო ობუჩი გახდა პირველი იაპონელი პრემიერ-მინისტრი, ვინც ეწვია მოსკოვს 25 წლის განმავლობაში. წარმატება მიღწეულ იქნა მეთევზეობისა და უვიზო ვაჭრობის გაფართოების კუთხით, მაგრამ ცოტა გაკეთდა ტერიტორიული საკითხის ეფექტურად გადასაჭრელად.²⁴¹ აღნიშნული ურთიერთობები ვირტუალურ ჩიხში შევიდა, პუტინმა პრეზიდენტის პოსტზე ელცინი შეცვალა 2000 წლის დასაწყისში, როგორც მოვალეობის შემსრულებელმა. როდესაც პუტინი 2000 წლის სექტემბერში ჩავიდა ტოკიოში ნათელი იყო, რომ არანაირ სამშვიდობო ხელშეკრულებას აღარ მოეწერებოდა ჰაშიმოტო-ელცინის „დათქმული ვადის“ თანახმად. მართალია ურთიერთობები არ გაფუჭებულა, მაგრამ ისინი აღარ განიხილავდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების საკითხს. 2001 წლის მარტის ირკუტსკის სამიტზე პუტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 1956 წლის ერთობლივი დეკლარაცია, მაგრამ ეს არ აღემატებოდა „სამშვიდობო ხელშეკრულებების საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების სიღრმისეულ გაცვლას,“ რაზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება.²⁴² „კოჭლი იხვის,“ პრემიერ-მინისტრ იოშირო მორის სისუსტე იყო ნაწილობრივ პასუხისმგებელი იმაზე, რომ სამიტზე გააკეთა განცხადება პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომასთან დაკავშირებით.

ჩიხში ყოფნა მას მერეც გაგრძელდა, რაც იაპონელებმა 2002 წლის ივლისში სცადეს თავიანთი პოზიციის გარკვევა, უარყვეს „ორმხრივი“ მიდგომა, რომელიც ხელს უწყობდა პარალელურ ოფიციალურ „მრავალშრიან მიდგომას“, რომელიც აღნიშნული იყო პარლამენტის წევრის, მუნეო სუმუკისა და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენლის მიერაც.²⁴³ ამ გეგმის მიხედვით, შიკოტანი

²⁴⁰ Hasegawa, *Neither War Nor Peace*, 503; Tsuneo Akaha and Anna Vassilieva, “Japan and Russia Have a Date,” *International Herald Tribune*, 23 March 2001.

²⁴¹ Wishnick, “One Asia Policy or Two?” 75.

²⁴² “Irkutsk Statement by the Prime Minister of Japan and the President of the Russian Federation on the Continuation of Future Negotiations on the Issue of a Peace Treaty,” 25 March 2001 [cited 01 May 2002], available at www.mofa.go.jp/region/europe/russia/pmv0103/state.html; INTERNET.

²⁴³ Ministry Secretly Eyed 2 – Track Talks,” *Asahi Shimbun*, 20 May 2002 [cited 20 May 2002], available at www.asahi.com/english/politics/k2002052000460.html; INTERNET.

და ჰაბომასი მცირე ხნით უნდა ყოფილიყო დაბრუნებული მას შემდეგ, რაც შესაძლებელი იქნებოდა სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ხოლო კუნაშირისთან და ეტოროფუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გაგრძელდებოდა. თუმცა, ახალი „განმარტების“ თანახმად, პოზიცია მხოლოდ ტრადიციულ ხაზს უბრუნდებოდა, რომელსაც ტერიტორიული დავა უნდა გადაეწყვიტა მანამდე, სანამ შესაძლებელი იქნებოდა სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნებისმიერი ახალი წინადადებების შეთავაზების გარეშე, რათა მოგვარებულიყო ეს დავა.²⁴⁴ მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება ჩიხში ყოფნა ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, იაპონია აგრძელებს ჰაშიმოტოს „მრავალშრიან მიდგომას“ და ხელს უწყობს რუსეთთან ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კულტურული კუთხით თანამშრომლობას.²⁴⁵ „მრავალშრიანი მიდგომა“ ემსახურებოდა პოლიტიკის შემოქმედებს შორის ორმხრივი უნდობლობის შემცირებას, რაც ბოლო პერიოდის თანამშრომლობით აღინიშნა ამ თავში, თუმცა პროგრესის არსებობას საეჭვოს ხდის პუტინისა და ახლანდელი პრემიერ-მინისტრის, მიუნტირო კოიუმის 2003 წლამდე გასამართი სამიტი.

ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავა აჩენს საინტერესო პარადოქსს საერთაშორისო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე იაპონელი მეცნიერი და ამერიკელი ჩინოვნიკი მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ დავას მცირე გავლენა აქვს რუსულ-იაპონურ ურთიერთობებზე, ისინი ასევე განიხილავენ ამას, როგორც დიპლომატიური პროგრესის დიდ შემზღუდავ ფაქტორს.²⁴⁶ იაპონურმა მხარემ, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური კავშირი აღიარა, ეს იყო ზოგადი აღიარება იმისა, რომ ურთიერთობები არაპოლიტიკურ სფეროებში ნაწილობრივ დაკავშირებული იყო დავასთან. შეიძლება იყოს კიდევ ერთი მიზეზი ამ დამოკიდებულებისა: იაპონიამ შეიძლება უკვე მიაღწია უშორეს წერტილს რუსეთთან თანამშრომლობისა, რაც მის სურვილებშიც შედიოდა. მრავალი წლის განმავლობაში რუსეთისთვის იაპონია განიხილებოდა, როგორც დამხმარე რუსეთის შორეული

²⁴⁴ “Japan Tries to Fix Dents in its Russia Policy,” Asahi Shimbun, 31 July 2002 [cited 01 August 2002], available at www.asahi.com/english/politics/k2002073100300.html; INTERNET.

²⁴⁵ JIIA, Interview.

²⁴⁶ JIIA, Interview; American Embassy Tokyo, Interview; NIDS, Interview.

აღმოსავლეთის ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის განვითარების საკითხში. მაგრამ არარეალურია ის, რომ ველოდოთ იაპონურ მრეწველობას ან იაპონიის მთავრობას, თუ როდის გაუჩნდება სურვილი ჩადოს დიდი კაპიტალი რუსების განვითარებაში, იმ შემთხვევაშიც კი თუ სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდება მოლაპარაკებების პროცესის შემადგენელი ნაწილი იქნება ინვესტიციის ჩადება. ხოლო რუსეთის სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატი იაპონიისთვის კუნძულების 2.5 ტრილიონ დოლარად მიყიდვის ინიციატივით გამოდის - თანხმა 6.5-ჯერ აღემატება რუსეთის მშპ-ს, ხოლო ქვეყნების მთავრობათა ოფიციალური პოზიცია კი რთულად გადასაწყვეტი რჩება და მცირე ადგილს ტოვებს კომპრომისისათვის.²⁴⁷ იაპონია უარს ამბობს ნებისმიერი ალტერნატივის განხილვაზე იაპონელთათვის ოთხივე კუნძულზე სუვერენიტეტის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ხოლო რუსეთი მუდმივად ამტკიცებს, რომ იაპონიამ უარი თქვა „უკიდურეს მოთხოვნებზე“ და ეს წინმსწრები ფრაზა გულისხმობდა იაპონელთა მოთხოვნებს ყველა კუნძულის დაბრუნებასთან დაკავშირებით.²⁴⁸

ერთი მთავარი მიზეზი ტერიტორიული დავის გაგრძელებისა ახლო მომავალში ის არის, რომ ჩიხის მდგომარეობაში ყოფნა სთავაზობს უსაფრთხო პოლიტიკურ კურსს ორივე მხარეს, ვიდრე ნებისმიერი შესაძლო კომპრომისი. როგორც განვიხილეთ II-ე თავში, ორივე ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ძირითადი განმსაზღვრელია დავა კუნძულების შესახებ. თავიანთი პოზიციების გარეშე რუსებმა და იაპონელებმა იპოვეს თანამშრომლობისკენ მიმავალი გზა, რომელსაც სუვერენიტეტის საკითხები მოცილებული აქვს, თუმცა ორივე ქვეყანას ძირითადი მიზნების მისაღწევად საკუთარი სტრატეგია აქვს. 1992 წელს გაიხსნა უვიზო მიმოსვლა და ბევრ ყოფილ იაპონელ მოქალაქეს უკვე აქვს საშუალება, რომ დაბრუნდეს კუნძულებზე და საკუთარ

²⁴⁷ Oleg Artyukov, “Russia Will Not Give Away Kuril Islands to Japan, But Will It Sell?” trans. Maria Gousseva, Pravda, 19 March 2002 [cited 01 May 2002], available at English.pravda.ru/world/2002/03/19/27067.html; INTERNET. Vladimir Zhirinovskiy has suggested he might be willing to let the islands go for the price of \$1 trillion. Although the \$2.5 trillion figure was proposed by the head of the Duma Committee for International Affairs, it is probably not a serious offer and is not the official policy of the Russian Government.

²⁴⁸ “Japan Tries to Fix Dents,” Asahi Shimbun; Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation, “Russo-Japanese Consultations Held,” unofficial translation of press release, 24 July 2002 [cited 01 August 2002], available at www.In.mid.ru/Bl.nsf/900b2c3ac91734634325698f002d9dcf/39f97904c04e722d43256c010046df5f?OpenDocument; INTERNET.

გარდაცვლილებს პატივი მიაგოს. ჰოკაიდოს პრეფექტურის სამთავრობო სტატისტიკის თანახმად, 1992 წლიდან 2001 წლის სექტემბრამდე კუნძულებს 3543 იაპონელი ეწვია.²⁴⁹ რუსეთისთვის გარკვეულ ეკონომიკურ ინვესტიციებს დებენ იაპონელები რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ისევე, როგორც ერთობლივი მცირე განვითარების პროექტებში კუნძულებზე, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების ჩარჩოებს სცილდება. თუმცა, როგორც ელისონის კვლევაშია აღნიშნული, „იმის გამო, რომ საკითხი არსებითად სიმბოლურია, არსებობენ რეზოლუციის დაუყოვნებლივ მიღების მომხრეები, რაც გამოიწვევს რაიმე სახის კომპრომისს და ბევრი მხარდაჭერა კი ეფუძნება პრინციპს, რომ ამ ყველაფერს შედეგი მოჰყვება... არ არსებობს პოლიტიკურ ღირებულებაზე დაფუძნებული პრინციპი, რომელიც ითხოვდეს ოთხივე კუნძულს და იღებდეს ვერაფერს.“²⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ ახლა არსებობს მნიშვნელოვანი თანამშრომლობა იაპონიასა და რუსეთს შორის ბევრ სფეროში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ პროგრესის გაყინულობის ხარისხს, რაც დამახასიათებელი იყო მთელი ცივი ომის განმავლობაში და რაც ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა იაპონიამ და რუსეთმა უნდა მოიპოვონ ურთიერთობების სრული ნორმალიზებას. მასატო კიმურამ და დევიდ ველშმა ხაზი გაუსვეს იმას, თუ როგორ გახდა კუნძულებზე დავის „საბოლოო მსხვერპლი“ იაპონიის საგარეო პოლიტიკა და მსოფლიოს პოზიცია, ასევე იაპონია [რაციონალურად] მაქსიმალურად არ ზრდის მათი დაბრუნებისათვის საჭირო ძალისხმევას.²⁵¹ თუმცა, რუსებმა ვერაფერი მოიგეს შეურიგებლობით ამ საკითხთან დაკავშირებით, მათი წარუმატებლობის მიზეზი კი უნდა ვეძიოთ სტალინისგან მემკვიდრეობით მიღებულ საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. სავარაუდოდ რუსეთის პოზიცია უახლოეს მომავალში იქნება ისეთი, რომ იაპონია უფრო მეტად დასჭირდება, ვიდრე იაპონელებს რუსები. იაპონია ნელა - თუმცა მტკივნეულად - სამრეწველო ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკიდან გადადის

²⁴⁹ Hokkaido Prefecture Government, “Measures for Reversion of the Northern Territories,” [cited 25 June 2002], available at www.pref.hokkaido.jp/soumu/sm-hrtsk/hp-en/toriku-en.htm; INTERNET.

²⁵⁰ Graham Allison, Hiroshi Kimura and Konstantin Sarkisov. Beyond Cold War to Trilateral Cooperation in the Asia-Pacific Region: Scenarios for New Relationships between Japan, Russia and the United States, Strengthening Democratic Institutions Project (Cambridge, MA: John F. Kennedy School of Government, Harvard University, 1992), 39.

²⁵¹ Kimura and Welch, “Specifying ‘Interests,’” 226, 232.

მომსახურებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იაპონელი ნერვიულობს თავიანთი ქარხნების მიგრაციაზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთში, ეს მოძრაობები კი „უბრალოდ ასახავს იმ ფაქტს, რომ იაპონიას აქვს მოწიფული (ჩამოყალიბებული) ეკონომიკა, რომელიც უბრუნდება სამომხმარებლო პროდუქციის წარმოებას.“²⁵²

გარდა ენერგორესურსებისა, იაპონიას აღარ სჭირდება ის, რაც რუსეთს ყველაზე მეტი აქვს: ბუნებრივი რესურსები. თუმცა, თუ რუსეთი მოელის რეგიონულ დახმარებას შორეული აღმოსავლეთის განვითარების კუთხით, მაშინ სწორედ იაპონიაა ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც შესაძლოა დაეხმაროს მას. სამხრეთ კორეამ საკუთარი თავი უნდა გაამლიეროს თავადვე და გადარჩება მაშინ, როდესაც ის ჩრდილოეთისგან რეკონსტრუქციისათვის მიიღებს დაფინანსებას უკვე გაერთიანებული კორეის შემადგენლობაში. კორეელები საკუთარ თავს გერმანიის მაგალითის მიხედვით განიხილავენ და გაერთიანების ტკივილი გამოწვეული იყო ძლიერი ეკონომიკით ევროპაში. აღარც რუსეთი უნდა ელოდეს ჩინეთისგან დახმარებას. პრაქტიკულად ჩინეთი თვითონვე ორი ცალკეული ქვეყნისგან შედგება - განვითარებული სანაპიროსგან და განუვითარებელი შიდა ნაწილისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკა იზრდება, კეთილდღეობამ მაინც ვერ მიაღწია შიდა ნაწილამდე. მის ზოგიერთ „თანამედროვე ქალაქში“ არის უბრალო შენობები, მაგალითად ქინგ-დაოში, რომელიც ჰგავს თანამედროვე ქალაქს შთამბეჭდავი ჰორიზონტის ფონზე ნაპირიდან მოშორებით, სანამ შეხვალთ ქალაქში და შეამჩნევთ, რომ ბევრი გრანდიოზული შენობა მხოლოდ ნახევრადაა დასრულებული, აუთვისებელია და მშენებლობა აშკარად შეწყვეტილია.²⁵³ ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ ჩინეთს გაუჩნდება სურვილი რუსეთში მშენებლობების ხელის შეწყობისა, როცა ისედაც ბევრია გასაკეთებელი თავად ქვეყნის შიგნით. მომიზეზებულია ჩინეთისა და სამხრეთ კორეის მიერ იაპონიის დატოვება, როგორც ერთადერთი შესაძლო ან სავარაუდო კაპიტალის წყაროებისა, რომლებიც მოახდენდნენ შორეული აღმოსავლეთის გრძელვადიანი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარებას.

²⁵² “East, West, Home’s Best” in “A Survey of Japan,” 16pp, The Economist, 20-26 April 2002, 14.

²⁵³ Description based on author’s observations in July 2000.

ყველაზე დიდ სარგებელს „ჩრდილოეთ ტერიტორიების“ შესახებ დავის მოგვარება მოუტანს რუსეთის ფედერაციასა და იაპონიას შორის ურთიერთობების სრულ ნორმალიზაციას. აღნიშნული დავა შემორჩენილია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გადასაწყვეტი საკითხებიდან. მიუხედავად იმისა, რომ იაპონია-რუსეთის ყოველდღიურ ურთიერთობებზე არ ჩანს ამ სიტუაციის გავლენა, მას მაინც აქვს ორმხრივ აღქმაზე მომწამვლელი ეფექტი. ეს რიტორიკა გამოძახილია იმ დიდი ხნის წინანდელი ისტორიული უსამართლობისა, როდესაც იაპონია ჯერ კიდევ არ იყო თანამედროვე სახელმწიფო და რუსეთს კვლავ „ცარები“ მართავდნენ. ამ ეპიზოდის დახურვა გაათავისუფლებს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებს იმ გამოუვალი სიტუაციისგან, რომელშიც უკვე არიან ისინი. ავტორის მიერ გამოკითხული ყველა იაპონელი მეცნიერი ასკვნის, რომ „ხელშეკრულების არქონა აწესებს ლიმიტს“ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მზად არიან იაპონელები რუსეთთან თანამშრომლობისათვის მაშინაც კი, თუ ისინი არ ეთანხმებიან ამ ლიმიტის არსებობას.²⁵⁴

რუსეთისთვის დიდი პერსპექტიული სარგებელია იმის შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ეკონომიკური დახმარება. იაპონიის „მრავალშრიან მიდგომას“ უკვე მოჰყვა შედეგად „6 მილიარდ დოლარზე მეტი კრედიტი და ინვესტიცია“ და იაპონიის მთავრობის შემცირებული ჩარევა კერძო ინვესტირებაში.²⁵⁵ იმ შემთხვევაში, თუ მენტალური ზღვარი წაიშლება, მაშინ მოსალოდნელია დასახმარებელი უფრო სერიოზული ინტეგრაცია რუსეთის შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკაში. რუსეთისათვის ყველაზე მიმზიდველი მოდელი იქნება 1972 წლის შემდგომ ნორმალიზებული ურთიერთობები იაპონიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. ნორმალიზაციიდან 15 წლის შემდეგ, სავაჭრო ბრუნვა 1 მილიარდი დოლარიდან 15.6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა 1987 წელს და შემდეგ კი ელვის სისწრაფით მიაღწია 80 მილიარდ დოლარამდე. ამავე პერიოდში ჩინეთი გახდა „იაპონური დახმარების

²⁵⁴ JIA, Interview; NIDS, Interview.

²⁵⁵ Wishnick, “One Asia Policy or Two?” 77.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმღები.²⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისათვის დახმარების თანხა ბევრი მიზეზის გამო ვერ მიაღწევს ამ ოდენობას, იაპონია წარსულში მაინც გულუხვი იყო დახმარების კუთხით იმ ქვეყნისთვის, რომელთანაც ის ომში იყო ჩართული. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ტაივანსა და კორეის რესპუბლიკას (სამხრეთ კორეა) ურთიერთობების ნორმალიზების შემდეგ არ მიუღიათ იაპონური დახმარება, თუმცა ეს რეკორდი შესაძლოა მოხსნან რუსებმა, რომლებიც გაცილებით მეტს ელიან, ვიდრე იაპონია არის მზად ამის უზრუნველსაყოფად. გასათვალისწინებელია, რომ ამ ხალხებმა 1905 და 1945 წლებში მიიღეს მთავარი აგრესიული დარტყმა იაპონიის მხრიდან. გარდა ამისა, ეკონომიკური დახმარება იმ შემთხვევაში იქნება თუ დავა გადაწყდება იაპონიის სასარგებლოდ და თუ ყველა კუნძულზე დაბრუნება იაპონიის სუვერენიტეტი (მმართველობა-მფლობელობა). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის მიერ განვითარების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხა უკვე გათვალისწინებული აქვს, როგორც გამოუყენებელი ან არასწორად მართული. ერთ-ერთ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 4.38 მილიარდი იენი (37.1 მილიონი დოლარი) გამოიყო ფისკალურ 1999 წელს და „ფაქტობრივად, აქედან მხოლოდ 550 მილიონი იენი იქნა დახარჯული.“²⁵⁷

იაპონია ასევე ეცდება მოაღწიოს რეზოლუციის მიღებას რუსეთთან თავის დავასთან დაკავშირებით. ალბათ შესაძლებელია, რომ მაქსიმალური სარგებელი იყოს რუსების მხარდაჭერა იაპონიის სურვილისთვის, რათა გახდეს მეექვსე მუდმივი წევრი გაერო-ს უშიშროების საბჭოში, თუმცა ასევე, ალბათ მოითხოვს იაპონური კონსტიტუციის მე-9 მუხლის გაუქმებას, რაც პოლიტიკურად რთულად მისაღწევი იქნება.²⁵⁸ გარდა ამისა, ის შეამცირებს ჩინურ-რუსული „სტრატეგიული

²⁵⁶ Reinhard Drifte, *Japan's Foreign Policy* (New York: Council on Foreign Relations Press, 1990), 98-99.; JIIA, Interview.

²⁵⁷ “Russian Aid Group Fails to Spend Funds Provided by Japan,” *Asahi Shimbun*, 30 July 2002, FBIS Doc ID JPP20020730000055.

²⁵⁸ „East, West, Home's Best,” 13; Article 9 was written by Gen. Douglas MacArthur to prevent Japan from ever using military force abroad. The article reads in part, “the Japanese people forever renounce war as a sovereign right of the nation and the threat or use of force as means of settling international disputes. ...The right of belligerency of the state will not be recongnized.” [qtd. In Appendix IV of Hugh Borton, *Japan's Modern Century* (New York: Ronald Press, 1955), 493. Current interpretation holds this article prevents Japan from engaging its right to collective self-defense. The article still maintains widespread domestic popularity, though new interpretations have allowed Japan to engage in peacekeeping and non-conflict operations. Some critics allege Japan should not be allowed to join the Permanent Security Council as long as they are unwilling to fully commit

პარტნიორობის“ გავლენას იაპონურ უსაფრთხოებაზე რუსეთ-იაპონიას შორის პირველადი კონფლიქტის წყაროს გაქრობით. იაპონიასა და რუსეთს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ბევრი საერთო ინტერესი აქვთ და მათ შორის, არანაკლებია კორეის ნახევარკუნძულზე სტაბილურობა. რადგან არსებობს ტერიტორიული დავა, ასევე უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობაშიც არ შეინიშნება პროგრესი და არც ისაა მოსალოდნელი, რომ რეგიონში განვითარდეს გრძელვადიანი უსაფრთხოების რეჟიმი.

სამწუხაროდ, პროგნოზი ტერიტორიული დავის მოგვარების შესახებ ძალიან მცირე იმედს იძლევა გამომდინარე შიდა პოლიტიკური სიტუაციიდან, რომელიც არის რუსეთსა და იაპონიაში. პრეზიდენტმა პუტინმა თავად აღნიშნა პრესკონფერენციაზე დავის ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანთა სტატუსი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს ტერიტორია მათი სამშობლოა, ვინც თავის სამშობლოდ ამ ტერიტორიას მიიჩნევს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ვინც თვლის, რომ ეს მათი სამშობლო იყო მეორე მსოფლიო ომამდე.“²⁵⁹ ადამიანთა ორი ცალკეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ კუნძულები მათი კანონიერი სახლია და სიტუაცია არ განსხვავდება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისგან. ორივე ჯგუფს აქვს თავიანთი მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე დავაში სიმბოლიზმის დასაძლევად ადამიანები აქტიურად არიან ჩართულნი.

their forces in support of U.N. mandated operations that may involve armed conflict, such as the 1990-91 Persian Gulf War against Iraq. Although the Japanese have interpreted their constitution to allow for some peacekeeping roles, there are strict prohibitions on the use of Japanese forces in any role that could potentially involve armed conflict.

²⁵⁹ “Russia: President Putin Gives News Conference for Domestic, Foreign Press,” trans. FBIS, transcript of live Russian TV RTR press conference, 18 July 2001, FBIS Doc. ID CEP20010718000297.

რა შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს პარადიგმა

იაპონია და რუსეთი დიპლომატიურ ჩიხში შევიდნენ ჩრდილოეთ ტერიტორიებთან დაკავშირებით განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს გახდა მწვავე შიდა საკითხი ორივე ქვეყანაში და ვერც ერთი სახელმწიფოს ლიდერი ვერ ახერხებს ამ პრობლემის მოგვარებას. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც არის ქვეყნებს შიგნით და მათ გარეთ, სავარაუდოდ ახლო მომავალშიც გაგრძელდება ჩიხში შესული მდგომარეობა. შიდა პრობლემების გამო იაპონიისა და რუსეთის მთავრობები სიფრთხილეს იჩენენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დათმობებისგან, რადგან მათ დაკარგული აქვთ სახე და განიცდიან ზეწოლას სამთავრობო კაბინეტისგან. იაპონიაშიც და რუსეთშიც ნებისმიერი ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო თანხმობა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ასამბლეას აქვს მრავალპარტიული ბუნება და სამთავრობო კოალიციებს ახასიათებთ სისუსტე, არც რუსეთის და არც იაპონიის მთავრობა მზად არ არის გარისკოს ასეთი საკითხის მიღება, რასაც ერთი შეხედვით მარგინალური მნიშვნელობა გააჩნია. სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოეწერა და რომელშიც დაფიქსირებული იყო ჩრდილოეთ ტერიტორიების მესაკუთრე, უნდა მოეხდინა მნიშვნელოვანი ცვლილება რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების ხასიათზე. ეს არ ნიშნავს სტრატეგიაში უმნიშვნელო ცვლილებას, რადგან ეს იყო „მრავალმხრივი მიდგომა“ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ჰაშიმიტოს მიერ ხელშეწყობილი, ან მიღებული 1956 წელს და შესაბამისად, პრეზიდენტ პუტინის მიერ 2001 წელს. უფრო მეტიც, ჩრდილოეთ ტერიტორიების დავის შესახებ რეზოლუცია მოითხოვს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების ფუნდამენტურ შეცვლას.

პრობლემის ბირთვის წარმოადგენს ტერიტორიული დავის შესახებ არსებული სიმბოლიზმი. თითოეული ერი ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხს განიხილავს ზედმეტად ემოციურ კონტექსტში. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ არ შერბილდება მეორე მსოფლიო ომის დროინდელი წარმოადგენა, სანამ რაციონალურად არ დადგინდება გეოგრაფიული კუთვნილება კუნძულებისა, სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები, აღარ გაიგივდება ომში გამარჯვებისა ან დამცირების

იდეასთან. ეს შეიძლება არ მოხდეს მანამდე, სანამ არ გარდაიცვლება მეორე მსოფლიო ომის დროინდელი თაობა და თანდათან არ გაუქრებათ ისტორიული მეხსიერება საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა მიუახლოვდნენ შედარებით რაციონალური გზით და ჩამოხსნილი უნდა ჰქონდეთ ემოციური ტვირთი თავიანთი ცხოვრებისეული მეხსიერებიდან. ეკონომიკური კეთილდღეობის დაბრუნება ჰოკაიდოსა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ასევე ხელს შეუწყობს ამ პროცესს. ადამიანები, რომელთა ეკონომიკურმა საჭიროებებმა ნაკლები რყევები განიცადა, სწორედ ეს ხალხი არაფერს სთავაზობდნენ ნაციონალისტური რიტორიკის გარდა. თუმცა, ორივე ამ ფაქტორს დასჭირდება დრო - შესაძლოა თაობებიც კი - იმიტომ, რომ ისტორიული მეხსიერება სწრაფად არ ქრება და ეკონომიკური კეთილდღეობის სწრაფად დაბრუნებაც ამ გამიჯნულ და გაჭირვებულ რეგიონებში ნაკლებად სავარაუდოა. ჩრდილოეთ ტერიტორიების დავასთან დაკავშირებით საჭიროა, რომ ორივე მხარე უფრო შორს იყოს ადათ-წესებისგან და პირველ რიგში, ცვლილება მოხდეს ღირებულებებში, რაც ხალხის აზრით, ჩადებულია ორმხრივ ურთიერთობებში თითოეულ ქვეყანაში. გრეკემ ელისონის, ჰიროში კიმურასა და კონსტანტინ სარქისოვის კვლევები ჯერ კიდევ ათწლეულების წინ გამოქვეყნდა: „საჭიროა შუამავალმა დაანგრის არსებული ჩიხი და დაეხმაროს ორივე ქვეყანას, რომელთაც აქვთ საკითხთან დაკავშირებით დიდი ინტერესი. თუ არ არსებობს რეზოლუცია, იარსებებს უახლოეს მომავალში და მესამე მხარემ უნდა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს დავის გარდაქმნის კუთხით, ასევე შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი, სადაც მხარეებს შეეძლება ორმხრივად მისაღები კომპრომისის მიღწევა, რაც ყველას დიდ ინტერესს ემსახურება.“²⁶⁰

ამ თავში წარმოდგენილია ის შესაძლო სცენარი, რომელმაც შეიძლება დაარწმუნოს რუსები და იაპონელები, რომ მათი ინტერესები საუკეთესო გზაა ნორმალიზაციისათვის და შესაძლო ალიანსის შესაქმნელად, როგორც წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოცემული უკმაყოფილებისა და აგრესიის გახანგრძლივების

²⁶⁰ Graham Allison, Hiroshi Kimura and Konstantin Sarkisov. Beyond Cold War to Trilateral Cooperation in the Asia-Pacific Region: Scenarios for New Relationships between Japan, Russia and the United States, Strengthening Democratic Institutions Project (Cambridge, MA: John F. Kennedy School of Government, Harvard University, 1992), 28.

შემაკავებელი საშუალებისა. ამ თავის დასასრულს შეფასდება რეგიონული უსაფრთხოების გავლენა რეზოლუციის ან ურეზოლუციობის საწინააღმდეგო თვალსაზრისით, რომელიც ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავის მოგვარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეზობლები არიან, რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში ხშირად მესამე ძალის ჩარევა რეგიონში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხოლმე. მაგალითად, რუსების ინტერვენცია წყნარი ოკეანის რეგიონში მე-18 და მე-19 საუკუნეებში შედეგი იყო დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მიმართ არსებული დიდი კონკურენციისა. იაპონიაში მეიჯის რესტავრაცია (1867/68 წწ.) გამოწვეული იყო იმის რეალიზაციით, რომ იაპონიას შეეძლო მოდერნიზაცია ან გაიზიარებდა ჩინეთის ჩი'ნგის დინასტიის (ჩინ.: ქინგ ჩაო - დიდი ქინგ-ების იმპერია ან მანჩუ-ს დინასტია) ბედს, რომელიც დაშინებული და საბოლოოდ დანაწევრებული იქნა გარე ძალების მიერ. მართლაც, ეს იყო კონკურენცია გამოწვეული ჩინეთის დაპატარავებით მე-19 და მე-20 საუკუნეებში. მისი დაშლა დააჩქარა ევროპულმა ინტერვენციამ, რომელმაც შექმნა პირობები 1904-05 წლების რუსეთ-იაპონიის ომისათვის. პორტსმუთის ხელშეკრულება, რომელმაც დაასრულა ეს ომი ორ მეომარ მხარეს შორის მოლაპარაკებების შედეგად, პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის დამსახურება იყო. სტალინი წყნარი ოკეანის აუზის რეგიონში სამომავალში ფრანკლინ დ. რუზველტის დაჟინებული მოწოდების შემდეგ ჩაერთო, რომელსაც სურდა, რომ მოკავშირეები დახმარებოდნენ იაპონიაში შეჭრაში. თუმცა, სტალინი ძალიან ცდილობდა შური ეძია 1904-05 წლებში რუსების დამცირებისათვის, ალედგინა რუსეთის პირველობა კორეასა და სახალინში, შეექმნა გავლენის სფერო მანჯურიაში. ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ურთიერთობები ტოკიოსთან ცივი ომის კონტექსტის გათვალისწინებით. ჩრდილოეთ ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით ისტორიაში აღნიშნულია მესამე ძალის გავლენის შესახებ და ამ თავის მოსაზრება ისაა, რომ საერთაშორისო გარემოში უნდა შეიცვალოს და შეიქმნას პირობები რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, სავარაუდოა რომ ჩინეთი გამოჩნდეს, როგორც პოტენციური რეგიონული ჰეგემონი. ამან შესაძლოა დაახლოვოს რუსეთი და იაპონია

იქამდეც კი, რომ მათ შორის ეს საკმაოდ უმნიშვნელო დავა გადაიზარდოს სტრატეგიულად და ეკონომიკურად პოტენციური საფრთხის წინააღმდეგ დიდ თანამშრომლობაში.

1) ჩინეთი როგორც მტერი

„საუკუნის დამცირების“ შემდეგ ჩინელებმა შეძლეს ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის გამოყენება, რასაც ბევრი წინასწარმეტყველებდა, რადგან ფრანკლინ დ. რუზველტმა ჩინელები 1945 წელს აიძულა, რომ უშიშროების საბჭოში შესულიყვნენ მუდმივ წევრად. 1990 წელსა და 1998 წელს შორის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ ჩინეთში დაახლოებით 11.2 %-ს მიაღწია, ხოლო გასულ წელს 8 %-იანი ღირსეული ზრდა დაფიქსირდა.²⁶¹ ამის შედეგად ყველა ხელისუფლება ცდილობს შეურიგდეს ჩინეთის რეგიონულ ძალად წარმოქმნას, რომელიც შესაძლოა გლობალურ ძალადაც იქცეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთმა აირჩია ჩინეთთან „სტრატეგიულ პარტნიორობაში“ შესვლა 2001 წელს, როდესაც გაფორმდა ჩინეთ-რუსეთის „ხელშეკრულება კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“. რაღაც აკლდა სრულ სტრატეგიულ ალიანსს და ახალი პარტნიორობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც განაცხადი „უნიპოლარული მსოფლიოს წინააღმდეგ მოძრაობის მხარდაჭერისა, რომელშიც ერთადერთი ზესახელმწიფო აშშ იქნებოდა“.²⁶² პარტნიორობა აუცილებელი იყო ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციისათვის, რადგან მისი სახალხო განმათავისუფლებელი არმიის (სგა) აღჭურვილობა ძველი საბჭოთა შეიარაღებისგან შედგებოდა. ხელშეკრულების ორი მუხლი ეხება რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობას „სამხედრო ტექნიკის, სამეცნიერო ტექნოლოგიების, ენერჯის, ბირთვული ენერჯის, კოსმოსური ტექნოლოგიების“ კუთხით, რადგან სახალხო განმათავისუფლებელ არმიას (სგა) სურს, რომ მისი სამხედრო ძალები ზოგიერთ სექტორში მაინც იყოს კონკურენტუნარიანი

²⁶¹ The Economist, Pocket World in Figures: 2001 Edition (London, England: Profile Books Ltd., 2001), 120.; “Emerging Market Indicators”, Economist, 31 August-6 September, 2002, 78.

²⁶² East Asian Strategic Review 2002 (Tokyo, Japan: The National Institute for Defense Studies, 2002), 185).

აშშ-ის სამხედრო ძალებისა.²⁶³ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ში ბევრი განიხილავდა ჩინეთს, როგორც განვითარებად სამხედრო საფრთხეს, ან სულ მცირე, როგორც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) შეაფასა და უწოდა „სტრატეგიული კონკურენტი“.

ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციისთვის მკვეთრად გაიზარდა დაფინანსება გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, ხოლო ტექნოლოგიურ დონეზე მათი ყველაზე თანამედროვე შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ-ს, უფრო მჭირდროდ თანამშრომლობს რუსეთთან და ზრდის იარაღის შესყიდვას, რათა რაც შეიძლება სწრაფად ამოავსოს ეს სიცარიელე. ჩინეთი საკუთარ თავს ბუნებრივ ჰეგემონად განიხილავს აზიაში, გამომდინარე მისი ისტორიული უპირატესობიდან და კულტურული გავლენიდან, რომელიც თან ერთვოდა მის ხანგრძლივ არსებობას. თუმცა, სულ უფრო მზარდი ჩინური ძალა ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსების განგაშის საბაზი გახდეს, მაგრამ შესაძლოა ადელვებდეთ ეს იაპონელებს. მიუხედავად ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის (სგა) მოდერნიზაციის გეგმისა, ძირითად აქცენტად მაინც ეკონომიკური განვითარება რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი საბოლოო ჯამში შეიძლება იქცეს ძლიერ რეგიონალურ ძალად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამჟამინდელი ლიდერების ეკონომიკაზე რაიმემ საგრძნობლად იმოქმედოს.

ჩინეთი თავისი ყველა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიუხედავად, მაინც არ არის სტაბილური სახელმწიფო. ბევრის ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთი არის მზარდი ძალა, როგორც ჩანს, ეფუძნება სწორხაზოვან პროგნოზებს: რომ ჩინეთი განუსაზღვრელი ვადით შეინარჩუნებს ეკონომიკური ზრდის მაღალ დონეს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია (ჩკპ) შეინარჩუნებს თავის კონტროლს პოლიტიკურ ძალაზე, და რომ ჩინეთს არ ემუქრება არანაირი შიდა არეულობა. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხეები, რომლებიც თან ახლავს ხოლმე სწორხაზოვან დაგეგმვას. ჩინეთის სამთავრობო და გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურები არ არის გამჭვირვალე და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას (ჩკპ) აქვს შემუშავებული ერთი მმართველიდან მეორე მმართველზე ძალაუფლების გადაცემის მეთოდი. მიმდინარე

²⁶³ East Asian Strategic Review 2002, 185.

რყევებთან დაკავშირებით იანგ ცემინი (ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი 1989-2002 წლებში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი - 1993-2003 წლებში, ასევე ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარე - 1989-2004 წლებში; ის იყო კომუნისტური პარტიის „მესამე თაობის“ ლიდერი) გრაციოზულად გადადგება და გამოიწვევს დაბნეულობას კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობაზე, სადაც ნათლად გამოჩნდა ის ხარვეზი, რაც თან ახლავს ძალაუფლების დისციპლინირებულ გადაცემას.²⁶⁴ მინქსინ პეი, კარნეგის ფონდის უფროსი მეცნიერი საერთაშორისო მშვიდობის საკითხებში წერდა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაცემა შეეხო თანამედროვე ჩინეთს და გახლიჩა ლეონიდ ბრეჟნევის დროინდელი საბჭოთა კავშირის „პოლიტიკურ სტაგნაციას“ და სუჰარტოს (ჰაჯი მუჰამად სუჰარტო - (1921-2008 წწ.) - ინდონეზიის მეორე პრეზიდენტი 1967-1998 წლებში) დროინდელი ინდონეზიის „მომმე კაპიტალიზმს“ შორის, რომლის დროსაც „გავრცელებული იყო კორუფცია, გარიგებები ადგილობრივ ბიუროკრატიასთან, ელიტური ცინიზმი და მასობრივი იმედგაცრუება... სწორედ ესაა მმართველობის დეგენერაციის კლასიკური სიმპტომები“.²⁶⁵ რეალური საფრთხე, რომელიც ჩინეთიდან მომდინარეობს, შეუფერხებლად ვერ გადაიზრდება რეგიონულ ძალაში, თუმცა პოლიტიკური ფრაგმენტაცია და შიდა კოლაფსი ხელს უწყობს მტრული რეჟიმის აღმოცენებას. ეს სცენარი შესაძლოა სერიოზულად შეეხოს რუსეთსაც და იაპონიასაც.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ (ჩკპ) დაკარგა ნდობა ბევრი ჩინელისა ოფიციალური კორუფციის გამო, ასევე დაკარგა თავისი უნარები მოსახლეობის მობილიზებისა.²⁶⁶ მინქსინ პეი აღნიშნავს: „როგორც წესი, როდესაც პირდაპირი გამოწვევებია მისი ხელისუფლების წინაშე, მაშინ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას (ჩკპ) შეუძლია მხოლოდ რეპრესიებს დაეყრდნოს და არ მოახდინოს საზოგადოების მობილიზაცია თავისი მოწინააღმდეგეების დასაძლევად“.²⁶⁷ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის ლიდერები ცდილობენ სერიოზული პოლიტიკური რეფორმებით

²⁶⁴ “China’s Leadership Quarrel”, *Economist*, 31 August-6 September 2002, 29-30.

²⁶⁵ Minxin Pei, “China’s Governance Crisis”, *Foreign Affairs* 81, (September-October 2002):99.

²⁶⁶ *East Asian Strategic Review* 2002, 174-175.

²⁶⁷ Minxin Pei, “China’s Governance Crisis”, 101.

გამოასწორონ წინააღმდეგობები საკუთარი სისტემის ფარგლებში, ასეთ დროს არ არსებობს წარმატების არავითარი გარანტია. არ არსებობს ეჭვი იმაზე, რომ ჩინელი ლიდერები ოდესმე ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ ლენინური სტილის პარტია შემორჩა პოლიტიკური რეფორმების გატარების მცდელობების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის კომუნისტური პარტია (ჩკპ) სოციალური დაძაბულობის ფონზე დაიშლება, მაშინ არ არსებობს არავითარი პროგნოზი იმისა, თუ რა ტიპის სისტემა შეიძლება წარმოიშვას. ჩინეთში დემოკრატიის შექმნაზე დასკვნისგან თავის შეკავება შეუძლებელია. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეეძლო ჩინეთის კომუნისტურ პარტიას (ჩკპ) ეფექტურად შეეზღუდა რაიმე ფართომასშტაბიანი ან კოორდინირებული ოპოზიციის ფორმირება, აქედან გამომდინარე, სავარაუდო შედეგი დემოკრატია ვერ იქნებოდა. უარესი სცენარის მიხედვით, თუ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ აიღო ძალაუფლება და თავის მეზობლებთან აირჩია კონფრონტაციული გზა, ხოლო რუსეთს კი შეუძლია მხოლოდ იაპონიასა და აშშ-ს უყუროს, რათა საკუთარი ინტერესები დაიცვას. თუ რუსეთი გრძნობდა, რომ ჩინეთის შეიარაღება საჭიროებს დაბალანსებას და იაპონელები გრძნობდნენ მუქარას გაზრდილი ჩინური მილიტარიზმისგან, მტრულად განწყობილი ჩინეთი ვერ უზრუნველყოფდა საჭირო სტიმულით რუსეთისა და იაპონიის ლიდერებს, რათა მოეგვარებინათ თავიანთი ტერიტორიული დავა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. ჩიკაგოს პოლიტიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორის, ჯონ ჯ. მერშიმერის (John J. Mearsheimer) ვარაუდით, იაპონია „ვერ გაბედავდა გამოეწვია“ სამხედრო თვალსაზრისით ძლევამოსილი ჩინეთი.²⁶⁸ ეს მსჯელობა უგულებელყოფს უფრო მეტად დინამიურ ჩინურ-იაპონურ ურთიერთობებს რამდენიმე საუკუნის მანძილზე, რამაც იაპონელებს უფრო დიდი სურვილი გაუჩინა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ჩინელთა ბატონობას. შეიძლება ჭეშმარიტება იყოს ის, რომ იაპონია ვერ აჯობებს ჩინელთა სამხედრო ძალას

²⁶⁸ John J. Mearsheimer, “The Future of the American Pacifier”, *Foreign Affairs* 80 (September-October 2001):57.

სახმელეთო ბრძოლაში აზიის კონტინენტზე, თუმცა იაპონელები ფლობენ აზია-წყნარი ოკეანის აუზის რეგიონში რიგით მე-3 უდიდეს სამხედრო ძალას.²⁶⁹

ამ სცენარის მიხედვით რუსეთი და იაპონია იძულებული გახდება მიმართოს მჭიდრო და კოორდინირებულ თანამშრომლობას აშშ-თან ჩინეთის „შეკავების“ მიზნით. რუსებმა კარგად იცოდნენ, რომ ციმბირში იზრდებოდა ჩინელების მიგრაცია და ბევრი განიხილავდა ამას, როგორც საფრთხეს რუსეთის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულს.²⁷⁰ ანალოგიურად, იაპონელებს არ ჰქონდათ საკუთარი ტერიტორიული დავები ჩინელებთან და ჩინეთს შეეძლო გავლენა მოეხდინა საზღვაო საკომუნიკაციო ხაზებზე (სსხ), რომელზეც დამოკიდებულია იაპონიის ვაჭრობა და ნავთობის მიწოდება. ამგვარად, ჩრდილოეთ ტერიტორიები აღარ იქნება მარგინალური საკითხი, ვინაიდან რუსულ-იაპონური ურთიერთობები იქნება უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ორივე ქვეყანაში, ვიდრე თითოეული სახელმწიფოს ორმხრივი ურთიერთობები ჩინეთთან. გარდა ამისა, ეს იქნება აშშ-ის ინტერესებში, რომ მიიღონ რეზოლუცია, რათა დაახლოვდნენ რუსეთი და იაპონია, რადგან არ არსებობს უსაფრთხო რეჟიმი, რომელიც ეცდება შეაკავოს ჩინეთი და ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნება იაპონიისა და რუსეთის მონაწილეობის გარეშე. ამერიკელ მომლაპარაკებლებს ან შუამავლებს შეუძლიათ მაშინ ითამაშონ შუამავლის როლი მიმართულების შეცვლაში ან შიდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილებაში, რომელსაც გამოიწვევს რუსი ან იაპონელი ლიდერების არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ რეზოლუციის მიღება საჭიროა ყველას ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოებისათვის.

²⁶⁹ Mearsheimer suggests a scenario of Japan invading China, though this is completely unrealistic considering Japanese experience in World War II. Additionally, he fails to say why Japan would ever see a need to invade China. Mearsheimer, “The Future of the American Pacifier”, 54.

²⁷⁰ Yevgeniy Verlin, “Black Cash and Yellow Danger”, trans. FBIS, Moscow Ekspert, 18 March 2002, FBIS Doc. ID CEP20020404000316.

2) ნავთობის შეწყვეტა

მეორე სცენარის მიხედვით, რუსეთ-იაპონიის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივმა კონფლიქტმა სპარსეთის ყურეში. იაპონელები სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ამჟამად მხოლოდ 80% ნავთობს იღებენ, ხოლო დარჩენილი ყველაზე დიდი წილი მოდის ინდონეზიიდან და რუსეთიდან საერთოდ არ იღებს ნავთობს.²⁷¹ ანტი-სადაამისტური რიტორიკა გაჩაღებული იქნა ვაშინგტონში და აშშ-ის შენაერთები აგრძელებენ სამხედრო ოპერაციებს ავღანეთში ალ-ქაიდას ნარჩენების წინააღმდეგ, ხოლო იაპონელებს კი სურდათ, რომ შეენარჩუნებინათ მეგობრული ურთიერთობები ნავთობის ექსპორტიორ სპარსეთის ყურის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ირანთან.²⁷² გარდა ამისა, აშშ-ის მსგავსად, იაპონელებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ნავთობის სტრატეგიული სარეზერვო რაოდენობა, რომელიც ახლანდელი ცნობით 315 მილიონ ბარელს შეადგენს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ენერგორესურსებით იმ შემთხვევაში, თუ იქნება მოკლევადიანი კონფლიქტი ან ემბარგო.²⁷³ თუმცა, თუ რეგიონში მოხდა სერიოზული დესტაბილიზაცია და წარმოება ან მიწოდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეფერხდა, მაშინ იაპონიამ უნდა მოძებნოს ნავთობის მიწოდების სხვა წყაროები. რუსეთი ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს ნავთობის მიწოდება ან აღკვეთოს საუდის არაბეთის მიერ ნავთობის გამომუშავება. რუსეთის რეზერვებში არის 48,6 მილიარდი ბარელი ნავთობი, რაც არც ისე დიდია საუდის არაბეთის რეზერვთან შედარებით, რომელიც 264,2 მილიარდი ბარელია და მსოფლიოს ნავთობის მარაგის 25%-ს აკონტროლებს. მაგრამ ისინი ფლობენ მსოფლიოში ნავთობის ცნობილი რეზერვების 5%-ს.²⁷⁴ საბჭოთა

²⁷¹ Energy Information Administration (EIA), “Japan Country Analysis Brief”, United States Department of Energy (11 April 2002) [cited 2 September 2002], available at www.eia.doe.gov/cabs/japan.html; INTERNET.

²⁷² Eric Heginbotham and Richard J. Samuals, “Japan’s Dual Hedge”, *Foreign Affairs* 81 (September-October 2002): 115.

²⁷³ Inja Paik, Paul Leiby, Donald Jones, Keiichi Yokobori and David Bowman, “Strategic Oil Stocks in the APEC Region”, (paper dated 06 April 1999, presented at the International Association of Energy Economists Annual International Conference, Rome, Italy, June 1999), 3.

²⁷⁴ Energy Information Administration (EIA), “Russia Country Analysis Brief”, United States Department of Energy (25 April 2002) [cited 01 September 2002], available at www.eia.doe.gov/emeu/cabs/russia.html; INTERNET; Energy Information Administration (EIA), “Saudi Arabia Country Analysis Brief”, United States Department of Energy (25 January 2002) [cited 01 September 2002], available at www.eia.doe.gov/cabs/saudi.html; INTERNET.

კავშირის დროს რუსეთს ექსპორტზე გაჰქონდა დღეში დაახლოებით 12 მილიონი ბარელი ნავთობი და მსოფლიოს წამყვან ნავთობის ექსპორტიორს წარმოადგენდა.²⁷⁵ რუსეთი ახლა აწარმოებს დაახლოებით 5 მილიონ ბარელს დღეში და მისი ნავთობკომპანიები დებენ ინვესტიციებს ისევ ინფრასტრუქტურასა და საძიებო სამუშაოების წარმოებაში, რომლებიც ჩართულნი არიან უცხოური პარტნიორი ნავთობკომპანიები.²⁷⁶ მაგალითად დადგენილია, რომ სახალინს აქვს დაახლოებით 3,3 მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგი შიდა ველებზე, რომელიც ამჟამად განვითარების სტადიაშია და დეველოპერები იმედოვნებდნენ, რომ იაპონიის მოთხოვნებს ნავთობზე პროცენტულად მნიშვნელოვნად დააკმაყოფილებენ.²⁷⁷

2000 წლიდან იაპონიამ შეამცირა ნავთობის მოხმარება ნაწილობრივ შრომისუნარიანობის ხარჯზე და ნაწილობრივ უახლესი ეკონომიკური რეცესიისა და სამრეწველო მოთხოვნის ვარდნის შესაბამისად. იაპონელების მიერ ნავთობის მოხმარება დღეში 5,4 მილიონი ბარელი, სავარაუდოდ დარჩება სტაბილური ან ოდნავ დაეცემა, იაპონია უკვე ცდილობს ნავთობის იმპორტის დივერსიფიკაციას და ცდილობს ნაკლებად დაეყრდნოს ახლო აღმოსავლეთს მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ამით მათ მხოლოდ მცირე წარმატებას მიაღწიეს.²⁷⁸ იაპონელებმა დაიწყეს ნავთობის მოპოვების დაფინანსება, კასპიის ზღვიდან ამოღება და შეთანხმების მიღწევა აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან, მაგრამ იაპონელები ჯერჯერობით არ განიხილავენ რუსეთის მხრიდან ნავთობის მიწოდების პერსპექტივას.²⁷⁹ ამის მიზეზი შეიძლება იყოს მარცხი, რომელიც დასაწყისში მოჰყვა იაპონურ ინვესტირებას რუსეთში ელცინის ადმინისტრაციის დროს, რომელიც მიბმული იყო დაბალ შემოსავალზე ან ინვესტირებაზე და სახალინის განვითარების ერთობლივ ხანგრძლივ პროექტებზე.

რუსეთთან იაპონელთა გარიგებების მიუხედავად, თუ იაპონელებისთვის ნავთობის მიწოდება სერიოზულად გართულდა ან არასაიმედო გახდა, მაშინ მხოლოდ

²⁷⁵ EIA, "Russia Country Analysis Brief".

²⁷⁶ Energy Information Administration (EIA), "Russia Oil and Natural Gas Exports", United States Department of Energy (April 2002) [cited 01 September 2002], available at www.eia.doe.gov/emeu/cabs/rusexp.html; INTERNET.

²⁷⁷ Sabrina Tavernise, "For Big Oil, Open Door in Far East of Russia", New York Times, 6 August 2002.

²⁷⁸ EIA, "Japan Country Analysis Brief".

²⁷⁹ EIA, "Japan Country Brief".

რუსეთს აქვს ჭარბი საწარმოო სიმძლავრეები, რამაც შეიძლება დააკმაყოფილოს იაპონელთა დღევანდელი მოთხოვნები. ასეთი სიტუაცია არ არის გამორიცხული. იმ შემთხვევაში, თუ აშშ უტევს ერაყს და ერაყელები პასუხობენ არაბეთის ნახევარკუნძულზე ნავთობის ობიექტებზე თავდასხმებით, რომელსაც ემატება 1991 წელს ქუვეითის შემოერთებული საბადოებიც, მაშინ იაპონია იძულებული გახდება რუსეთს მიმართოს ნავთობისათვის. რუსეთს ამ შემთხვევაში შეეძლება გამოიყენოს ნავთობი როგორც ბერკეტი, რათა მიიღოს ხელსაყრელი რეზოლუცია ჩრდილოეთ ტერიტორიების დავასთან დაკავშირებით და ხელი მოაწეროს სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც უკან დააბრუნებს მხოლოდ შიკოტანსა და ჰაბომაის.

3) რუსეთი ნატო-ში

მესამე სცენარის მიხედვით, რომელმაც შესაძლოა საკმაოდ შეცვალოს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების პარადიგმა, რომელიც ეფუძნება რუსეთის გაწევრიანებას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციაში. 1999 წელს ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი შევიდნენ ნატო-ში და ეს იყო პირველი რაუნდი ცივი ომის შემდგომი გაფართოებისა. ასეთი ღონისძიება წარმოუდგენელი იყო ათი წლის წინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შესაძლებლობას ექსპერტები სერიოზულად არც განიხილავდნენ. ბევრი საბჭოთა სპეციალისტი გაცემული დარჩა ამ ერთი უიღბლო აქტის გამო და პენსილვანიის უნივერსიტეტიდან ელვინ რუბენშტეინმა საკუთარ წიგნში განიხილა აქტიური საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნაკვაღევი, ხოლო შემდეგ კი საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. რუბენშტეინის წიგნის ბოლო ნაწილს ასეთი სახელწოდება აქვს: „მომავალი საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობები და საბჭოთა სტრატეგია 2000 წლის შემდეგ“.²⁸⁰ საილუსტრაციოდ დემონსტრირებულია ის, რომ რუსეთის ურთიერთობები ნატო-თან ხშირად ექსპერტთა პროგნოზების გამომწვევი იყო.

²⁸⁰ Alvin Rubinstein, *Soviet Foreign Policy Since World War II: Imperial and Global*, 4th ed. (New York: Harpers Collins Publishers, 1992), 305.

ნატო-ს გაფართოების ამერიკელმა მოწინააღმდეგეებმა უარისთვის ხშირად გამოიყენეს პოტენციური ეფექტები რუსეთის გაფართოებისა, თავად რუსეთის შიგნით არასტაბილურობის შიში ან რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე გამოწვეული არასტაბილურობა.²⁸¹ მიუხედავად ამისა, სანამ ახალი წევრები შეუერთდებოდნენ, ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი ხელმოწერილი იქნა 1997 წელს. ამან რუსებს მისცა ნატო-ში დასწრების უფლება და შეიქმნა ნატო-რუსეთის ერთობლივი მუდმივმოქმედი საბჭო (ემს). 2002 წლის მაისში რუსეთი ინტეგრირებული იქნა ნატო-ს სტრუქტურებთან, სადაც შეიქმნა ნატო-რუსეთის საბჭო, რომელმაც ჩაანაცვლა ერთობლივი მუდმივმოქმედი საბჭო (ემს). როგორც პრესრელიზშიც აღინიშნა, რუსეთის როლი გაიზარდა: „ნატო-რუსეთის საბჭოს ფარგლებში, ნატო-ს წევრი ქვეყნები და რუსეთი იმუშავებდნენ როგორც თანასწორი პარტნიორები საერთო ინტეგრირების სფეროში“.²⁸² რუსეთმა მოიპოვა ადგილი ნატო-ში, როგორც დე ფაქტო წევრმა. თუმცა, შესასწავლია არგუმენტები რუსეთის მხრიდან ნატო-ს ყველა პოლიტიკურ და სამხედრო სტრუქტურებთან სრულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მაგრამ უნდა ავწონ-დავწონოთ ის ცვლილებები, რაც მოჰყვება რუსეთის გაწევრიანებას და გაწევრიანების პროცესმა შეიძლება შეცვალოს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაცია და გავლენა მოახდინოს ამან რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებზე იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები სერიოზულ სტიმულს მისცემს რუსეთის მიერ სრული წევრობის მიღებას ნატო-ში.

ნატო-ს უკვე ჰყავს ერთი წევრი, რომლის ინტერესებიც ეხება მსოფლიოს და ესაა შეერთებული შტატები. თუ რუსეთი ნატო-ში შევა, ალიანსი მოიცავს მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს და შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაცია. უპირველეს ყოვლისა, რუსეთმა და იაპონიამ რომ შექმნან მოჩვენებითი ალიანსი, როგორც იყო კორეასა და იაპონიას შორის, ასეთ შემთხვევაში რუსეთიც და იაპონიაც ვალდებული

²⁸¹ David Yost, *NATO Transformed: The Alliance's New Roles in International Security* (Washington, D.C.: United States Institute of Peace Press, 1998), 105-108.

²⁸² “NATO-Russia Relations: A New Quality: Declaration by Heads of State and Government of NATO Member States and the Russian Federation”, NATO (28 May 2002) [cited 3 September 2002], available at www.nato.int/docu/basic/txt/b020528e.htm; INTERNET.

იქნება, რომ უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეთ შეერთებულ შტატებთან. თუ რუსეთს შეუძლია ერთდროულად გარკვეული ფორმით შეინარჩუნოს „სტრატეგიული პარტნიორობა“ ჩინეთთან ისე, რომ ჩინელებმა ვერ იგრძნონ ნატო-ს ალიანსის მნიშვნელოვნად გაფართოვება რუსეთის ხარჯზე, რაც შეიძლება მათ წინააღმდეგ იყოს მიმართული და უსაფრთხოება ჩრდილოეთ აზიაში შეიძლება დაექვემდებაროს სტაბილიზაციას. იაპონია და რუსეთი ერთობლივად მუშაობენ გარემოს უსაფრთხო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და უფრო მეტად კოორდინირებულნი არიან საზღვაო რესურსების დაცვის საკითხში. თუმცა, ასეთ ალიანსს შესაძლოა ასევე ჰქონდეს დროებითი დესტაბილიზაციის ეფექტი იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი ახალ ურთიერთობებს შეკავების ფორმად განიხილავს. ამ შემთხვევაში, პირველი სცენარი შეიძლება დადგეს თვითრეალიზებადი წინასწარმეტყველების მეშვეობით: ჩინეთი ხელშეკრულებას გააფორმებს, როგორც შეერთებულ შტატებთან, რუსეთთან და იაპონიასთან, რაც შესაძლოა ადვილად იქცეს საფრთხედ. შესაძლოა ეს იაპონელთა ინტერესებშია: ნატო-ს ცნობარში ასახულია მათი მოთხოვნები წევრობასთან დაკავშირებით: „ასპირანტი ქვეყნები ვარაუდობენ, რომ მიაღწევენ გარკვეულ მიზნებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. ეს მოიცავს ნებისმიერი საერთაშორისო, ეთნიკური ან გარე ტერიტორიული დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას; კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების დემონსტრირება; თავიანთ შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დამკვიდრება და ხელის შეწყობა ეკონომიკური თავისუფლების, სტაბილურობისა და კეთილდღეობისათვის, პასუხისმგებლობა სოციალურ სამართლიანობასა და გარემოს დაცვაზე“.²⁸³ აქედან გამომდინარე, არგუმენტი ასეთია - იაპონიამ ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის გაწევრიანებას ნატო-ში და აშშ-ს მოსთხოვოს რუსეთზე ზეწოლა, რათა დადოს სამშვიდობო შეთანხმება იაპონიასთან ჩრდილოეთ ტერიტორიების დაბრუნების შესახებ.²⁸⁴ დასაბუთებულია, რომ ტერიტორიული დავის მოგვარება იაპონიასთან შეიძლება რუსეთის ნატო-ში

²⁸³ NATO Handbook, North Atlantic Treaty Organization (01 October 2001) [cited 3 September 2002], available at www.nato.int/docu/handbook/2001/hb030103.htm; INTERNET, ch. 3 (emphasis in original).

²⁸⁴ Researchers from the Russian Studies department at the National Institute of Defense Studies (NIDS), interview by author, Ebisu, Tokyo, Japan, 2 July 2002.

ინტეგრაციით, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ უსაფრთხოებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „აშშ იქნება უხერხულ მდგომარეობაში“.²⁸⁵

ზემოთ წარმოდგენილი სამი სცენარი არ არის შეუძლებელი, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში შესაძლებელია იყოს წარმოუდგენელი. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში აღმოჩნდა, რომ მსოფლიო შეიცვალოს ისე სწრაფად, როგორც მისი შემსწავლელი ანალიტიკოსებიც კი ვერ წარმოიდგენენ. ერთადერთი, რაც ნაკლებად სავარაუდოა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში არის ის, რომ ცვლილებებისათვის საჭირო იმპულსი უნდა მოდიოდეს ან რუსეთის და ან იაპონიის შიგნიდან. ორივე ქვეყანა ამტკიცებს, რომ მზად არიან მსხვერპლი გაიღონ დიდი ეროვნული ინტერესების გულისთვის, რომელიც ეხება მცირე მატერიალური ღირებულების მქონე ოთხ კუნძულს. ამ კუთხით ეს რუსეთის ინტერესებს უფრო დააზარალებს, ვიდრე იაპონიისას, რადგან დღესდღეობით რუსეთს სჭირდება იაპონიის კაპიტალი ხელმისაწვდომი იყოს მისთვის და სჭირდება მათგან დახმარება იმაზე უფრო მეტად, ვიდრე იაპონიას რუსეთისგან. რუსეთი ცდილობს განავითაროს შორეული აღმოსავლეთის „კრაი“-ები, „ობლასტები“ და „ოკრუგები“, რაც საჭიროებს დახმარების მიღებას უცხოური ნავთობკომპანიებისგან, რომლებიც რუსული ნავთობის მოპოვებას უზრუნველყოფენ. თუმცა, შესაძლებლობა რჩება, რომ თუ საგარეო ვითარება შეიცვალა ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, მაშინ რუსებმა და იაპონელებმა შესაძლოა კვლავ უგულვებელყონ საკუთარი ეროვნული ინტერესები და შეინარჩუნონ ეს დავა.

კონფლიქტი კურილების შესახებ უნდა გადაწყდეს, ან დარჩება გამოუვალ მდგომარეობად. რეგიონული უსაფრთხოების შედეგები ან სცენარი სავარაუდოდ იქნება შემდეგი:

²⁸⁵ NIDS, interview.

4) კონფლიქტის გადაჭრის სავარაუდო გზა

დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, რაც ნაკლებად სავარაუდოა, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ რეგიონულ უსაფრთხოებაზე. იაპონიას და რუსეთს აქვთ დამატებული ურთიერთობა თავიანთი მარცხის გამო, რომელიც განიცადეს სტალინის დარჩენილი დიპლომატიური მემკვიდრეობის გადაწყვეტის საკითხში. შესაბამისად, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში დარჩა შედარებით დაბალ დონეზე, ვიდრე იყო იაპონიის ურთიერთობები მის სხვა აღმოსავლეთ აზიელ მეზობლებთან და გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (ჩრდილოეთ კორეა). იაპონური ბიზნესების ძირითად უმრავლესობა არ არის დაშვებული რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში და იაპონელები უზრუნველყოფილნი არიან მცირე უცხოური დახმარებით. რუსეთს სჭირდება იაპონური კაპიტალი, რათა შეძლოს შორეული აღმოსავლეთის განვითარება. ამჟამად, რუსული ინფრასტრუქტურა შორეული აღმოსავლეთის პროვინციებში იშლება, მოსახლეობა მცირდება და შეყვანილი ბირთვული წყალქვეშა ნაგები წარმოადგენს გარემოს დაბინძურებისა და პოლიფერაციის (გავრცელების) საფრთხეს. კურილის საკითხზე ხელსაყრელი რეზოლუციის გარეშე საეჭვოა, რომ იაპონელებმა მოამარაგონ რუსეთი კაპიტალით, რომელიც მას შორეულ აღმოსავლეთში სჭირდება. რეგიონის ეკონომიკური განვითარება მოიცავდა ბირთვული ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტების რაოდენობის ზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და რუსული სამხედრო საიტების უსაფრთხოების გაზრდას, რაც რეგიონში სტაბილურობის გზით უზრუნველყოფდა გარემოს დაბინძურების საფრთხეების აღმოფხვრასა და გავრცელების თავიდან აცილებას.

გარდა ამისა, რუსულ-იაპონური შერიგება შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილმა თანამშრომლობამ მეთევზეობაში, გარემოს დაცვაში, კონტრაბანდისა და ორგანიზებული დანაშაულის საკითხებში, რომლებიც რეგიონში არსებობს. ეს არის ფაქტორი, რომელიც გავლენას იქონიებს ზოგადად „ადამიანის უსაფრთხოებაზე“, ეს ტერმინი განსაზღვრა ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სკოლის პროფესორმა პეტერ უვინმა, როგორც „ტერმინი [რომ] მოუტანს [თ] პრობლემებს და ექსპლუატაციის

წესებს ერთდროულად, რომ მოგვარდეს სხვადასხვაგვარად და მჭიდრო ურთიერთობებით ერთმანეთს შორის, სადაც თავისუფალნი იქნებიან შიშისგან და თავისუფალნი სურვილებისგან. ეს რუბრიკა მოიცავს ფართო სპექტრის საკითხებსა და ტენდენციებს, მაგრამ ყველა იზიარებს საზღვრების გადაკვეთის სურვილს სოციალური ცვლილებების განცალკევებულად განხილვასა და ძლიერ საბოლოო აქცენტს ყველა ადამიანის ინკლუზიურ კეთილდღეობას შორის“.²⁸⁶ ამ სფეროში გაზრდილმა თანამშრომლობამ რუსეთსა და იაპონიას შორის ვერ გამოიღო სარგებელი მჭიდრო რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით სახალინზე რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ჰოკაიდოსა და იაპონიის ზღვის სანაპიროზე, რომელიც ჰონსიუს ეკუთვნის, ყველა ამ რეგიონმა არსებითად ვერ ისარგებლა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ბოლოდროინდელი მიღწევებით სიმდიდრის დაგროვებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ტერიტორიული საკითხის შესახებ რეზოლუცია არ ნიშნავს ალიანსში გაწევრიანებას. ანალოგიურად, რუსეთი ჯერ კიდევ შეშფოთებულია ჩინეთის გამო მიუხედავად მეგობრობის შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, რომელიც მოაგვარებს ყველა დავას მთელ 4 300 კმ სიგრძის საერთო საზღვარზე და გამონაკლისი მხოლოდ პატარა, 50 კმ-იანი მონაკვეთი იქნება. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა გულახდილ დისკუსიაში ნათლად განაცხადა, რომ ჩინეთთან ურთიერთობები არ ნიშნავს მასთან ალიანსს.²⁸⁷ იგივე შეიძლება ვივარაუდოთ იაპონიასთან დაკავშირებითაც, თუ ცვლილებების შედეგი გახდება სტიმული რუსეთის ნატო-ში სრული ინტეგრაციისა. რუსულ-იაპონური ურთიერთობა უსაფრთხოების კუთხით, ალბათ კორეა-იაპონიის მოჩვენებითი ალიანსის მსგავსია მხოლოდ, რომელშიც არის საერთო მოკავშირე, მაგრამ არ არის საერთო თავდაცვის სტრუქტურა.

²⁸⁶ Peter Uvin, “About the Institute for Human Security”, The Fletcher School at Tufts University [cited 4 September 2002], available at www.Fletcher.tufts.edu/humansecurity/about.html; INTERNET.

²⁸⁷ “Russia: President Putin Gives News Conference for Domestic, Foreign Press”, trans. FBIS, transcript of live Russian TV RTR press conference, 18 July 2001, FBIS Doc. ID CEP20010718000297.

კონფლიქტი გადაჭრის გზის არ ქონა

მარტივი იქნებოდა იმის თქმა, რომ ტერიტორიული დავის დამბლოკავი რეზოლუცია, რომელიც რუსულ-იაპონური ურთიერთობებისა და რეგიონალური უსაფრთხოების შენარჩუნების სტატუს-კვოს ასახავს მხოლოდ. რეალობა ისიც, რომ დავა, სავარაუდოდ, ახლო მომავალშიც გაგრძელდება თუ არ მოხდა ორმხრივ ურთიერთობებში ან რეგიონულ უსაფრთხოებაში რამდენიმე მოულოდნელი ძირითადი ცვლილება. თუმცა, სიტუაცია რჩება სტაგნაციაში საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულების ან რუსეთ-იაპონიას შორის სრული ნორმალიზაციის არარსებობის გამო, რაც მომავალში პრობლემების გამომწვევი იქნება. როდესაც განვიხილავთ „უსაფრთხოებას“, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს მისი ბევრი ფორმა. ალბათობა იმისა, რომ ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავამ შეიძლება მოახდინოს რუსეთ-იაპონიას შორის შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება, პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ეს არის გარემოს დაცვისა და ადამიანთა უსაფრთხოების დარგები, სადაც არ არსებობს ნორმალიზაცია და რაც აღნიშნულიცაა. მოკლედ აჯამებს ჰასეგავა იაპონიის სიტუაციას და აღნიშნავს, რომ „იაპონიის კეთილდღეობა განუყოფლადაა გადაჯაჭვული რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ბედზე“.²⁸⁸

რადგან რუს და იაპონელ მეთევზეებს მინიმუმამდე ჰქონდათ შეზღუდული მთელ კურილის არქიპელაგზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე, არსებულ ვითარებაში ერთადერთ ჭეშმარიტ ბენეფიციარებად იქცნენ უკვე კრიმინალები და ბრაკონიერები. წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი არის ყველაზე აქტიური თევზჭერის კუთხით მსოფლიოში და დაჭერილი თევზის დიდი ნაწილი მიდის იაპონიის გამოსაკვებად, ამიტომ სხვადასხვა სახეობის თევზზე აქციების ფასი ბირჟაზე უწყვეტ რეჟიმში განიცდის კოლაფსს.²⁸⁹ მხოლოდ აქტიური მენეჯმენტითა და ეფექტური საშუალებებით შეიძლება დაძლიონ ბრაკონიერები, რომლებიც არიან კურილის გარშემო არსებულ სადავო წყლებში.

²⁸⁸ Tsuyoshi Hasegawa, *Neither War nor Peace, 1985-1998*, vol. 2 of *The Northern Territories Dispute and Russo-Japanese Relations* (Berkeley: University of California Press, 1998), 557.

²⁸⁹ J. R. McNeill, *Something New Under the Sun: An Environmental History of the Twentieth Century World*

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული რუსეთ-იაპონიას შორის სანაპირო დაცვის კუთხით თანამშრომლობაში, მექრთამე რუსი დამკვირვებლები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩებიან.²⁹⁰ მხოლოდ აქტიური მენეჯმენტი და ეფექტური საშუალებებით შეიძლება დაძლიონ ბრაკონიერები, რომლებიც არიან კურილის გარშემო არსებულ სადავო წყლებში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული რუსეთ-იაპონიას შორის სანაპირო დაცვის კუთხით თანამშრომლობაში, მექრთამე რუსი დამკვირვებლები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩებიან.²⁹¹

და ბოლოს, არამრავალმხრივი უსაფრთხოების რეჟიმი, რომელიც მოიცავს იაპონიას, რუსეთს, ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს, შეიძლება, რომ ოდესმე განხორციელებული იქნას, რადგან ტერიტორიული დავა კვლავ რჩება და სამშვიდობო ხელშეკრულებაც ჯერ კიდევ არ არსებობს. ისევ და ისევ, ეს არ ნიშნავს ალიანსს, არამედ ეს არის ეუთო-ს მსგავსი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ფორუმს რეგიონული აქტორებისთვის და ზრდის მთავრობათშორის გამჭვირვალობას. აზიას სჭირდება ფორუმი ეკონომიკურ საკითხებზე დისკუსიებისათვის, ხოლო რუსულ-იაპონური განხეთქილება სერიოზულად ვერ იმოქმედებს ორმხრივ ურთიერთობებზე, რომელიც სცილდება გაუმჯობესების ნაკლებობას, აზიასთან ერთად უფრო ყოვლისმომცველი უსაფრთხოების ჩარჩოების შექმნის უუნარობას, რომელიც გახდა პირველი მსხვერპლი ურეზოლუციობისა ჩრდილოეთ ტერიტორიების შესახებ დავის მოგვარების საკითხში.

6) „როგორც ჰალეის კომეტის ორბიტული გზა“²⁹²

ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ოდენობის ემოციური ტვირთი მიმდინარე ტერიტორიულ დავაში, რომელიც უნდა გადაწყდეს. ჩემი კვლევის დასაწყისიდანვე მჯეროდა, რომ მეორე მსოფლიო ომის თაობის სიკვდილის შემდეგ შეიძლება

²⁹⁰ Boris Reznik, “Mafia and the Sea,” trans. FBIS, Izvestia, 17 July 2002, FBIS Doc ID CEP20020724000354.

²⁹¹ Boris Reznik, “Mafia and the Sea,” trans. FBIS, Izvestia, 17 July 2002, FBIS Doc ID CEP20020724000354.

²⁹² Nao Fujita, “Kawaguchi’s Hokkaido Visit Shows Distance Between MOFA, Former Island Residents,” trans.

